

უფალ იესო ქრისტეს საზოგადოებრივი მსახურების

მეორე პასეჟი

1. დაგრდომილის განკურნება ცხერის ჭიშკართან (იოან. 5:1-16)

ამ მოვლენის შესახებ მოგვითხრობს მახარებელი იოანე, რომელიც გვამცნობს უფლის ყველა ჩასვლას იერუსალიმის დღესასწაულებზე. მოცემულ შემთხვევაში რთულია ვისაუბროთ იმაზე, თუ რომელ დღესასწაულზეა საუბარი, მაგრამ სარწმუნო იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ ეს იყო პასეჟის ან ორმოცდამათე დღის დღესასწაული. გამოდის, რომ უფლის საზოგადოებრივი მსახურება 3.5 წელიწადს გრძელდებოდა, როგორც ოდიოგანვე თვლიდა მეოთხე სახარებით მოხელმძღვანელე წმ. ეკლესია.

მე-2 თავში მოხსენებული უფლის ნათლობიდან პირველ პასეჟამდე დაახლოებით ნახევარი წელი გავიდა; შემდეგ გავიდა კიდევ ერთი წელი მე-5 თავში მოხსენიებული მეორე პასეჟამდე; მერე წელი მე-6 თავში ნახსენებ მესამე პასეჟამდე და მესამე წელი მეოთხე პასეჟამდე, სანამ უფალი ევნებოდა.

ცხერის ჭიშკარი ეწოდებოდა იმ ადგილს, სადაც დაგრდომილის განკურნება მოხდა, იმის გამო, რომ იქვე მოწყობილი იყო ცხოველთა ბაზარი. ქალაქის კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გეთსამანიის და ელეონის მთისკენ კედრის ნაკადის გავლით მდებარეობდა აუზი, რომელსაც ებრაულად “ბეთ-ხასდა” ეწოდებოდა, რაც “მოწყალების სახლს” ნიშნავს. სახელში იგულისხმება ღვთის წყალობა, რადგანაც აუზი სამკურნალო იყო.

ევესევიუსის მოწმობით, ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში ამ აუზს ხუთი კარიბჭე ჰქონდა. ეს სამკურნალო წყარო მრავალ სნეულ ადამიანს იზიდავდა. იგი მხოლოდ მაშინ ხდებოდა განმკურნავი, როცა მასში უფლის ანგელოზი ჩავიდოდა და წყალს ამღვრევდა. აი, ამ ამღვრეულ წყალში ჩასული პირველი ადამიანი იკურნებოდა მხოლოდ.

სნეულთა შორის იყო 38 წლის განმავლობაში ავადმყოფობით დატანჯული მამაკაცი, რომელსაც განკურნების იმედი დაკარგული ჰქონდა და როგორც უფალს შესჩივლა არც ისეთი ვინმე ჰყავდა გვერდით, ვინც წყლის ამღვრევისას პირველს ჩაუშვებდა მას წყალში. უფალმა მოწყალება მოიღო მასზე და მხოლოდ თავისი სიტყვით “აღეჟი, აიღე შენი სარეცველი და გაიარე”, მის განკურნა ტანჯული ადამიანი. ამ ქმედებით ძველი აღთქმის მიხედვით არსებული ხსნის საშუალებებს, იესომ თავისი მაცხოვარების მადლით გადააჭარბა. მაგრამ, ვინაიდან ეს კურნება მოხდა შაბათ დღეს, იუდეველები – ფარისეველები, სადუკეველები და უხუცესთა საბჭოს წარმომადგენლები, ჭეშმარიტი სიხარულის ნაცვლად აღშფოთდნენ და განკურნებულს უსაყვედურეს ის, რომ მას შაბათს თავისი ლოგინი მიჰქონდა და ამ დღის მშვიდობას არღვევდა. განკურნებულმა გაბედული ტონით მიუგო მათ, რომ იგი იმის ბრძანებას ასრულებდა, ვინც იგი განკურნა და საკმაო ხელმწიფება ჰქონდა იმისა, რომ თავი გაეთავისუფლებინა შაბათისა და სხვა მსგავსი წვრილმანი დადგენილებების დაცვისგან. იუდეველები ზიზღით ეკითხებიან მას იმ კაცის ვინაობას, ვინც გაბედა შაბათის დარღვევა. ამასთან დაკავშირებით შესანიშნავად აღნიშნავს ნეტარი თეოფილაქტე: “აი, რაში მდგომარეობს ბოროტების საზრისი! იმას კი არ კითხულობენ, ვინ გამოაჯანმრთელა, არამედ იმას, თუ ვინ უბრძანა საწოლის წადება. ეკითხებიან არა იმაზე, რაც განცვიფრების ღირსია, არამედ რაც მათი აზრით გასაკიცხია.”

თუმცა დანამდვილებით არ იცოდნენ, მაგრამ ხვდებოდნენ, რომ მათი ზიზღის ობიექტი იესო ქრისტე უნდა ყოფილიყო, ამიტომაც მათ სასწაულზე ლაპარაკიც არ უნდოდათ. განკურნებულს ვინაობის თქმა არ შეეძლო, რადგან განმკურნებელს არ იცნობდა. სავარაუდოა,

რომ მოკლე ხანში განკურნებული მამაკაცი ტაძარში მივიდა, რათა მასზე მომხდარი სასწაულისთვის მადლობა შეეწირა ღვთისთვის. აქ მას კვლავ შეხვდა იესო და ნიშანდობლივად მიუთითა: “აჰა, შენ გაჯანსაღდი, ნუღარ შესცოლავ, რათა რაიმე უარესი არ დაგემართოს.” ამ სიტყვებში კიდევ ერთხელ გამოჩნდა ცოდვისა და ავადმყოფობის ურთიერთკავშირის არსებობა, რომ ცოდვილს ავადმყოფობა სასჯელად ევლინება ღვთისაგან, ამიტომაც აფრთხილებს უფალი განკურნებულს, რომ თავი დაიცვას ცოდვებისაგან, რათა უარესი სასჯელი არ მოიწიოს. განკურნებულმა იცნო უფალი, და არა მტრობით, არამედ სიყვარულისა და მხსნელის ავტორიტეტულობის გამო ხმამაღლა განაცხადა მის შესახებ, რამაც გაბოროტებული იუდეველების ახალი ბოროტებისა და შურისძიების ტალღა წარმოშვა და მათ “ღვენა დაუწყეს იესოს იმის გამო, რომ შაბათს ასეთი რამ გააკეთა.”

2. უფალ იესო ქრისტეს სწავლება მამა ღმერთთან თავის თანასწორობასა,

საყოველთაო აღდგომისა და სამსჯავროს შესახებ (იოან 5:17-47)

შაბათის დარღვევის გამო განრისხებული იუდეველები იესოს მოკვლით ემუქრებიან, რაზედაც იგი პასუხობს: “მამანემი აქამდე ასე აკეთებს და მეც ვაკეთებ”. ამ სიტყვებში მოიაზრება იესო ქრისტეს მოწმობა იმაზე, რომ ის მამა ღმერთის თანაბარი ძეა. ყოველი შემდგომი სიტყვა მხოლოდ გაგრძელებაა ზემოთხსენებული წინადადების აზრისა. ბუნებრივია, რომ იგი, როგორც ძე ღვთისა, მიჰყვება არა ადამისა და მისი მოდგმისათვის დაწესებულ მცნებებს, არამედ მამა ღმერთის მაგალითს. მართალია, მამა ღმერთმა მეშიდე დღეს დაისვენა “ქმნის საქმეთაგან”, მაგრამ არ დაუსვენია “განგების საქმეთაგან”.

მიხვდნენ რა იუდეველები, რომ იესო ასწავლიდა მათ მამა ღმერთთან თავისი თანასწორობის შესახებ, ახლა იუდეველებმა მას ორმაგ დანაშაულში დასდეს ბრალი: შაბათის დარღვევასა და ღვთის გმობაში. 19-20 გვ-ში მოთხრობილია მამა-შვილობის ჩვეულებრივი გაგების თვალსაზრისით, დანახული ძე ღვთისას მამისადმი მიბაძვისა და მისი მსგავსი საქმეების კეთების სწავლების შესახებ.

სიტყვებში: “ძეს თვითონ არაფრის გაკეთება არ შეუძლია” – როგორც წმ. ოქროპირი ამბობს იგულისხმება: “მე არაფერს აკეთებს მამის საწინააღმდეგოდ, მისთვის უცხოს, შეუფერებელს ანუ მამის ნების საწინააღმდეგოს”. “ამაზე უფრო დიდ საქმეებსაც აჩვენებს” – ნიშნავს იმას, რომ არა მხოლოდ დაუძღვრებულის საწოლიდან წამოყენება, არამედ მკვდართა აღდგენაც ძალუძს.

21-ე გვ-ზე საუბარია ადამიანთა სულიერ აღდგომაზე, ანუ სულიერად მკვდართა ღვთის ჭეშმარიტებაში აღდგენაზე და ამის შემდეგ შესაძლებელი სხეულის საყოველთაო აღდგომაზე, რაც ურთიერთშორის მჭიდრო კავშირში იმყოფება. ადამიანის მიერ ჭეშმარიტი სულიერი ცხოვრების აღთქმა არის უკვე სიკვდილზე მისი გამარჯვების დასაწყისი. თუ სულიერი მოშლილობა სიკვდილის მიზეზი ხდება, სულის ჭეშმარიტებაში ცხოვრება ადამიანს საუკუნო ცხოვრებაში მიუძღვის. გვ. 22-23 სულიერ აღდგომას უფალი უკავშირებს მეორე თავის დიდ საქმეს – სამსჯავროს, რომელსაც უცილობლად მივყავართ საბოლოო საშინელ სამსჯავრომდე. ქრისტე მოევლინა სულიერად მკვდარ და ჩაბნელებულ სამყაროს, როგორც ცხოვრება და ნათელი. ვინც მისი ირწმუნა, ახალი ცხოვრებისთვის აღდგა და თავადაც ნათელს ეზიარა. ისინი კი ვინც უარჰყვნ იგი, ვერ გაექცნენ ცოდვათა სიბნელეს, და სულიერ სიკვდილში დარჩნენ. აი, რატომ გრძელდება ძე ღვთისას მსჯავრი ადამიანებზე მთელი ცხოვრება და იგი დამთავრდება საუკუნეთა დასასრულს, უკანასკნელი და საბოლოო საშინელი სამსჯავროთი. რამდენადაც ადამიანების საუკუნო ხვედრი ძის ძალაუფლებაშია, მას თავყანისცემა შეშვენის

ისე, როგორც მამას: “ვინც ძეს არ სცემს პატივს, ის არც მამასა სცემს პატივს, რომელმაც იგი მოავლინა”.

24-29 ტაეპები ძე ღვთისას მაცხოვრებელ მოღვაწეობას ასახავენ. მაცხოვრის სიტყვების მორჩილება და მისი წარმოგზავნილობის რწმენა არის ჭეშმარიტი ცხოვრების ალტქმის მთავარი პირობა და მასშია სხეულებრივი ნეტარი უკვდავების საწინდარი. “სამსჯავროზე არ მიდის” ნიშნავს “მსჯავრს არ დაექვემდებარა”. “მოდის უამი და უკვე არის კიდევ, როცა მკვდრები მოისმენენ ღვთის ძის ხმას და მსმენელნი გამოცოცხლდებიან”. აქ კვლავ საუბარია ქრისტესმიერი ქადაგების შედეგად სულიერი გამოცოცხლების შესახებ, რამეთუ ძე სიცოცხლის წყაროა, რომელიც მან მამისაგან მიიღო. (გვ. 27). ხელმწიფების არსი სამართლის დადგენაშია, რის გამოც განკაცდა იგი, თუმცა ძე ღვთისაა. (გვ. 27). ეს ხელმწიფება ძე ღვთისა, როგორც მოსამართლისა, საუკუნეთა დასასრულს “მკვდართა” საყოველთაო აღდგომითა და სამართლიანი მისაგებელით დასრულდება (გვ. 28-29). ეს იქნება სამართლიანი სამსჯავრო, რადგან იქნება ზეციური მამის ნებასთან განმსჯელის, სრული შეთანხმებულობის შედეგი. (გვ. 30)

31-39 ტაეპებში ქრისტე მთელი სიმტკიცით მოწმობს თავისი ღვთიური ღირსების შესახებ. ამასთან ის ეყრდნობა მასზე იოანე ნათლისმცემლის მოწმობასაც, რომელსაც ძალიან აფასებდნენ იუდეველები, მაგრამ იმასაც ამბობს რომ, მას აქვს უფრო დიდი დამოწმება, ვიდრე იოანესია. ესაა მამა ღვთის მოწმობა იმ ნიშნებითა და სასწაულებით, რომელსაც ძე მამის დავალებით ახდენს, რადგან ეს მის ადამიანთა ხსნის გეგმაში შედის, რომელიც ასასრულებლად მამამ მას გადასცა.

მამა ღმერთმა ძის შესახებ ნათლობის დროსაც დაამოწმა, მაგრამ მისი, როგორც მესიის შესახებ უფრო მეტი მოწმობა მოგვცა ძე ალტქმის წმიდა წიგნებსა და წინასწარმეტყველებებში. იუდეველებმა ვერ შეისმინეს ამ წერილებისა, რადგან ღვთის სიტყვა არ იყო დამკვიდრებული მათში. იუდეველები წმ. წერილებში ვერც ღვთის ხმას ისმენენ და ვერც ხატს ხელავენ მისას.

თავის თვითგამოცხადებაში: “გამოიკვლიეთ წერილები” და დაინახავთ “რომ ისინი ჩემს შესახებ მოწმობენ”, იუდეველთათვის გულისყურამდე მისატანი არაფერი აღმოჩნდა. გვ. 40-47 ქრისტე იუდეველებს საყვედურობს მათი ურწმუნოების გამო, და დასძენს, რომ ადამიანთაგან კი არ ექებს დიდებას, არამედ წუხს მათ გამო, რადგან მის მიმართ ურწმუნობაში მათ ღვთის უყვარულობა გამოავლინეს. რამდენადაც მათ არ უყვართ მისი გამოგზავნილი მამა ღმერთი, იმდენად არ ღებულობენ ქრისტეს; მაგრამ როცა მოვა სხვა, თვითმარქვია მესია თვითნებური სწავლებით, ისინი მიიღებენ მას ყოველგვარ ნიშნების გარეშე. ქრისტეს დროიდან ასეთი ცრუ მესია ებრაელებს დაახლოებით 60-მდე ჰყავდათ. ხოლო უკანასკნელი მათგანი, ანტიქრისტე იქნება, რომელსაც ებრაელები თავიანთ მესიად მიიღებენ. იუდეველთა ურწმუნოების მიზეზი მათ მიერ ადამიანური დიდების ძიებაშია. მათთვის სასიამოვნოა არა ის, ვინც მათ ამხელს თავისი სიმართლით, არამედ ვინც მათ განადიდებს თუნდაც უსამართლოდ.

თავის ცხოვრების დასასრულს უფალი იუდეველებს ართმევს იმ უკანასკნელ ძირსა და საფუძველს, რომელზეც ისინი თავიანთ იმედებს აგებდნენ. ის ეუბნება მათ, რომ საშინელ სამსჯავროზე მათი მამხილებელი იქნება სწორედ ის მოსე, რომელზედაც ისინი თავიანთ იმედებს ამყარებენ. იგი მათ დაადანაშაულებს ქრისტესადმი ურწმუნოების გამო, რომლის შესახებაც იგი არა ერთხელ წინასწარმეტყველებდა. (3:15. 12:3, 49:10, მეორ. 18:15) იუდეველებმა უარყვეს მოსეს წიგნები და მთელი რჯულის კანონი, რომლის კალთის ქვეშ იფარებოდა ქრისტეს სასუფევლის ალტქმული სიკეთე (ებრ 10:1), სწორედ რჯული იყო ადამიანთა ქრისტესკენ წარმმართველი. (გალ. 3:24)

3. თავთავების ფშენეტა შაბათ დღეს

(მათ 12:1 , მარკ 2:23-28, ლუკ 6:1-5)

ებრაელების მხილების შემდეგ იესო იუდეიდან გალილეაში წავიდა. გზად უფალმა მოწაფეებთან ერთად ნათესებში გაიარა, როგორც წმ. ლუკა აღნიშნავს, ეს იყო პასექის მეორე დღის პირველი შაბათი. მოწაფეებს მოშივდათ და დაიწყეს თავთავების კრეფა, ფშენა და ჭამა. მოსეს კანონით ასეთი ქმედება არ იკრძალებოდა, დაუშვებელი იყო მხოლოდ სხვის ყანაში ნამგლის შეტანა (მეორ. 23:25). ფარისეველებმა მაინც უპოვეს მათ გასაკიცხი მიზეზი და შაბათის უქმობის დარღვევის გამო უფალს კვლავ უსაყვედურეს. მოწაფეების დასაცავად უფალმა ფარისეველებს შეახსენა დავითის შემთხვევა, რომელიც მეფეთა (თ.21) პირველ წიგნშია გადმოცემული, როცა საულისგან ლტოლვილი დავითი შევიდა სამღვდელო ქალაქ ნომბაში და მღვდელ აბიმელექს თხოვა ხუთი ან ოთხი, რამდენიც იქნებოდა პურის მიცემა, მღვდელმა დავითს მისცა საწინაშეო პური, რომლის ჭამის უფლებაც კანონით მხოლოდ მღვდელებს ჰქონდათ.

მაგალითის ძალა მდგომარეობს იმაში, რომ თუკი დავითმა, რომელიც შიმშილისაგან იტანჯებოდა და ეს მოიძოქმედა და ამისთვის არავის დაუძრახავს, მაშინ უფლის მოწაფეებიც, რომლებმაც შიმშილის გამო უმნიშვნელოდ დაარღვიეს შაბათი, არ უნდა იძრახებოდნენ სხვათა მიერ. ამრიგად, თავისი მოწაფეების გამართლებით უფალი წარმოაჩენს იმ პირველწყაროს, საიდანაც წარმოდინდა მისი მოწაფეების უსამართლო განკითხვა. ეს არის ღვთის კანონებისა და მოთხოვნების არასწორი გაგება. ფარისეველები რომ ხვდებოდნენ, რომ მშვიერი ადამიანის თანაგრძნობა და სიყვარულით ხელის გაწვდენა კანონებსა და წესებზე მაღლა დგას, უდანაშაულოებს აღარ განიკითხავდნენ. ადამიანი შაბათის დასაცავად კი არ არის შექმნილი, არამედ შაბათი ადამიანს მისი სარგებლობისათვის მიეცა, ამიტომ ადამიანისათვის ჯანმრთელობისა და სიკვდილისაგან თავის დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კანონი შაბათის შესახებ. უფრო მეტიც, შაბათობით რომ ქმედებები არ იკრძალებოდა ჩანს იქიდანაც, რომ მღვდელები შაბათობით ტაძარში კლავენ შესაწირავს, ატყავებენ და შესწირავენ, თუმცა ამისთვის დამნაშავედ მათ არავინ თვლის. თუ კი ტაძრის მსახურნი უდანაშაულონი არიან შაბათის დარღვევაში, მაშინ მით უმეტეს უდანაშაულონი არიან ღვთის მსახურები, ანუ ის ვინც ტაძარზე მეტია და თვითონაა შაბათის უფალი, რადგან მას ხელეწიფება როგორც დაადგინა, ისევე შეცვალოს შაბათი.

4. ხელგამხმარი კაცის განკურნება შაბათ დღეს

(მათ. 12:9-14, მარკ. 3:1-6, ლუკ. 6:6-11)

ხელგამხმარი კაცის განკურნებით უფალმა კვლავ აიმხედრა მწიგნობრები და ფარისეველნი, რომლებიც, როგორც სჩანს, ყველგან თან დაჰყვებოდნენ მას, რათა მოსეს კანონების დარღვევაში ემხილებინათ.

იგი, უფალი, ეკითხება ფარისეველებსა და სადუკეველებს: “რომელიმე თქვენგანს, ერთი ცხვარი რო ჰყავდეს და შაბათს ორმოში ჩაუვარდეს, არ ჩაავლებს ხელს და არ ამოიყვანს?” – ეს კითხვა გულისხმობდა იმას, რომ ყოველგვარი გულმოწყალების საქმე შაბათის უქმობაზე უფრო მნიშვნელოვანია და საერთოდაც, კეთილი საქმის გამო ამ დღის უქმობის შეწყვეტა დასაშვებია.

5. ხალხმრავლობა უფლის ირგვლივ და მრავალრიცხოვანი კურნებანი.

უფალი თავს არიდებს სახელოვნებას (მათ. 12:15-21, მარკ. 3:7-12)

უფლის სინაგოგიდან გამოსვლის შემდეგ, მას გაჰყვა უამრავი ხალხი გალილიიდან, იუდეიდან, იორდანეს გადაღმიდან და წარმართული ქვეყნებიდანაც კი. უფალი ქადაგებდა მათ შორის და კურნავდა ყველა სნეულსა და ტანჯულს, თუმცა კი კრძალავდა ამის შესახებ ლაპარაკს. ამ მუხლებში წმ. ლუკა ხედავს ესაიას წინასწარმეტყველებას (თ.42 გვ.1-4), სადაც იგი ღვთის საყვარელი პირმშოს შესახებ საუბრობს, როგორც მესიის შესახებ და აღიდებს მის სიმშვიდესა და მორჩილებას : “არ იდავებს და არ იყვირებს და ვერავინ გაიგონებს მის ხმას“.

ამ მაგალითის მოყვანით წმ. ლუკას სურს დაანახოს ებრაელებს, რომ მათ წარმოდგენები მესიის, როგორც მიწიერი დიდებით შემოსილი მეფე-მებრძოლის შესახებ, რომელიც გარეგნული ბრწყინვალებითა და დიდებით დაიმკვიდრებს ღვთის ტახტს, მცდარია. რომ ძვ. აღთქმის წინასწარმეტყველები მესიას თავმდაბლობასა და სიმშვიდეს უწონებდნენ, რომ მისი მეფობა იქნება არამქვეყნიური, მაგრამ როგორც წინასწარმეტყველი ბრძანებს: “აუწყებს სასჯელს წარმართებს“, რომ აჩუქებს სჯულს ყველა ადამიანს - ებრაელსა თუ წარმართს და მის სახელს დაეიმედება ხალხები და ერები.

6. თორმეტი მოციქულის არჩევა

(მათ. 10:2-4, მარკ. 3:13-19, ლუკ. 6:12-16)

უფალმა მთელი ღამე ლოცვაში გაატარა. უეჭველია მისი ლოცვა მიმართული იყო დაარსების პროცესში მყოფი ეკლესიის გაძლიერებისაკენ. გადმოცემის თანახმად ეს ხდებოდა თაბორის მთაზე – აქ უფალმა მოუწოდა თავის მოწაფეებს და მათგან თორმეტი ამოირჩია, რათა ისინი ხლებოდნენ მას ყველგან და შემდეგ მის შესახებ დაემოწმებინათ. ესენი იყვნენ ახალი ისრაელის 12 ახალი ტომის ფუძემდებლები. წმინდა წერილებში რიცხვი 12 ისევე მნიშვნელოვანია, როგორც 3 და 4, სამი – საუკუნო ხელთუქნელი უფლის არსებაა, ოთხი – სამყაროს 4 ქვეყანაა, სამყაროსეული რიცხვია. 12 – ადამიანურისა და ამქვეყნიურის ღვთიურით გაჯერებაა.

პირველი სამი მოციქული-მახარებელი საქმეების წიგნში გადმოგვცემს იმ 12თა სახელებს, რომლებიც უფალმა ამოირჩია. ამ სიაში აღსანიშნავია ის, რომ მოციქულები სამ ჯგუფად არიან დაყოფილი, თითო ჯგუფში 4-4 კაცი შედის და ყველა ჯგუფს სათავეში ერთი და იგივე სახელი უდგას. ამასთან, ყოველი ჯგუფის შემადგენლობაში ერთი და იგივე პიროვნება შედის. მოციქულთა სახელებია:

- 1) სიმონ-პეტრე,
- 2) ანდრია,
- 3) იაკობი,
- 4) იოანე,
- 5) ფილიპე,
- 6) ბართლომე,
- 7) თომა,

- 8) მათე,
- 9) იაკობ-ალფესისა,
- 10) ლებეოსი ანუ თადეოზი, როგორც უწოდებდნენ იუდა იაკობისას,
- 11) სიმონ კანანელი ანუ ზილოტი,
- 12) იუდა ისკარიოტელი.

ბართლომე არის იგივე ვისაც წმ. იოანე ნათანაილად იხსენიებს. “კანანელი“ ებრაულიდან ბერძნულად თარგმანში ნიშნავს “ზილოტს”, ქართულად “ქომაგს”. ასე ეწოდებოდა ებრაული სახელმწიფოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ პარტიას. სიტყვა “ისკარიოტი” ორი ნაწილისაგან შედგება: “იშ” – კაცი და “კარიოტი” – ქალაქის დასახელება. თვითონ სიტყვა “მოციქული”, “აპოსტი” ბერძნულიდან თარგმანით “დესპანს” ნიშნავს, რაც შეესატყვისება საქადაგებლად ამორჩეულ გაგზავნილთა დანიშნულებას. მათი ქადაგების მეტი წარმატებულობისათვის უფალმა ისინი ავადმყოფობების კურნებებითა და უწმინდურ სულთა განდევნის ხელმწიფებით შემოსა.

7. ქადაგება მთაზე

(მათ. 5, 6 და 7თავები, ლუკ 6:12–49)

მთაზე უფლის ქადაგების შინაარსი სრულიად მხოლოდ მათე მახარებელს აქვს გადმოცემული. შემოკლებულად და ამასთან სხვადასხვა თავში განხეულიად მას მახარებელი ლუკაც გამოგვცემს.

„მთაზე ქადაგება“ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ სახარებისეული სწავლების მთელ არსს მოიცავს. გენისარეთის ტბასთან ახლოს, კაპერნაუმსა და ტიბერიადას შორის, დღემდე ვხედავთ „ნეტარების მთას“, საიდანაც მრავალრიცხოვანი უფლის მსმენელი ხალხისათვის წარმოითქვა ქადაგება.

თავისი რჩეულობით გაამაყებული ებრაელი ხალხი ვერ ურიგდებოდა დამოუკიდებლობის დაკარგვას და შეუდგა ოცნებას მესიის შესახებ, რომელიც უცხო ტომელთა ბატონობისგან განათავისუფლებდა, შურს იძიებდა მის მტრებზე, და ებრაელებს დაუმორჩილებდა დედამიწის ყველა ხალხს. ამ მეფეს უნდა მიეცა ებრაელთათვის ზღაპრულ კეთილდღეობა, ზღვას უბრძანებდა მარგალიტისა და ძვირფასეულობის გამორიყვას, თავის ხალხს თვალმარგალიტით მოჭედდელ სამოსს ჩააცმევდა და მათ ზეციური მანანით გამოკვებავდა.

ამგვარი მიწიერი ნეტარების შესახებ ცრუ ოცნებით ისინი გარს შემოერთყნენ იესოს, რადგან ელოდნენ, რომ იგი მალე გამოაცხადებს თავს ყოველივე ზემოთქმულის მომცემ მესიად და დადგება ეს ტკბილი დრო. ისინი ფიქრობდნენ რომ აი უკვე ბოლო ედება მათ ტანჯვას და დამცირებას, ავადმყოფობებსა და ისინი ბედნიერნი და ნეტარნი გახდებიან. მათი ამ აზრების საპასუხოდ, უფალი უხსნის მათ ნეტარებათა შესახებ სახარებისეულ სწავლებას და ძირშივე სპობს მათ მცდარ წარმოდგენებს. იგი მათ ასწავლის იმას, რასაც ნიკოდიმოსს უხსნიდა თავის დროს, რომ ღვთის სასუფეველის წარმოსაქმნელად აუცილებელია სულიერი ფერიცვალება, რათა აღდგეს და დაბრუნდეს ადამიანის მიერ დაკარგული სამოთხე და ამით განმზადდეს ადამიანი საუკუნო ცათა სასუფეველისათვის. აქეთკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია საკუთარი სულიერი სიღარიბის, ცოდვიანობისა და არარაობის შეცნობა და ქედის მოხრა. აი, ამიტომაც „ნეტარ არიან სულით ღარიბნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი“. ნეტარ არიან ისინი, ვინც ხედავს

და აცნობიერებს თავის ცოდვებს, ტირიან მათ გამო, რამეთუ ისინი შეურიგდებიან თავის სინდისს და ნუგეშინისცემულნი იქნებიან. თავიანთი ცოდვების გამო მტირალნი ისეთ შინაგან სიმშვიდეს აღწევენ, რომ უკვე აღარც კი შეუძლიათ ვინმეზე მრისხანება და ხლებიან უწყინარნი, მშვიდმა ქრისტიანებმა კი მართლაც დაიმკვიდრეს დედამიწა, რომელსაც ადრე წარმართები ფლობდნენ, მაგრამ ისინი მომავლის მიწასაც დაიმკვიდრებენ, მიწას, რომელიც ამ ხრწნადი სამყაროს დანგრევის შემდეგ განცხადდება და ეს იქნება „ცოცხალთა მიწას“ (HK 26:13, A II K 21:1). „ნეტარ არიან სიმართლისათვის მშვიერ-მწყურვალნი“, ვინც ცდილობს ყველაფერში უფლის ნების ასრულებას, რასაც იძლევა ღვთის ნების თანახმად ცხოვრებისაკენ გულწრფელი ლტოლვა. ამიტომ „ნეტან არიან მოწყალენი“, ვინაიდან ისინი შეწყალებული იქნებიან უფლისგან, როგორც უწყალო სამსჯავრო-უმოწყალოს. წყალობა აღემატება სამსჯავროს. (იაკ. 2:13). გულწრფელი მოწყალება ადამიანს განწმენდს ცოდვით გამოწვეული ყოველნაირი უშვინდურებისაგან. ხოლო გულით სუფთანი ნეტარნი არიან, რადგან ისინი თავიანთი გულით, როგორც სულიერი თვალით, ღმერთს იხილავენ. ღვთის მხილველები ცდილობენ მიბაძონ მას, მიემსგავსონ ძე ღვთისას, რომელმაც ადამიანი ღმერთთან შეარიგა, გულით სუფთა ვერ ეგუება მტრობასა და ქიშპობას და ამიტომ სამშვიდობოდ მოქმედებს, ასეთებიც ნეტარნი არიან, რადგან „ღვთის ძეებად იწოდებიან“. ამგვარი სულიერი სიმაღლით გაბრწყინებულები მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ ეს ცოდვიანი და „ბოროტებაში ჩაფლული“ (1 იოან. 5:19) სამყარო შეიძულებს მათ იმ ღვთიური სიმართლის გამო, რომელსაც ისინი ატარებენ. დაუწყებენ მათ დევნასა და ლანძღვას იესო ქრისტესა და მისი სწავლებისადმი ერთგულების გამო. მაგრამ ქრისტესთვის დამთმენთ დიდი სახლადური ელით ცაში.

ახალი აღთქმის ეს ცხრა ნეტარება, რომელსაც ცხრა მცნება ეწოდება და თავის თავში მთელ სახარებას მოიცავს გასხვავდება ძვალთქმისეული 10 მცნებისაგან. ძვ. აღქმის მცნებებში საუბარია ადამიანის გარეგნული ქმედებების კატეგორიულ აკრძალვაზე. ახალ აღთქმაში კი ადამიანის სულის შინაგან განწყობაზეა საუბარი და გადმოცემულია არა კატეგორიული მოთხოვნით, არამედ პირობის სახით, რომელთა დაცვითაც ადამიანს შეუძლია საუკუნო ნეტარებას მიაღწიოს.

მახარებელი ლუკა ავსებს წმ. მათეს სწავლებას ნეტარების შესახებ. მას მოჰყავს უფლის სიტყვები, რომლებიც გამაფრთხილებლად ჟღერენ იმათთვის, ვინც ნეტარებაში მხოლოდ მიწიერ ტკობას ხედავს. „ვაი თქვენ, მდიდარნი“ – ამბობს უფალი და მდიდრებს სულით დარიბებს უპირისპირებს. აქ იგულისხმება არა უბრალოდ მიწიერი სიმდიდრის მქონე ადამიანები, არამედ ამაყი, ქედმაღალი, ამპარტავანი ადამიანები. „ვაი თქვენ, მაძღარნი!“ იმის ნაცვლად, რომ „სიმართლისათვის მშვიერ-მწყურვალთა“ რიგს ეკუთვნოდნენ. მაძღარში იგულისხმებიან ადამიანები, რომლებიც არ ეძებენ ღვთიურ სიმართლეს და თავიანთი ცრუ სამართლით კმაყოფილდებიან.

„ვაი თქვენ, ვინც ახლა იცინით, ვინაიდან იგლოვებთ და იტირებთ“ – ასეთები უეჭველად უპირისპირდებიან გულით მგლოვიარეებს, ეს უზრუნველი და ცოდვისადმი ზედაპირული დამოკიდებულებაში მყოფი ხალხია. ბოროტებაში ჩაფლულ წუთისოფელს უყვარს ისინი, ვინც მას ექმნება, ვინც ცხოვრობს ცოდვაში, ამიტომ, „ვაი თქვენ, როცა ყველა ადამიანი კარგს ილაპარაკებს თქვენზე“ – ეს თქვენი ზნეობრივი წარუმატებლობის ნიშანი იქნება.

შემდეგ უფალი ამბობს, რომ მისი მოძღვრების ყოველი მიმდევარი იქნება „მარილი მიწისა“, მარილი საკვებს გაფუჭებისაგან იცავს, აჯანსაღებს მას, აგემრიელებს – ასევე ქრისტიანებმაც დედამიწა უნდა დაიცვან ზნეობრივი გაფუჭებისაგან და ხელი უნდა შეუწყოს მის გაჯანსაღებას. მარილი თავის თვისებას გადასცემს ყველა ახლო მყოფ ნივთიერებას, ასევე ქრისტიანმა თავისი ჯანსაღი განწყობა უნდა გადასცეს ხალხს, მათ ვინც ჯერ კიდევ არ გაქრისტიანებულა. მარილი არ ცვლის იმ ნივთიერებათა არსსა და გარეგნულ სახეს,

რომელთაც შეერწყმის, არამედ ანიჭებს მათ თავის გემოს, ასევე ქრისტიანობაც არ იწვევს ადამიანთა საზოგადოებაში რაიმე გარეგნულ ცვლილებას, არამედ მხოლოდ აკეთილშობილებს მის სულს. ამით იცვლება მისი ცხოვრება და მას განსაკუთრებული ქრისტიანული ხასიათი ეძლევა. „თუ მარილმა ძალა დაკარგა, რითღა დამარილდეს?“ – აღმოსავლეთში მართლაც არსებობს მარილის სახეობა, რომელიც გარემოს ზემოქმედებით კარგავს თავის თვისებას. ახვევ არიან ის ადამიანებიც, რომლებმაც იგემეს სულიწმიდის მადლის ნაყოფი, მაგრამ ჩავარდნენ მისდამი წინააღმდეგობის უპატიებელ ცოდვაში, უფლის განსაკუთრებული დახმარების გარეშე მათ არ ძალუძთ სულიერად აღორძინება.

ქრისტე თვით სამყაროს ნათელია, მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ აღიქვამენ მის ნათელს მისი მორწმუნეები და როგორ ირეკლავენ მას, ისინიც „ქვეყნის ნათლად“ გვევლინებიან. ასეთები არიან განსაკუთრებით მოციქულები და მათი მემკვიდრეები, რომელთა დანიშნულებაც იმაში მდგომარეობს, რომ ქრისტეს ნათელით ანათონ. ესენი არიან ეკლესიის მწყემსები, მათ ისე უნდა იცხოვრონ, რომ მათი საქმის მხილველმა ადამიანებმა აღიღონ ღმერთი. უფალი თავისი ახალი რჯულის, ძველთაგან დამოკიდებულებისა და იუდეველთა რჯულის ასრულებისაკენ თავგამოდებული ღვთისმეტყველების გამო ამშვიდებს მათ და ეუბნება, რომ ის მოვიდა არა კანონთა დასარღვევად, არამედ მათ ასასრულებლად. ქრისტე მართლაც იმისთვის მოვიდა დედამიწაზე, რომ ასრულებულიყო ძვ. აღთქმისეული ღვთის სიტყვა, რათა აეხსნა, განეხორციელებინა და განემტკიცებინა კანონისა და წინასწარმეტყველების მთელი ძალა – ეჩვენებინა ძველი აღთქმის ჭეშმარიტი აზრი და სულისკვეთება „როგორ აასრულა მან რჯული? – კითხულობს ნეტარი თეოფილაქტე – უპირველეს ყოვლისა იმით, რომ აასრულა ყველაფერი, რაც წინასწარმეტყველებმა თქვეს მასზე. მან რჯული იმითაც შეასრულა, რომ შეავსო იგი, რადგან სრულად მოხაზა ის, რის მხოლოდ ჩრდილსაც წარმოადგენდა რჯულის კანონი, დაამკვიდრა ყველა ძვაღთქმისეული მცნებების უფრო ღრმა და საფუძვლიანი გაგება იმ სწავლებით, რომლის თანახმადაც მხოლოდ გარეგნული ღვთისმსახურები არასრულად წარმოაჩინა.

„იოტა“ ებრაული ალფაბეტის ყველაზე პატარა ასოა. როცა უფალი ამბობს, რომ „არც ერთი იოტა, არც ერთი წერტილი არ გაივლის რჯულისა“, იგი ხაზს უსვამს, რომ უფლის რჯულში ყველაზე მცირე რამეც კი არ დარჩება შეუსრულებელი. ფარისეელები მცნებებს ჰყოფდნენ დიდებად და პატარებად. „მცირე“ კანონების დარღვევას ისინი დანაშაულად არ მიხნევდნენ. ამ კანონებში კი შედის კანონი სიყვარულის, მოწყალების და მართლმსაჯულების შესახებ.

„უმცირესი დაერქმევა მას ცათა სასუფეველში“, ნიშნავს ვერ შევა, განიგდება ცათა სასუფეველიდან. მწიგნობართა და ფარისეველთა მორწმუნეობა მხოლოდ გარეგნული წესების აღსრულებით შემოიფარგლებოდა. ამიტომ ფარისეველთა და მათ მსგავსთა გულებში რწმენა მშვენივრად თანაცხოვრობდა ქედმაღლობასთან და საზიზღარ ნაკლოვანებებთან ერთად, რაშიც უფალმა ძალის მიერ არა ერთხელ ამხილა ისინი. აფრთხილებს რა ამგვარი გარეგნული მორწმუნეობის შესახებ უფალი მისგან იცავს თავის მიმდევრებს.

მთელი შემდეგი მეხუთე თავის განმავლობაში, 21-ე სტროფიდან დაწყებული, უფალი გვიჩვენებს, თუ კონკრეტულად რითი აღასრულებს იგი ძველი აღთქმის კანონს. უფალი გვასწავლის ძველი აღთქმის უფრო ღრმა და სულიერ. საკმარისი არ არის მხოლოდ ფიზიკურად არ მოკლა ადამიანი, დაუშვებელია მასზე მრისხანება და მისი მორალური მოკვდინება. „ვინც უმიზეზოდ განურისხდება თავის ძმას, სასჯელის თანამდები იქნება; ვინც თავის ძმას ეტყვის „რაკა“, სინედრიონის თანამდები იქნება; ხოლო რომელიც ეტყვის თავის ძმას – სულელო, ცეცხლის გენის თანამდები იქნება.“

აქ ებრაელების წარმოდგენებთან შეთავსებაში ნაჩვენებია მრისხანების სხვადასხვა დონე. მცირე დანაშაულებს ჩვეულებრივ საქალაქო სასამართლო განაგებდა, დიდი დანაშაულები სინედრიონის დაქვემდებარებაში იყო ან კიდევ იერუსალიმის უმაღლესი სასამართლოს, რომელიც 72 წევრისაგან შედგებოდა და მას მღვდელმთავარი თავჯდომარეობდა. „რაკა“ ნიშნავს „ცარიელ ადამიანს“ და გამოხატავს ზიზღს. „სულელი“ გამოხატავს მოყვასისადმი სიძულვილის უკიდურეს დონეს. ამ სახელით მიმართავდნენ არა მარტო სულელს, არამედ უწმინდურს, უსინდისო ადამიანებს. ამ უკიდურესი მრისხანებისათვის სასჯელი არის ცეცხლის გენა. ასე ერქვა ენომის ველს, რომელიც იერუსალიმიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს და რომელზეც ურწმუნო მეფეების დროს მალოქისადმი (4მეფ.16:4; 2. Παρ. 28:3) თავყანსაცემად ახალგაზრდა ჭაბუკებს ცეცხლში ატარებდნენ და ჩვილებს მსხვერპლად სწირავდნენ. კერპთაყვანისცემის შეწყვეტის შემდეგ ეს ველი საშინელებისა და სიძულვილის საგნად იქცა. იქ ჩაჰქონდათ იერუსალიმიდან დაუმარხავი ცხედრები, ზოგჯერ კი სრულდებოდა სიკვდილით დასჯა. ამ ადგილზე ჰაერი ისე იყო მოწამლული, რომ მის გასაწმენდად იქ მუდამ ენთო ცეცხლი, როს გამოც მას ცეცხლოვანი ველი დაერქვა და ცოდვილთა მარადიული ტანჯვის განსახიერებად იქცა.

ქრისტიანის მოყვასისადმი სიყვარული იქამდე უნდა მიდიოდეს, რომ არა თუ თავად არ განრისხდეს ვინმეზე, არამედ არც მოყვასში გამოიწვიოს მისდამი მრისხანება, რომელიც ბოროტი გრძნობით იქნება გამოწვეული, რადგან იგი წინ აღუდგება უფლისადმი ღოცვას, რის გამოც უნდა ვიჩქაროთ ამასთან შერიგება. ჩვენგან განაწყენებულ ამას ჩვენი „მეტოქე“ ეწოდება, ამიტომ აქვე უნდა ვცადოთ მასთან შერიგებას, რათა იმ ქვეყნად არ მიგვცეს მსაჯულს, ღმერთს და ავცდებით დამსახურებულ სასჯელს. წმ. მოც. პავლე ასე აჩქარებს მოჩხუბარ, განაწყენებულ ძმებს: „მზე ნუ ჩავა თქვენს რისხვაზე“ (ეფეს. 4:26).

უფალი განაგრძობს, რომ არასაკმარისია ღვთის მე-7 მცნების „არა იმრუშოს“, მხოლოდ გარეგნულად დაცვა. ამ მცნების სწავლებისას უფალი ხაზს უსვამს, რომ მრუშობა არ არის მხოლოდ გარეგნული დანაშაულებრივი ქმედება, არამედ თვით ვნება, რომელიც აღიძვრება, ვთქვათ ქალის შეხედვისას, უკვე არის დანაშაული. ათანასე დიდი ამბობს: „თავის გულში უკვე იმრუშა ქალთან მან, ვინც თანახმაა ამ საქმეზე. მაგრამ აკავებს ან დრო, ან ადგილი, ან სამოქალაქო კანონებისადმი შიში“.

ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ყოველგვარი შეხედვა ქალისა არის ცოდვა, რომელიც მრუშობის სურვილით არის გამოწვეული. მაგრამ ცოდვის საცდურის შემთხვევაში მის აღსაკვეცად სიმტკიცით უნდა ვიმოქმედოთ, ამისთვის არ უნდა დავინანოთ ყველაზე ძვირფასიც კი რაც გვაქვს, მაგ. ჩვენი სხეულის ნაწილები – ხელი ან თვალი. ცხადია, მოცემულ შემთხვევაში „ხელი“ და „თვალი“ სიმბოლოდაა ნახმარი და მიანიშნებს, რომ ვნების ამოსაძირკვად ძვირფასი მსხვერპლიც კი უნდა გავიღოთ. მრუშობის ცოდვასთან დაკავშირებით უფალი უკრძალავს ქმარს ცოლთან გაყრას „სიძვის მიზეზის გარეშე“. მოსეს კანონი (მეორ. 24:1-2) ქმარს უფლებამოსილს ხდის გაეყაროს ცოლს და მისცეს მას გაყრის საბუთი, რომელშიც ჩაიწერება, რომ ეს ქალი იყო მისი ცოლი და რომ ის უშვებს მას ამა თუ იმ მიზეზის გამო. ქალის მღვდომარეობა მაშინ ქმრის თვითნებობის პირობებში ძალიან მძიმე იყო. ამ ნებართვის შესახებ უფალი სხვა ადგილასაც საუბრობს (მარკ. 10:2-12). ის ეუბნება ფარისეელებს, რომ მოსემ გაყრის უფლება დაუწესა „მათი გულქვაობის გამო“, რომ თავიდან ასე არ იყო, რომ ქორწინება ღვთის მიერ არის დადგენილი განუყოფელ კავშირად. ის თავისთავად წყდება მაშინ, როცა ერთ-ერთი მეუღლე სიძვის ცოდვაში ჩავარდება. „თუ ქმარი ამ მიზეზის გარეშე გაეყრება თავის ცოლს, ის მრუშობისკენ უბიძგებს მას და ვინც გაშვებულს შეერთავს, მრუშობს“. ასე, რომ ორივე შემთხვევაში პასუხისმგებლობა ქმრის კისერზეა.

სჯულის კანონი კრძალავდა უფლის სახელის ამოდ დაფიცებას, მით უმეტეს ტყუილზე. იესო ქრისტეს თანამედროვე ებრაელები თითქოს ცდილობდნენ ამ ცნების დაცვას, მაგრამ იფიცებდნენ იერუსალიმს, თავის თავს, ცასა და მიწას, ამრიგად უფლის სახელის ხსენების გარეშე არღვევდნენ უფლის მცნებას და იფიცებდნენ ამაოებასა და ტყუილზე. უფალი იესო ქრისტე კრძალავდა ამგვარ და საერთოდ დაფიცებას, რადგან ყველაფერი უფალი ღმერთის შექმნილია, ქმნილების დაფიცება შემქმნელის დაფიცებასაც ნიშნავს. ქრისტიანი იმდენადვე პატიოსანი და სამართლიანი უნდა იყოს, რომ მისი „ჰო“ იყოს „ჰო“, „არა“ იყოს „არა“ – ყოველგვარი ფიცის გარეშე. მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ამით არ იკრძალება კანონიერი ფიცი ან შეფიცვა. თავად უფალმა დაამკვიდრა ფიცი, როცა სასამართლოში მღვდელმთავრის სიტყვებზე: „ცოცხალ ღმერთს გაფიცებ“, უპასუხა: „შენ თქვამ“, რადგან ებრაელებს სასამართლოში ფიცის ახალი ფორმა ჰქონდათ (მათ. 26:63-64). მოციქული პავლეც თავისი სიტყვების დასამტკიცებლად ღმერთს მოუხმობს და იფიცებს. (რომ. 1:9-9:1) (2კორ. 1:23, 2:17) (გალ. 1:20). სასტიკად იკრძალებოდა ფუჭი, ზედაპირული ფიცი.

უბველეს დროში შურისძიება, შურისგება იმდენად გავრცელებული იყო, რომ საჭირო გახდა მისი ზომიერების ფარგლებში მოთავსება, რაც რჯულის კანონით ხერხდებოდა. ქრისტეს კანონი სრულიად უარყოფს შურისგებას და მტრისადმი სიყვარულს ქადაგებს, მაგრამ გამოთქმა „ნუ ეწინააღმდეგები ბოროტს“, არ ნიშნავს სრულიად არ აღუდგე წინ ბოროტებას, როგორც ლევ ტოლსტოი და მისი მსგავსი მასწავლებლები აკეთებენ. უფალი გვიკრძალავს ბოროტების ბოროტებით მიგებას. თუმცა ბოროტების, მოვლენის წინააღმდეგ ქრისტიანმა შეურიგებელი ბრძოლა უნდა გამოაცხადოს და უნდა ებრძოდეს მას მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით, ისე რომ ბოროტება არ უნდა მიაკაროს თავის გულს.

არ უნდა გავიგოთ სიტყვასიტყვით ციტატა: „ვინც მარჯვნა ლოყაში გაგარტყამს, მარცხენა შეუჭვირე“, რადგან ვიცით, რომ თვით ქრისტე სხვაგვარად მოიქცა, როცა მღვდელმთავარ ანასთან დაკითხვაზე მისმა მსახურმა იესოს სილა გააწნა. (იოან. 18:22-23).

ჩვენ უნდა შევეცადოთ გამოვასწოროთ არა მხოლოდ ბოროტის მქმნელები, არამედ ჩვენი პირადი მწყენინებლებიც, რაც პირდაპირ მცნებად დაგვიდო უფალმა. მათეს სახარებაში (18:15-18) იკრძალება შურისგების ბოროტი გრძნობა და არა ბრძოლა ბოროტების წინააღმდეგ. ასევე იკრძალება მოდავეობა, ამის ნაცვლად გვევალება მოყვასის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება: „ვინც გთხოვს, მიეცე“ – ეს რათქმაუნდა არ გამორიცხავს იმ შემთხვევებს, როცა მოთხოვნილისთვის მიცემა არა თუ სასარგებლო, არამედ საზიანოც შეიძლება იყოს. მოყვასისადმი ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარული არ დაუშვებს მაგ: მისცეს მკვლელს მკვლელის დანა ან თვითმკვლელობის სურვილით ატაცებულს შხამი ან თოკი.

ძველ აღთქმაში ვერ ვიპოვით მცნებას „შეიძულე მტერი შენი“, მაგრამ, როგორც ჩანს ადამიანებმა თვითონ მოიპოვეს ასეთი მცნება თავისთვის და ამოიღეს მოყვასის სიყვარულის შესახებ მცნებიდან, რადგან „მოყვასად“ ისინი თვლიდნენ მხოლოდ რწმენით, წარმოშობით ან ურთიერთდავალებულობით დაახლოებულ ადამიანებს. დანარჩენები კატეგორიის ადამიანები და მათ შორის უცხოტომელებიცა და წარმართებიც მტრებად ითვლებოდნენ. მაშასადამე, მათი შეყვარებაც უადგილო და ზედმეტი საქმე იყო. ამის საპირისპიროდ ქრისტე გემოდღვრავს, რომ როგორც ჩვენს ზეციურ მამას, რომლისთვისაც მრისხანება და სიძულვილი უცხოა, უყვარს ყოველი ადამიანი, მათ შორის ბოროტი და უმართებულოც. ჩვენც ვისაც ზეციური მამის ღირსეული შვილობა გვინდა, უნდა გვიყვარდეს ყველა, ჩვენი მტრებიც კი.

უფალს სურს, რომ მისი მოსწავლეები და მიმღევრები ზნეობრივი თვალსაზრისით იუდეველებსა და წარმართებზე მაღლა იდგნენ. მათი სიყვარული არ უნდა ეფუძნებოდეს ეგოიზმსა და საკუთარი თავის სიყვარულით შემოფარგვლას. სიყვარული ღვთისა და საერთოდ

ადამიანისაც მცნებების გამო ჯილდოს იმსახურებს, მაგრამ სიყვარული თავისი ბუნებრივი მიდრეკილების გამო ან ყოფითი გამორჩენის მიზნით ჯილდოს ღირსი არაა.

ამრიგად, ქრისტიანული სათნოებების სულ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლით, ქრისტიანი საბოლოოდ მიადწევს უწრთობი და ბუნებრივი ადამიანური არსისათვის მიუწვდომელი მტრის სიყვარულის მცნების შესრულებამდე. იმის საჩვენებლად, თუ რამდენად ემსგავსება უმაღლესი სათნოების მქონე ადამიანი ღმერთს, დასტურდება იმით, რომ ქრისტიანული სრულყოფილების იდეალი სწორედ ღვთის მიმსგავსებულობაში მდგომარეობს. „მაშ, იყავით სრულყოფილნი, ისევე როგორც თქვენი ზეციური მამაა სრულყოფილი“. ეს სრულიად ესადაგება იმ გეგმას, რომელიც ჯერ კიდევ ადამიანის შექმნისას შედგა: „შექმნათ ადამიანი ჩვენს ხატად და მსგავსად“. (შეს. 1:26) ღვთიური სიწმინდე ჩვენთვის მიუწვდომელია, ამიტომ აქ იგულისხმება არა ჩვენსა და ღმერთს შორის თანასწორობა, არამედ ერთგვარი შინაგანი მიმსგავსება, ანუ მადლის დახმარებით ადამიანის უკვდავი სულის, თავის პირველსახესთან თანდათანობით მიახლოვება.

ქადაგების მეორე ნაწილი, რომელიც მე-6 თავს მოიცავს გვამცნობს უფლის მოძღვრებას მოწყალების, ღოცვის, მარხვის შესახებ და შეგონებას ადამიანის მთავარი მიზნისკენ, ცათა სასუფეველისკენ სწრაფვას. მას შემდეგ, რაც უფალი თავის მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს თუ რას უნდა აკეთებდნენ და რას არა, რომ ნეტარებას მიადწიონ, გადადის შემდეგ საკითხზე, კერძოდ თუ როგორ უნდა შესრულდეს ის, რაც მცნებებად დაუდო თავის მიმღევრებს. არც მოწყალების გაცემა, არც ღვთის თაყვანისცემა, არც ღოცვა და მარხვა საჩვენებლად ადამიანური დიდების მოსაპოვებლად არ უნდა ვაკეთოთ, რადგან ასეთ შემთხვევაში ადამიანისგან მიღებული ქება იქნება ჩვენი ერთადერთი ჯილდო. ამპარტავნება ჩრჩილივით ჭამს კეთილ საქმეებს, ამიტომაც უმჯობესია, რომ ყოველგვარი კეთილი საქმის დაფარულში კეთება, რათა არ დავრჩეთ ჯილდოს გარეშე ზეციური მამისაგან. ცხადია, ამით არ იფარგლება აშკარად მოწყალების გაცემა, არამედ შექების მიზნით და ყურადღების მისაქცევად ჩადენილი ქმედებაა აკრძალული. ასევე არ იკრძალება ტაძარში ღოცვაც, მთავარია იგი საჩვენებელი კი არა გულწრფელი და მხურვალე იყოს.

წმ. იოანე ოქროპირის აზრით „ამპარტავნებით დახურულ კარიან ოთახშიც კი შეიძლება ილოცო, თუმცა დახურული კარი არანაირ სარგებლობას არ მოგიტანს“.

ღოცვის მრავალსიტყვაობაში იგულისხმება წარმართების დამოკიდებულება ღოცვისადმი, რომელიც შელოცვას უფრო ჰგავს, რადგან რაც უფრო ხშირად გაიმეორებ მთავარ სიტყვებსო მით უფრო იმოქმედებს იგი. ჭეშმარიტი ქრისტიანები კი ღოცულობენ არა იმიტომ, რომ აქამდე ღმერთმა არ იცოდა მათი გასაჭირი არამედ იმიტომ, რომ ღოცვით გული გაისუფთაონ და ღვთის წყალობის ღირსნი გახდნენ, როცა მლოცველის სული ღმერთთან შინაგან ურთიერთობაში შევა. სწორედ ესაა ღოცვის მიზანიც, რომელიც მრავალსიტყვაობასთან სულაც არ არის კავშირში.

უფალი თუმცა გმობს მრავალსიტყვაობას, ამავე დროს იგი არაერთხელ მიგვითითებს ქადაგებაში განუწყვეტელი ღოცვის აუცილებლობას (ლუკ. 18, 1) და თავადაც ღამეებს ღოცვაში ატარებს. ღოცვა უნდა იყოს გააზრებული. ღმერთს ისეთი თხოვნით უნდა მივმართოთ, რომელიც მის ღირსებას შეეფერება და რომელთა ასრულებაც მაცხოვრებელი იქნება ჩვენთვის. ამგვარი ღოცვის მაგალითად უფალმა გვასწავლა „მამაო ჩვენო“, რომელსაც საუფლო ღოცვა ეწოდება. ეს ღოცვა არ გამორიცხავს სხვა ღოცვებს, თავად უფალი სხვა ღოცვებითაც მიმართავს ღმერთს (იოან. 17); როცა ღმერთს მამას ვუწოდებთ თავისთავად თავს მის შვილებად ვცნობთ, ერთმანეთს კი და-ძმებად და ვლოცულობთ არა მხოლოდ ჩვენგან და ჩვენთვის არამედ ყველასგან და ყველასთვის – ყოვლისა და ყოველთათვის. როცა ვამბობთ; „რომელი ხარ ცათა შინა“, განვეშორებით ყოველივე მიწიერსა და ზეციერ სასუფეველში ვმალდებით. „წმინდა იყავნ სახელი შენი“ – სახელი შენი წმინდა იყოს ყველა ხალხისათვის,

დაე ყველა ხალხმა აღიღოს ღვთის სახელი სიტყვით და საქმით; „მოვედინ სუფევა შენი“ – ქრისტე მესიის მეფობა, რაზეც ყველა იუდეველი ოცნებობდა, მაგრამ მცდარად, მიწიერად წარმოედგინა ეს მეფობა, აქ ვლოცულობთ იმისთვის, რომ უფალი მეფობდეს ყოველი ადამიანის გულში და დროებითი მიწიერი ცხოვრების შემდეგ ღირსი გაგვხადოს მასთან ყოფნისა საუკუნო ნეტარ ცხოვრებაში.

„იყოს ნება შენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა“ - ნიშნავს დედამიწაზე ყოველივე მოხდეს უფლის კეთილმოსურნე და უბრძნესი ნების თანახმად და დაე, ადამიანებმა ისევე შევასრულოთ უფლის ნება დედამიწაზე, როგორც ამას ანგელოზები აკეთებენ ზეცაში.

„პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს“ – მოგვეცი ჩვენ სადღეისოდ ყველაფერი, რაც აუცილებელია სხეულის გამოკვებისთვის, რა მოგვივა ხვალ ღვთის ნებაა და ადამიანმა არ იცის, ჩვენ მხოლოდ „არსობის პური“ გვჭირდება არსებობის გასაგრძელებლად.

„და მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, როგორც ჩვენ მიუტევეთ ყველა ჩვენს თანამდებთ“ (ლუკ. 11:4) ცოდვები - ჩვენი ვალებია, რადგან, როცა ვცოდავთ ჩვენს მოვალეობას არ ვასრულებთ და უფლისა და ადამიანის წინაშე ვალში ვრჩებით. ლოცვის არსი შთაგვაგონებს, რომ მოყვას ჩვენდამი მოყენებული წყენა ვაპატიოთ; სხვისი უპატივცემულობით ჩვენ ღმერთის წინაშე, ჩვენი ცოდვების პატიების უფლება გვერთმევა, და შეუძლებელი ხდება საუფლო ლოცვის სიტყვებით წარმოთქმა.

„და ნუ შემეყვანებ ჩვენ განსაცდელსა“ – ნიშნავს რაიმე უზნეო მოქმედებისაკენ მიდრეკის გზით, ჩვენი ზნეობრივი ძალების გამოცდას. ჩვენ უფალს ვთხოვთ, რომ თუ გარდაუვალია ამგვარი გამოცდა, დაგვიფაროს ზნეობრივი დაცემისგან. „არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან“ - ე.ი. მიხენ ყოველგვარი ბოროტებისა და მასში ბრალდებული ეშმაკისაგან.

ლოცვა სრულდება თხოვნის ასრულების რწმენით, რადგან ღმერთს ეკუთვნის ძალა, სუფევა, მეუფება და დიდება. სიტყვა „ამინ“ – ებრაულად თარგმანში ნიშნავს: „ახეა“, „ჭეშმარიტად“, „ახე იყოს“. ამ სიტყვას დაიძახებდნენ ებრაელები, როცა სინაგოგაში მლოცველი მთავარ ლოცვას დაასრულებდა.

უფლის სწავლება მარხვის შესახებ, რომელიც ასევე ღმერთისთვის უნდა იყოს და არა კაცთათვის საჩვენებლად; ცხადყოფს იმას, თუ რამდენად ცდებიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ უფალს თავისი მოწაფეებისთვის მარხვა არ დაუწესებია. მარხვისას დაუშვებელია გარეგნულად ისე შეცვლა, რომ ამით ყურადღება მივიპყროთ. ადამიანების წინაშე მარხული ბუნებრივად, ჩვეულებრივად უნდა იქცეოდეს. აღმოსავლეთში მიღებული იყო, ტანის დაბანის შემდეგ ზეთის წასმა, განსაკუთრებით თავზე, ფარისეველები კი მარხვის დროს არ იბანდნენ, არ ივარცხნიდნენ თავს და ზეთსაც არ ისმევდნენ, რითაც უჩვეულო გარეგნობის გამო ხალხის ყურადღებას იპყრობდნენ, რასაც მათ საყვედურობს უფალი.

შემდეგ მე-6 თავის მე-19 სტროფიდან უფალი გვასწავლის, რომ ყოველგვარ საძებნელს ცათა სასუფევლის ძებნა სჯობს და ამ ძებნისგან არ უნდა მოვცდეთ რაიმე სხვა საზრუნავის გამომ: არ ვიზრუნოთ მიწიერი ქონების შეძენასა და დაგროვებაზე, რადგან იგი არ არის სამუდამო და ადვილად გაფუჭდება და განადგურდება. ვისაც სად აქვს საუნჯე დაუნჯებული, თავადაც იქა თავისი აზრებითა და გრძნობებით. ამიტომ ქრისტიანი, რომელიც თავისი აზრებით ზეცაში უნდა იყოს, მიწიერი მომხვეჭელობა კი არ მართებს, არამედ ზეციური საუნჯეების მოპოვებას უნდა ესწრაფოდეს, ასეთებია მაგალითად სათნოებები. ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ გულს, მოვარიდოთ იგი მიწიერ ვნებებსა და სურვილებს, რათა მან ჩვენში სულიერი ზეციური ნათელი შემოაცვილოს, ისევე როგორც სხეულებრივი თვალი შემოატარებს ჩვენში საგნობრივ სინათლეს.

ვინც ფიქრობს ერთდროულად ემსახურებოდეს ღმერთსაც და მამონასაც (მამონა – ღვთაება, რომელსაც მიწიერი სიმდიდრის ღვთაებად მიიჩნევენ, მსგავსად ბერძნული პლუტონისა), ორი ბატონის მამებელს ჰკავს, რაც შეუძლებელია, რადგან ორივე სხვადასხვა ხასიათი და მოთხოვნები აქვს. უფალი კი გვიზიდავს ჩვენ ზეციურისკენ, ხოლო სიმდიდრე მიწიერისა და ხრწნადისკენ გვექაჩება. ამიტომ საუკუნო ცხოვნების საქმის ხელშემშლელი გაორების თავიდან ასაცილებლად, უნდა უარყოთ ჭამა-სმისა და ჩაცმის გადაჭარბებული მოთხოვნები, დამღელი ზრუნვა, რაც ჩვენ დროსა და ყურადღებას შთანთქავს და გვაშორებს ჭეშმარიტ საზრუნავს. თუკი ღმერთი ასე ზრუნავს პირუტყვებზე, საკვებს აძლევს ფრინველებს, ასევე მიდრეულად მოსავს ველის ყვავილებს, მაშინ ადამიანს მითუმეტეს არ დატოვებს აუცილებლობის გარეშე. ადამიანი ხომ ღმერთის ხატად არის შექმნილი და მოწოდებულია ღვთის სასუფეველის დასამკვიდრებლად. ჩვენი ცხოვრება ჩვენზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ უფლის ნებაზე. განა შეგვიძლია ჩვენ „ზრუნვით ჩვენს სიმაღლეს ერთი წყრთა შევმატოთ?“ ცხადია ეს არ ნიშნავს შრომასა და გარჯაზე უარის თქმას და როგორც ამას ზოგიერთები განმარტავენ. შრომა ღმერთმა ჯერ კიდევ პირველ ადამიანს დაუდო მცნებად ცოდვით დაცემამდე (საქმ. 2:15). რაც ძალაში დარჩა ადამიანს სამოთხიდან გამოდევნის შემდეგაც (3:19). ზემოთხსენებულ სიტყვებში იგმობა არა შრომა, არამედ მომავლისათვის გადამეტებული ზრუნვა, რომელიც არ შედის ჩვენს უფლებებში და რომლის დადგომამდეც ჯერ ცოცხლები უნდა დავრჩეთ. აქ მითითებულია ფასეულობათა სწორი იერარქია „პირველეს ყოვლისა ღვთის სასუფეველი და მისი ჭეშმარიტება მოიძიეთ“ ამისთვის უფალი თავისი მზრუნველობით დაგაჯილდოვებთ, რათა გქონდეთ ყველაფერი, რაც აუცილებელია მიწიერი ცხოვრებისათვის, ფიქრი ამის შესახებ არ უნდა გაწუხებდეთ და გაჯავრებდეთ, როგორც ღვთის განგებისადმი ურწმუნო წარმართებს. ქადაგების ეს ნაწილი (6:25-34) თვალწინ გვიშლის ღვთის მამობრივი მზრუნველობის მთელ სურათს. „ამრიგად ნუ იზრუნებთ ხვალინდელ დღეზე, ვინაიდან ხვალინდელი დღე თვითონ იზრუნებს თავის თავზე“. ხვალინდელი დღე თითონ მოიტანს იმ საზრუნავს, რომელზეც შესაძლოა სულაც არ ვფიქრობდით.

ქადაგების მე-3 ნაწილი, რომელიც მე-7 თავშია წაროდგენილი გვასწავლის, რომ არ უნდა განვიკითხოთ მოყვასი, შეგინებისაგან დავიცვათ სიწმინდე, მუდმივად ვიყოთ ღოცვაში, ასევე საუბარია ფართო და ვიწრო გზების, ანუ ცრუ წინასწარმეტყველების და მათი ცრუ სიბრძნის შესახებ.

„არ განიკითხოთ და არ განიკითხებით“ – ამბობს უფალი (ლკ. 6:37). აქ იკრძალება არა განსჯა მოყვასის შესახებ, არამედ მისი განკითხვა, გაჭორვა, რაც ხშირად არაწმინდა განზრახვით, პატივმოყვარეობითა და სიამაყის გამო ხდება. ასევე იკრძალება ავსიტყვაობა, ბილწსიტყვაობა, სხვათა ნაკლოვანებების ბოროტი დაცინვა, რაც მოყვასის უსიყვარულობიდან მოდის. ამ მცნებაში რომ ყოველგვარი განსჯა იკრძალებოდეს მოყვასის შესახებ, მაშინ უფალი არ იტყოდა: „ნუ მისცემთ წმიდას ძალებს და ნურც თქვენს მარგალიტებს დაუყრით წინ ღორებს“ და ქრისტიანებიც ვერ შეძლებდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას, რაც ცოდვილთა მხილებასა და გონს მოყვანაში მდგომარეობს, რასაც თავად უფალი თვითონვე გვავალებს (18:15–17). იკრძალება ბოროტი გრძნობა, ბოროტი სიხარული და არა მოყვასის საქციელის შეფასება. რადგან თუ ბოროტება ვერ შევამჩნიეთ, აღვილად დაგვარგავთ ბოროტისა და კეთილის გარჩევის უნარს.

წმ. ოქროპირი ამბობს: „თუ ვინმე მრუშობს, ნუთუ არ უნდა ვუთხრა, რომ სიძვა ბოროტებაა და ნუთუ არ უნდა გამოვასწორო გარყვნილი?“ გამოასწორე, მაგრამ არა როგორც მტერმა, რომელიც სჯის, არამედ, როგორც მოწამლე ექიმმა. არა ლანძღვითა და გინებით, არა დადანაშაულებით, არამედ რჩევის მიცემით, სიყვარულით, თანადგომით, რომელშიაც არ ურევია სიამაყე. ქრისტე კრძალავს ადამიანთა ბოროტად გაკიცხვას, მათი ნაკლოვანების გამო. ასეთი ადამიანი ვერ ამჩნევს საკუთარ უფრო დიდ ნაკლს. ამ მცნებებში საუბარი არ ეხება

სამოქალაქო, ადამიანურ სამსჯავროებს, როგორც ამას ცრუმასწავლებელი ხსნიან. არც საერთოდ ადამიანის ქმედებათა შეფასებაზეა საუბარი. უფალს მხედველობაში ჰყავს ამაყი, თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ფარისევლები, რომლებიც უმოწყალოდ განიკითხავდნენ სხვებსა და მხოლოდ თავის თავს თვლიდნენ მართლებად. აქვე ამის შემდეგ უფალი აფრთხილებს თავის მოწაფეებს, რომ არ უქადაგონ მისი ღვთაებრივი სწავლება იმ ხალხს, რომლებიც ძაღლებისა და ღორების მსგავსად ვერ აფასებენ ამ სიბრძნეს, ბოროტებასთან თავინთი უკიდურესი შეზრდილობის გამო, რომელნიც ღრმად არიან ჩაფლული გარყვნილებისა და ბიწიერების მორევში და ბოროტი, მძვინვარე დამოკიდებულება აქვთ ყოველივე კეთილისადმი.

შემდეგ დარიგებაში: „თხოვეთ და მოგეცემათ“ – უფალი გვასწავლის, რომ მოთმინებით, გულმოდგინებით და მუდმივად ღოცვით ყოველი ქრისტიანი, რომელსაც ახსოვს, რომ ცათა სასუფეველი და მისი სიმაღლე უპირველესია, თავის ღოცვაში არ მოითხოვს რამეს ამას, მავნებელს ცხოვნებისათვის, ამიტომ შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ მისი ღოცვის მიხედვით „მიეცემა მას“ და „გაელება“, უფლის დაპირებისამებრ, კარი, რომელზეც დააკაკუნებს.

წმ. მათე ამბობს: „მისცემს სული წმიდას მას, ვინც სთხოვს“ – ე.ი. ეს ის სიკეთეა, რომლის თხოვნაც შეიძლება და საჭიროცაა. მამა შვილს უსარგებლოს არაფერს მისცემს, ასევე უფალიც ადამიანს მხოლოდ მისთვის სასიკეთოს აძლევს.

ჩვენი სხვა ადამიანებთან დამოკიდებულების სწავლების შესახებ უფალი აყალიბებს წესს, რომელსაც „ოქროს“ წესი ჰქვია: „ამიტომ, ყველაფერში როგორც გინდათ რომ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისევე მოექცით მათ. ვინაიდან ეს არის რჯული და წინასწარმეტყველი“. ადამიანებისადმი სიყვარული ხომ ღმერთისადმი სიყვარულის ანარეკლია, როგორც ძმებისადმი სიყვარული არის მშობლებისადმი სიყვარულის ანარეკლი.

ქრისტე გვაფრთხილებს, რომ მისი მცნებების დაცვა არც ისე იოლია: ეს არის „ვიწრო გზა“ და „ვიწრო კარიბჭე“, მაგრამ მათ მარადიული ნეტარი სიცოცხლისკენ მიყვავართ, მაშინ როცა ფართოსა და განიერს, რომელიც მრავალს იზიდავს და ასეთებს არ უყვართ ცოდვიან ვნებებთან ბრძოლა, დაღუპვისაკენ მიჰყავს ისინი.

აქვე უფალი აფრთხილებს თავის მიმდევრებს, რომ გამონღნდებიან ცრუ მასწავლებლები და ცრუ წინასწარმეტყველები, რომლებსაც შეუძლიათ, ამ ერთადერთი მაცხოვრებელი გზიდან გადაახვევინონ, აცდუნონ ადამიანები. დღესდღეობით ესენი გახლავთ მრავალრიცხოვანი სექტანტები, რომლებიც ისე მიმზიდველად საუბრობენ ცხოვნების სიმაღტის შესახებ, ამ ვიწრო გზისა და კარიბჭის გვერდის ავლით. სწორედ ამ ცრუმასწავლებლებს აქვთ მშვიდი ცხვრის გარეგნობა, შინაგანად კი მტაცებელი მგლები არიან, რომლებიც მიმდობ ცხვრებს დაღუპავენ. ასეთი მგლების ცნობა მათი ნაყოფით შეიძლება ანუ მათი ცხოვრებისა და ქმედების მიხედვით, თითქოსდა თანამედროვე სექტანტების (რომლებიც ცხოვნებისათვისათვის საკმარისად მარტო რწმენას მიიჩნევენ), წინააღმდეგაა მიმართული უფლის შემდეგი სიტყვები: „ვინც მეუბნება, უფალო! უფალო! ყველა როდი შევა ცათა სასუფეველში, არამედ ის, ვინც შეასრულებს ჩემი ზეციური მამის ნება-სურვილს“. ა.გ. ცხადია, რომ მხოლოდ რწმენა საკმარისი არ არის, არამედ საჭიროა ცხოვრება, რომელიც ამ რწმენას პასუხობს, ანუ ქრისტესმიერი მცნებების დაცვა და კეთილი საქმეების კეთება.

ქრისტიანობის ქადაგების დასაწყისში ბევრი ახდენდა სასწაულებს ქრისტეს სახელით, იუდაც კი. მან ეს ხელმწიფება 12 მოციქულთან ერთად მიიღო, მაგრამ ეს არ აცხოვნებს იმათ, ვინც არ იზრუნებს ღვთიური მცნებების დაცვისთვის.

იმავე აზრს იმეორებს უფალი თავისი ქადაგების დასასრულს: ვინც ისმენს ქრისტეს სიტყვებს, მაგრამ არ ასრულებს მათ, არ აკეთებს კეთილ საქმეს, ის ჰგავს ადამიანს, რომელმაც

სახლი ქვიშაზე აიშენა. მხოლოდ ქრისტეს მცნებების დამცველი კაცი ჰგავს კეთილგონიერ ადამიანს, რომელმაც სახლი კლდეზე ააგო. ეს შედარება განსაკუთრებით ახლო და გასაგები იყო იუდეველებისათვის, რადგან პალესტინაში ხშირად ამოვარდებოდა ხოლმე ქარიშხალი, მას ზედ ერთვებოდა წვიმა, რომელიც სახლებს ანგრევდა, თუ კი ისინი ქვიშიან გრუნტზე იყვნენ ნაგებნი, მხოლოდ ქრისტეს მცნებების დამცველს შეუძლია სინამდვილეში გაუძლოს ქარიშხალივით მოვარდნილ განსაცდელს. მცნებათა არდამცველი ადვილად ვარდება სასოწარკვეთილებაში და ქრისტეს უარმყოფელი იღუპება. ამიტომაც ევედრება ჩვენი ეკლესია თავის საგალობლებში ქრისტე ღმერთს, განგამტკიცოს ჩვენ „თავის მცნებათა კლდესა ზედა“.

წმ. მათე უფლის მთაზე ქადაგების გადმოცემას ამთავრებს მოწმობით, რომ ხალხი გაოცებული იყო მისი მოძღვრებით, რადგან ქრისტე ასწავლიდა მათ როგორც „ხელმწიფების მქონე“ და არა როგორც მწიგნობრები და ფარისევლები, რომელთა სწავლება წერილმან უსარგებლო სიტყვათხლართვასა და კამათში მდგომარეობდა. უფლის მოძღვრება უბრალო და ამადლებულია, რადგან ის ლაპარაკობს როგორც ძე ღვთისა, როგორც არავის იქამდე ასე არ ულაპარაკია, ამასთან ის თავისგან ლაპარაკობს და მის სიტყვებში: „ხოლო მე გეუბნებით“ ნათლად იგრძნობოდა ღვთიური ძალაუფლება.

8. კეთროვნების განკურნება (მათ. 8:1-4)

იესოს მთაზე ქადაგების დასრულების შემდეგ, როცა ის მთიდან დაეშვა, მას უკან მისი მსმენელი და უეჭველად მისი ქადაგებით ღრმადშეძრული ხალხი დაედევნა. და აი კვლავ, როგორც უკვე ერთხელ მოხდა და რომლის შესახებაც მოგვითხრობე მახარებელი მარკოზი (1:40-45) და ლუკა (5:12-16) მასთან მივიდა კეთროვანი და ამ საშინელი სენისაგან განკურნება სთხოვა. ცხადია, ეს არ იყო ამ დაავადებულის განკურნების ერთეული შემთხვევა, თუკი მხედველობაში მივიღებთ იმ სასწაულთა და კურნებათა სიმრავლეს, რომლებიც უფალმა თავისი საზოგადოებრივი მსახურების დროს მოახდინა. არ არის გასაკვირი, რომ ამ კეთროვანსაც, როგორც სხვებს უფალმა მღვდელთან მისვლა უბრძანა, რათა მოსეს კანონის თანახმად, განკურნების ფაქტი ოფიციალურად დადასტურებულიყო, რის გარეშეც ყოფილი კეთროვანი ჯანმრთელი ადამიანის საზოგადოებაში ვერ დაბრუნდებოდა.

უფალმა განკურნებულს უბრძანა, განკურნების შესახებ ხმა არ დაეძრა და დაუყოვნებლივ წასულიყო მღვდელთან. ზოგიერთი მკვლევარის აზრით განკურნებული მაშინვე თუ არ ჩავიდოდა იერუსალიმში მღვდელთან საჩვენებლად, კურნების ხმა სწრაფად გავრცელდებოდა, ჩაადწეოდა იერუსალიმამდეც და მაშინ უფლისადმი მტრულად განწყობილი მღვდლები დაიწყებდნენ მტკიცებას, რომ განკურნებული კეთრით ავად სულაც არ ყოფილა.

9. კაპერნაუმის ასისტავის მსახურის განკურნება

(მათ. 8:5-13; ლუკ. 7:1-10)

ზემოთხსენებულ კურნების შემდეგ უფალი შევიდა კაპერნაუმში, სადაც რომაელი ასისტავის მსახურის განკურნების სასწაული მოახდინა. როგორც ჩანს, ის სათავეში ედგა, რომაელი გარნიზონის ასკაციან ჯგუფს, ასეთი გარნიზონები წესრიგის დასაცავად და მცველებად ჰყავდათ ჩაყენებული მაშინდელ პალესტინის სხვადასხვა კუთხეში, რომელიც რომაელებს ემორჩილებოდა. ასისტავი დაბადებით წარმართი იყო, მაგრამ როგორც ეტყობა, იუდეური რელიგიისადმი კეთილად იყო განწყობილი. ამას ადასტურებს მის მიერ სინაგოგების

აშენება. წმ. მათეს მიხედვით, მისი მსახური სასტიკად იტანჯებოდა და სუსტად, უღონოდ იყო, ხოლო წმ. ლუკას მიხედვით კი, სიკვდილის პირას იყო მისული.

წმ. ლუკა უფრო დაწვრილებით გვიყვება, რომ ასისტავმა, იესოსთან პირველად იუდეველთა უხუცესები გაგზავნა თხოვნით, რომ განეკურნა მისი მსახური. შემდეგ გაგზავნა თავისი მეგობრები, ბოლოს კი წმ. მათე გვაუწყებს, რომ თავადაც გამოეცა მას სახლთან.

ქრისტესადმი ნათქვამ მის სიტყვებში: „უფალო, არა ვარ ღირსი, რომ ჩემს ჭერქვეშ შემოხვიდე. მხოლოდ სიტყვა თქვი და განიკურნება ჩემი მსახური“. წარმართისათვის იმდენად უჩვეულო რწმენა და თავმდაბლობა გამოსჭვივოდა, რომ უფალმა, როგორც ორივე მახარებელი გადმოგვცემს, საჭიროდ ჩათვალა გარშემომყოფების წინაშე აღენიშნა და ხაზი გაესვა იმ რწმენისთვის, რომელიც რჩეულ ებრაელ ხალხთა შორისაც კი ვერ ჰპოვა.

შემდგომ, როგორც მხოლოდ წმ. მათე მახარებელი გადმოგვცემს უფალმა უკუაგლო ებრაელების ცრურწმენა იმაზე, რომ მესიის სამეფოს წევრად ყოფნა მხოლოდ ებრაელებს შეუძლიათ. მან იწინასწარმეტყველა, რომ „აღმოსავლეთისა და დასავლეთის“ წარმართთაგან ბევრი ძველ მამებთან ერთად ამ სასუფეველში შესვლის ღირსი აღმოჩნდება. მაშინ, როცა „სასუფეველის ძენი“, ანუ ებრაელები, მესიისადმი ურწმუნოების გამო, „ქვესკნელის სიბნელეში“ გადაიყრებიან, სადაც იქნება ტირილი და კბილთა ღრჭენა.

უფლის ამ სიტყვებში ისევე, როგორც მის სხვა, მის საუბარსა და იგაგებში, ცათა სასუფეველი ვახშობისა თუ სადღესასწაულო სუფრის სახით არის წარმოდგენილი. აღმოსავლეთში ასეთ სუფრასთან კი არ ისხდნენ, არამედ „მიწოლილი იყვნენ“ რაიმეში დამნაშავე სტუმრებს გარეთ აძევებდნენ. ზემოთქმულში „გარესკნელის სიბნელე“ დაპირისპირებულია ნათელი ოთახის სიბნელთან. გაგებულ სტუმრები ღამის სიბნელეში ტირიან და აქვთ „კბილთა ღრჭენა“ – ეს შედარება პირდაპირ მიგვითითებს ჯოჯოხეთის ტანჯვაზე, რომელიც ურჩი ცოდვებისთვისაა გამზადებული. ასისტავის რწმენა და თავმდაბლობა უფალმა იმით დააჯილდოვა, რომ მისი მსახური მყისვე განიკურნა სიტყვებით: „წადი და როგორც ირწმუნე, ისე მოგვოს!“

10. ნაინელი ქერივის ვაჟის განკურნება (ლუკ. 7:11-17)

ამ მოვლენის შესახებ მოგვითხრობს მხოლოდ მახარებელი ლუკა და უკავშირებს მას იოანე ნათლისმცემლის იესო ქრისტესთან ელჩობას, რომელიც შემდეგ მოხდა.

კაპერნაუმიდან უფალი მიემართება ქ. ნაინში, რომელიც გალილეის სამხრეთ საზღვართან ახლოს, მცირე ერმონის მთის ფერდობზე მდებარეობს და ისახარის ყოფილ ტომს ეკუთვნის. მისი სახელი ნაინი „საამოს“ ნიშნავს. როგორც ჩანს მან ეს სახელი ესდრელონის საძოვრებით მდიდარ და ღიდებულ ველზე განლაგებისა და სილამაზის გამო მიიღო.

უფალს თან ახლდნენ მოწაფეები და უამრავი ხალხი. ძველ დროში ქალაქები გარშემორტყმული იყო მაღალი კედლებით, ისე რომ, შესვლა მხოლოდ ჭიშკრით შეიძლებოდა. ეს ბუნებრივია, მტრების შემოსევისას თავდასაცავად კეთდებოდა.

და აი, ქალაქის კარტესთან უფალი შეხვდა სამგლოვიარო მსვლელობას. დასამარხად ვინმე ქერივი ქალის ერთადერთი ვაჟი მიჰყავდათ. დამწუხრებული დედის დანახვისას უფალს იგი შეეცოდა და უთხრა: „ნუ სტირი“, შემდეგ შეეხო ცხედარს და ამით ნიშანი მისცა მგლოვიარებს, რომ გაჩერებულიყვნენ. უფალმა ჭაბუკს მიმართა: „ჭაბუკო, შენ გეუბნები, აღდექი!“ – მიცვალებული მყისვე აღდგა, უფალმა იგი გახარებულ დედას ჩააბარა. ყველა შიშმა

შეიპყრო, მაგრამ სასწაულის მოწმეებმა მაინც არ სცნეს სასწაულმოქმედი მესიად, არამედ „დიდ წინაწარმეტყველად“ და ამგვარივე აზრი გაავრცელეს მასზე მთელს იუდეასა და მის შემოგარენში.

11. იოანე წინამორბედის ელჩობა უფალ იესო ქრისტესთან და უფლის მოწმობა იოანეს შესახებ (მათ: 11:12-19; ლუკ.7:18-35)

წმ. იოანე ნათლისმცემელს არ შეეძლო ეჭვი შეეტანა იესო ქრისტეს ღვთაებრივ ღირსებაში (იოან. 1:32-34), მაგრამ ის მაინც აგზავნის ორ თავის მოწაფეს იესო ქრისტესთან შემდეგი შეკითხვით: „შენა ხარ ის, ვინც უნდა მოსულიყო, თუ სხვას უნდა ველოდოთ?“ ამ კითხვაზე პასუხი ნათლისმცემელს კი არ სჭირდებოდა, არამედ მის მოწაფეებს, რომლებსაც ბევრი გაეგონათ უფლის სასწაულების შესახებ და ვერ ხვდებოდნენ, რატომ არ აცხადებდა ის თავს მესიად, თუკი მართლა მესია იყო. მაგრამ უფალი შეკითხვებზე არ იძლევა პირდაპირ პასუხს, რადგან ებრაელების წარმოდგენები და იდეები მესიის შესახებ მიწიერ დიდებას არ სცილდებოდა. მხოლოდ ის, ვისაც ქრისტეს სწავლებით ჰქონდა განწმენდილი სული, ჰქონდა უფლება იმის ცოდნისა, რომ იესო ჭეშმარიტად არის ქრისტე-მესია. ამიტომაც პასუხის ნაცვლად იგი ესაია წინასწარმეტყველზე დაყრდნობით (35:2-6) ყურადღებას მიაქცევს მის მიერ მოხდენილ სასწაულებზე, როგორც მისი ღვთიური ღირსების დამამტკიცებელ საბუთზე და დასძენს „ნეტარია, ვინც არ შეცდება ჩემში“, ანუ არ დაეჭვდება, რომ ქრისტე მესიაა, მისი დამცირებული შესახედაობის გამო.

იმის გამო, რომ იოანეს კითხვის გამო, არავის ეფიქრა, რომ იოანე შეეჭვდა მაცხოვარში და აეცილებინა ზედმეტი მითქმა-მოთქმა ნათლისმცემლის შესახებ, მისი მოწაფეების წასვლის შემდეგ საუბრობს იოანეს მაღალღირსებასა და მისი, როგორც უდიდეს წინასწარმეტყველთაგან მსახურების შესახებ სიტყვები: „მაგრამ ღვთის სასუფეველში უმცირესი მასზე დიდია“. ძვ. აღთქმის უმაღლეს სიწმინდეზე ქრისტიანის აღმატებულობას ამტკიცებენ. იოანე ნათლისმცემლის დიდიან აქამდე ცათა სასუფეველი ძალისხმევით აიღება, ხოლო ძალისხმევლი წარიტაცებენ მას. „ვინაიდან ყველა წინასწარმეტყველი და რჯული იოანემდე წინასწარმეტყველებდნენ“.

ზემოთქმულში ძვ. აღთქმის წინასწარმეტყველებებსა და რჯულის ეკლესიას ახალი აღთქმის ქრისტეს ეკლესია უპირისპირდება. 2 აღთქმის გასაყარზე მდგომი იოანეთი დამთავრდა მოსამზადებელი მნიშვნელობის მქონე ძველი აღთქმის დრო და დაარსდა ქრისტეს ეკლესია, რომელშიც შედის ყველა, ვინც ძალისხმევას გაიღებს. მალაქიას (4:5) იმ წინასწარმეტყველებაზე დაყრდნობით, რომელიც უეჭველად ქრისტეს მეორედ მოსვლას ეხება, ებრაელები მესიის მოსვლამდე წინასწარმეტყველ ელიას მოსვლას ელოდნენ, ეს იქნებოდა მისი მეორედ გამოჩენა. იოანეს შესახებ კი მალაქია ამბობს, რომ ის არის ანგელოზი, რომელიც გზას გაუმზადებს უფალს (3:1). ანგელოზმა, რომელმაც ზაქარიას იოანეს დაბადება უწინასწარმეტყველა, თქვა, რომ ის ივლის მის წინაშე ელიას სულით და ძალით, მაგრამ თვით ელია არ იქნება. თვითონ იოანე იუდეველების შეკითხვას: „შენ ხარ ელია?“ პასუხობს – „არა!“ აზრი ქრისტეს სიტყვებისა: „თუ მიღება გსურთ იგია ელია, რომელიც უნდა მოვიდეს“ – ასეთია „თუ თქვენ პირდაპირ გესმით მესიის მოსვლამდე ელიის მოსვლა მალაქია წინასწარმეტყველის მიხედვით, მაშინ იცოდეთ, რომ ის ვინც მესიამდე უნდა მოსულიყო, მოვიდა, ეს არის იოანე“.

ფრიად ყურადსაღებია იოანეს მოწმობები ქრისტეზე და თვით ქრისტეს ნათქვამი მოწმობები იოანეზე. უფალი ამბობს, ყურადღება მიაქციეთ იოანეს „შესახებ ჩემს მოწმობებს“, „ვისაც ყური აქვს ისმინოს“, „ვის ვამსგავსო ეს მოღვაძე?“ ანუ წინაპრები და ფარისევლები? ისინი გვანან თავნება, ახირებულ ბავშვებს, რომელთა გულის მოგება მათი ამხანაგებისთვისაც

შეუძლებელია“, რადგან ფარისევლები და მწიგნობრები მესიას, როგორც დიდებულ მეფეს ელოდნენ და მათი გულების მოგება ვერაფრით ვერ შეძლო დიდმა მომარხულე იოანემ; თუმცა, მათი გული ვერ მოიგო ვერც იესო ქრისტემ, რომელიც იოანეს საპირისპიროდ, ცოდვილთა საცხოვნებლად უარს ამბობდა მათთან ერთად ტრაპეზის განაწილებაზე. „გამართლებულია სიბრძნე მისი ყველა შვილის მიერ“ – ნეტ. თეოფილაქტე ამ სიტყვებს ასე გვისხნის, რომ ქრისტე ამბობს: „როცა თქვენ არც იოანეს და არც ჩემი ცხოვრება-მოღვაწეობა არ მოგწონთ და ხელს კრავთ ცხოვრების ყველა გზას, მაშინ ქე-ღვთისას სიბრძნე გამართლებულია არა ფარისევლების, არამედ ჩემი შვილების წინაშე“. ეს „სიბრძნის შვილები“ არიან უბრალო იუდეველი ადამიანები, მეზვერენი და ცოდვილნი, რომლებმაც ირწმუნეს ქრისტე და მთელი გულით მიიღეს მისი ღვთაებრივი სწავლება. მათ გაამართლეს ღმერთი და ღვთიური სიბრძნე, ანუ თავის თავზე აჩვენეს, რომ უფალმა სწორად და სიბრძნით მოაწყო ადამიანთა ხსნა. ამ ადამიანებს გაეხსნათ ამპარტავნობით დაბნელებული, ფარისევლებისთვის მიუწვდომელი ღვთიური სიბრძნე.

12. უწმინდური ქალაქების მხილება, ყრმათათვის სიბრძნის განცხადების გამო ღვთის განდიდება, დამაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მოწოდება.
(მათ: 11:20-30, ლუკ. 10:13-16, 21-22)

მთელი გულით სწუხს უფალი ქალაქების ქორაზინის (კაპერნაუმიდან ჩრდილოეთით მდებარე) და ბეთსაიდას (კაპერნაუმიდან სამხრეთით მდებარე) მდგომარეობის გამო, რადგან მიუხედავად მრავალი სასწაულის ხილვისა, არ მოინანიეს თავიანთი ცოდვები. უფალი ამ ქალაქებს ადარებს ტვიროსსა და სიდონს, (ფინიკიის მეზობელ წარმართულ ქალაქებს) და ამბობს, რომ ამ უკანასკნელთა მდგომარეობა უკანასკნელი სამსჯავროს დროს იმ ებრაელთა მდგომარეობაზე უკეთესი იქნება, რომელთაც გადარჩენის საშუალება მიეცათ, მაგრამ არ ინდომეს მონანიება, როგორც თავის დროზე ნაცრის თავზე დაყრით მოინანიეს ნინევიელებმა იოანეს ქადაგების შედეგად.

კაპერნაუმსაც დაღუპვას უწინასწარმეტყველებს უფალი, მისი ეკონომიური წარმატების მიზეზით უკიდურესი განდიდებას გამო. მას იგი უწმინდურებით სოდომსა და გომორს ადარებს, ისინი კი ღმერთმა გოგირდის წვიმითა და ცეცხლით გაანადგურა.

ყველა ამ ქალაქს, მართლაც მალე დაატყდა თავს ღვთის რისხვა. ისინი რომაელებმა დაანგრიეს იმავე ომში, როცა დაინგრა იერუსალიმი.

სჯულის კანონის ცოდნით გაამაყებული მწიგნობრები და ფარისევლები ვერ მიხვდნენ ქრისტეს სწავლებას, მათი სულიერი სიბრძნის გამო ღვთაებრივი სიბრძნე მათგან დაფარული აღმოჩნდა და აი, უფალი აღიღებს თავის ზეციურ მამას იმის გამო, რომ მისი სწავლების ჭეშმარიტება „ბრძენთა და გონიერთათვის“ დაფარული, ხოლო „ჩვილთათვის“, ე.ი. უბრალო, უბოროტო ადამიანებისათვის, როგორებიც იყვნენ მოციქულები და უახლოესი მოწაფეები, გაიხსნა. ეს ხალხი არა გონებით, არამედ გულით გრძნობდა, რომ იესო ჭეშმარიტი მესია-ქრისტეა. „ყველაფერი ჩემი მამის მიერ გადმომეცა მე“ – ყველაფერი ჩემს ძალაუფლებაშია, ხილული სამყაროც და უხილავიც – მოცემული მაქვს არა როგორც ქე ღვთისას, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა ამგვარი ხელმწიფება, არამედ როგორც ღმერთკაცს და ადამიანთა მხსნელს, რათა მას ყველაფერი ადამიანთა სახსნელად მიემართა. „ხოლო არავინ იცის ვინ არის მამა, გარდა ძისა, და არავინ იცის ვინ არის ქე, გარდა მამისა და იმისა, ვისაც ქემ უნდა განუცხადოს“. ადამიანთაგან არავის ძალუძს ბოლომდე შეიცნოს ძის მთელი სიმაღლე და სიდიდე, ისევე როგორც მამისა. მხოლოდ ქე უცხადებს თავის თავში მამას მას, ვინც მასთან მიდის. ის ყველას მოიხმობს: „მოდით ჩემთან, ყოველნი მაშვრალნო და ტვირთმძიმენო და მე

მოგასვენებთ თქვენ“, ანუ „სიამაყისა და ამპარტავნობის ცოდვიან ვნებათაგან გამოწვეული ამო და უნაყოფო შრომით დაქანცულებო, მე დაგასვენებთ თქვენ ვნებათაგან“.

„იტვირთეთ ჩემი უღელი“ – სახარებისეულ რჯულის უღელი, ქრისტესგან ისწავლეთ თავმდაბლობა და მორჩილება და მოიპოვეთ სულის მშვიდობა. სახარებისეული რჯულის ეს უღელი ვნებების უღელთან შედარებით „საამჟღირა“ და „მსუბუქი“, რამეთუ უფალი თვითონ იძლევა ძალას მის სატარებლად, ამ ძალას უფალი გვაძლევს საკუთარი მაგალითით და სულიწმიდის მადლის სახით.

13. ცოდვების მიტევება ცოდვილი ქალისთვის სიმონ ფარისევლის სახელში (ლუკ. 7:36-50)

ფარისევლმა, ვინმე სიმონმა, რომელიც, როგორც ჩანს, უფლის მიმართ სიყვარულით იყო განწყობილი, მაგრამ არ ჰქონდა მტკიცე რწმენა, უფალი თავის სახელში სატრაპეზოდ მიიწვია. იქნებ იმისთვის, რომ მასთან ახლოს ურთიერთობაში შესვლით ჩამწვდარიყო მის ქმედებასა და საუბრის სიბრძნეს. ამ დროს ოთახში შემოვიდა ქალი, რომელიც უფლის უკან დადგა და რომ შეამჩნია, რომ იესო გზის მტვერისაგან ჯერ არ იყო განბანილი დაიწოქა მის ფეხებთან. განბანა ცრემლებით და თავისი თმებით შეუმშრალა ფეხები. შემდეგ დაუკოცნა ტერფები და ძვირფასი ნელსაცხებელი სცხო მას.

ეს ქალი ქალაქში დიდ ცოდვილად ითვლებოდა, ამიტომ მისმა სულიერმა ძვრამ ოდნავადაც ვერ იმოქმედა ფარისევლზე. ვერაინ შენიშნა ქალის სულში მომხდარმა ზნეობრივი გადატრიალება. უფრო მეტიც, კიცხავდნენ უფალს და ამბობდნენ, რომ ალბათ წინასწარმეტყველი არ არის, თორემ მისვდებოდა თუ ვინ ეხება მასო. მათი ფიქრების პასუხად უფალმა მოუყვანა იგავი ორი მევალეს შესახებ, რომელთაგან ერთს მევალისა ხუთასი დინარი ემართა, მეორეს ორმოცდაათი, მაგრამ რადგან არ ჰქონდათ არაფერი, მევახშემ ორივეს მიუტევა. მარტივი იყო პასუხი უფლის შეკითხვაზე, მევალეთაგან რომელს უფრო შეუყვარდებოდა მევახშე, მას პასუხობენ: „რომელსაც უფრო მეტი მიუტევა“.

უფალმა დაამოწმა პასუხის სისწორე და დასძინა: „ვისაც ცოტა მიეტევა, ცოტათი უყვარს“. ეს უკანასკნელი სიტყვები კონტექსტის მიხედვით, სიმონისკენ იყო მიმართული, რომელსაც ღარიბი სიყვარული გააჩნდა უფლის მიმართ და ღატაკი იყო სიყვარულის საქმეებში.

ამ იგავიდან სიმონს უნდა გაეგო, რომ უფალი ამ მონანიე ცოდვილ ქალს მასზე მაღლა აყენებდა, რადგან მან უფლისადმი მეტი სიყვარული გამოამჟღავნა, ვიდრე სიმონმა და ამ სიყვარულის გამო „მიეტევა მას მრავალი თავისი ცოდვა.“ „ხოლო ვისაც ცოტა მიეტევა, ცოტათი უყვარს“. – სიმონის გონს მოსაყვანი ფარული მინიშნება, რადგან მან ქრისტეს მიმართ ყურადღების ჩვეულებრივი ნიშნებიც (ფეხები განბანა და კოცნა) არ გამოამჟღავნა, თუმცა სახელში კი მიიღო, ამიტომ ცოტა ეპატია, თუმცა მაინც ეპატია უფლისადმი კეთილგანწყობის გამო.

სიმონთან წამოწოლილმა სტუმრებმა მაინც ვერ გაიგეს უფლისგან ამ ქალისათვის ცოდვების მიტევება და იწყეს თავისთვის ლაპარაკი, რის გამოც უფალმა დაითხოვა იგი და უთხრა: „წადი, მშვიდობით“.

14. ეშმაკეულის განკურნება და სულიწმინდის გამობაში ფარისეველთა მხილება (მათ. 12:22-37, მარკ. 3:20-30, ლუკ. 11:14-23)

უფალმა მრავალ კურნებასთან ერთად, განკურნა ეშმაკეული, რომელსაც უწმინდური სულის მასში სახლობის გარდა, სიბრმავე და სიმუნჯეც სჭირდა. მთელი ხალხი გაკვირდა ამ სასწაულით და იესოზე, როგორც ქრისტეზე ალაპარაკდნენ. ფარისევლებმა, რომლებსაც ამგვარი ჭეშმარიტი საუბრის შეწყვეტა სურდათ, მაცხოვარს დააბრალებს, რომ ის ეშმაკებს ბელზებელის (ეშმაკთა მთავარია) სახელით დევნის და თვითონაც არაწმიდა სული ჰყავს (მარკ. 3:30). უფრო მეტიც, მასაც ბელზებელს უწოდებენ. (მათ. 10:25). ამაზე უფალმა მათ უპასუხა: „შეიძლება განა, რომ სატანამ თვითონ დაანგრის თავისი საბრძანებელი?“ – ამასთანავე დაკავშირებული შემდეგი აზრით: „ვინც ჩემთან არ არის, ის ჩემს წინააღმდეგაა!“ ე.ი. ვინც ქრისტეს საუფლოში ქრისტესთან არ არის, ის მისი მტერია, რაგვან ამით ჰყოფს საერთო საუფლოს, სადაც არანაირ გაყოფას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

სხვა საქმეა, როცა ადამიანი ჯერ კიდევ არ არის ქრისტეს სასუფეველში, ჯერ კიდევ არ მოწოდებულა მასში. მთავარია ქრისტეს მოწინააღმდეგე სამყაროსთან არ იყოს შეკრული. ასეთი ადამიანი სანახევროდ უკვე ქრისტიანია და თანდათან მისი თანამდგომი გახდება მის საუფლოში შესვლით. თავისი სასუფეველის მაგალითზე უფალი განმარტავს, რომ ეშმაკის საბრძანებელშიც ერთიანობა უნდა იყოს, ხელმწიფებაშიც და მოქმედებაშიც. რის გამოც, სატანა სატანის წინააღმდეგ ვერ იმოქმედებს. „თქვენი ძენი ვიღათი დევნიან?“ – აქ ალბათ იგულისხმებიან მოციქულები, რომლებიც დევნიდნენ ეშმაკებს და ფარისევლების მოწაფეები, რომლებიც ბოროტი სულების განსადევნ შელოცვებზე მეცადინებოდნენ და ისინიც, რომლებზეც მოციქულები ქრისტეს ეუბნებიან, რომ მისი სახელით დევნიან ეშმაკს, მაგრამ მასთან არ დადიან. (მარკ. 9:39 და ლუკ. 9:49). „ამიტომ ისინი იქნებიან თქვენი მსაჯულები“ ანუ საშინელ სამსჯავროზე გამხელენ თქვენ, ჭეშმარიტების ბოროტი განზრახვით დამახინჯების გამო. „თუ მე ღვთის სულით ვდევნი ეშმაკებს, მაშ, მოსულია თქვენთან ღვთის სასუფეველი“. ანუ თქვენთან მოსულია ღვთის სასუფეველი, სატანის სასუფეველის ნაცვლად, რომელიც სწორედ იმიტომ გარბის აქედან, ამასთან მას სდევნის ქრისტე.

ცალკეული ეშმაკების განდევნით უფალი ამტკიცებს, რომ მან გათოკა ყველაზე „ძლიერი“ ანუ სატანა.

„ვინც სატანის წინააღმდეგ ამ ჩემს ბრძოლასა და ცათა სასუფეველისათვის ხალხის შეგროვებაში ჩემთან არ არის, ის ჩემი წინააღმდეგია“ – რადგან ქრისტეს მოძღვრების მსმენელთა და მცოდნეთაგან მის მხარეზე არ დგას, ის მისი მტერია; მით უფრო მტერია ის, ვინც ეწინააღმდეგება მას თავისი მოქმედებით. ა.გ. დასკვნა ასეთია: „ვინც სიტყვას იტყვის კაცის ძის წინააღმდეგ, მას მიეტყვება, მაგრამ თუ ვინმე იტყვის სულიწმინდის წინააღმდეგ, მას არ მიეტყვება“. ღვთის მოწყალეობა უსაზღვროა და არ არსებობს ცოდვა, რომელიც მის მრავალმოწყალეობას აღემატებოდეს, მაგრამ, ვინც ჯიუტად უარჰყოფს თვით ამ მოწყალეობას, ღვთის ამ მაცხოვრებელ მადლს, ასეთისთვის არ არსებობს მოწყალეობა, მისი ცოდვა უპატივებელი რჩება და ასეთი ადამიანი იღუპება.

ღვთის მაცხოვრებელი მადლისადმი ამ გამიზნულ შეწინააღმდეგებას, უფალმა სულიწმინდის გამობა უწოდა.

ფარისევლების მხრიდან, ზემოთგანმარტებული ქმედება იმაში გამოიხატება, რომ მათ გაბედეს და უფლის ყოვლისშემძლეობის გამოვლენას ეშმაკის საქმეები უწოდეს. რატომ არ ეპატიებათ მათ ეს ცოდვა არც ამ წუთისოფელში და არც მომავალში? იმიტომ, რომ თუ ადამიანი უარყოფს სულიწმინდის მცხოვრებელი მადლის თვალნათელ მოქმედებას, მაშინ ვერსაიდან ვეღარ მოიპოვებს ის მონანიებას, რომლის გარეშეც შეუძლებელია გადარჩენა.

შეუძლებელია მოინანიოს იმან, ვინც დაგმობს სულიწმიდას. მაშინ როცა, მათ ეპატიებათ დამცირებული ქრისტეს გმობა, რადგან ეს იქნება ცდომილების ცოდვა, რომელიც მონანიებით აღიხოცება, მაგრამ ასეთი არ არის ღვთის გადამრჩენელ ძალისადმი ჯიუტი წინააღმდეგობა, რომელსაც ფარისევლები იჩენდნენ, რაც მათი ბოროტი გულით აიხსნება: „რადგან გულში მოჭარბებულის პირით მეტყველებს და ემუქრება მათ, რომ ყოველი ამო სიტყვისთვის პასუხს აგებენ საშინელ სამსჯავროზე, რადგან ბოროტი და უწმინდური სიტყვები, ბოროტი გულიდან მომდინარეობენ“.

15. უფლის პასუხი მისგან ნიშნის მომლოდინეებისადმი

(მათ: 12:38-45, ლუკ. 11:29-32, 24-26)

იუდეველები შეცდომაში შეჰყავდა მაცხოვრის სიმდაბლესა და უბრალოებას და მათ იესოსგან მოითხოვეს ისეთი ნიშანი, რომელიც უეჭველს გახდიდა მისი, როგორც მესიის ღვთაებრივ ღირსებას. მათ არ აკმაყოფილებდათ ის მრავალრიცხოვანი სასწაული, რომლებსაც იესო ტანჯული ხალხისადმი თავისი სიყვარულის გამო ახდენდა. მათ სურდათ განსაკუთრებული „ნიშანი ციდან“. (მთ. 16:1). ისინი თვალთმაქცურად, როგორც მტრები, ითხოვენ მისგან ნიშანს, ამიტომაც უფალი მათ „ბოროტ მოდგმას“ უწოდებს, ასევე უწოდებს „მრუმს“ მათ, უფლისადმი ღალატის თვალსაზრისით; ამგვარად, მეუღლეობრივი ერთგულების დარღვევის მსგავსად წარმოადგენენ ძვ. აღთქმის წინასწარმეტყველები იუდეველთა კერპთაყვანისმცემლობით უფლის ღალატს (ესაია 57:3, ეზეკ. 16:15, 23-27).

უფალი ამბობს, რომ არანაირი ნიშანი მათ არ მიეცემათ და მიუთითებს წარსულში მომხდარ სასწაულს, რომელიც მომავალში მასზე ახდება. კერძოდ, წინასწარმეტყველ იონას ყოფნა ზვიგენის მუცელში, რაც არის იესო ქრისტეს საფლავში სამი დღე ყოფნა და სამდღიანი სხეულებრივი სიკვდილის შემდეგ მისი აღდგომის პირველსახე. ქრისტე საფლავში იყო ერთი დღესა და ორ ღამეს, მაგრამ აღმოსავლეთში დროის აღრიცხვისთვის მიღებული იყო დღისა თუ ღამის ნაწილის მთელ დღედ და ღამედ ჩათვლა. (1 მეფ. 30-12, ყოფ. 42:17-18, II პარ. 10-5:12 და სხვ.)

ნინეველები – ბაბილონიდან ჩრდილოეთით, მდინარე ტიგროსის სანაპიროზე მდებარე ასირიის სამეფოს დედაქალაქის მცხოვრებლები, რომლებმაც წინასწარმეტყველ იონას ქადაგების შემდეგ მოინანიეს, განკითხვის დღეს გაასამართლებენ ებრაელებს, იმის გამო რომ არ ისმინეს თავიანთი მესიის ქადაგება და გაჯიუტებულებმა არ ინდომეს მონანიება.

არაბეთიდან სოლომონის (3 მეფ. 10) სიბრძნის მოსასმენად მიმავალი დედოფალი აღდგება და გაასამართლებს ებრაელებს იმის გამო, რომ მათ არ მოინდომეს მათთან მისული, განხორციელებული ღვთის სიტყვის მოსმენა, რომელიც „არის სოლომონზე დიდი“.

შემდეგ უფალი უყვება მათ თვალსაჩინო არაკს უწმინდურ სულზე, რომელმაც ადამიანი დატოვა, შემდეგ კვლავ დაუბრუნდა შვიდ სხვა, უფრო ბოროტ სულთან ერთად, ამით მან თქვა, რომ თუშცა კი შეუძლია დაარწმუნოს ისინი რაიმე სასწაულით, მაგრამ მათი ზნეობრივი გახრწნილება იმდენად ძლიერია, რომ რაღაც დროის შემდეგ მათი უწმინდურება უფრო დიდი ძალით აღმოცენდება მათში. თუ ადამიანი რჩება უსულგულოდ, უსაქმურად და საკუთარი თავისადმი უყურადღებოდ, ბოროტი სული და ვნებები, თუნდაც ერთხელ მისგან განდევნილნი, უფრო მეტი ძალით შემოსილნი დაუბრუნდებიან მას.

16. ვინმე ქალის მიერ ქრისტეს დედის განდიდება და უფლის პასუხი (ლუკ. 11:27-28).
უფალთან სულიერი ნათესაობა (მათ 12:46-50; მარკ. 3:31-35; ლუკ. 8:19-21)

უფლის საუბარმა იმდენად განაცვიფრა ერთი ქალი, გადმოცემის მიხ. სახელად – მარკელა, მართას მსახური (იხ. ლუკ. 10-38-ით, რის გამოც იკითხება ეს სახარებისეული ნაწევრები ღვთისმშობლის სახარების წაკითხვისას), რომ მან ვერ შეძლო თავის შეკავება და სახალხოდ აღიდა უფალი და მისი ყოვლადწმიდა დედა, რომელიც იესოს ძმებად წოდებულებთან ერთად იქვე იდგა (მათ 21-46) გარეთ: „ნეტარია მუცელი, რომელმაც შენ გატარა და ძუძუნი რომელთაც სწოვდი“ და ა.შ. ანუ, ნეტარია ის, ვინც გაგაჩინა და აღეზარდა ასეთი დიდი მოძღვარი. აქ ისახება ღვთისმშობლის განდიდების დასაწყისი, მისი საკუთარი წინასწარმეტყველების დასტურად: „ამიერიდან ნეტარად ჩამთვლის მე ყოველი თაობა“.

უფალი პასუხობს, რომ ნეტარი არიან ყველანი, ვინც მოისმენს და დაიცავს ღვთის სიტყვას.

წმ. მათე მიუთითებს, რომ სწორედ ამ დროს ღვთის დედა და იესოს ძმადწოდებულები იდგნენ გარეთ და ხალხის სიმრავლის გამო ახლოს ვერ მივიდნენ, შემოუთვალეს, რომ იქ იყვნენ და ეძახდნენ.

უფალი იესო ქრისტე დედისადმი ყოველთვის უნაზესი გრძნობით იყო გამსჭვალული და ჯვარცმის დროსაც ის მას თავის საყვარელ მოწაფეს აბარებს და ეუბნება, რომ გაუფრთხილდეს მას. მაგრამ ახლა, როცა ის ხალხს არიგებს და ასწავლის, მოისურვებს მისი ქადაგებისგან მოწვევა. უფალმა ყველას აჩვენა, რომ ზეციური მამის ნების შესრულება მისთვის ნათესაურ გრძნობაზე უფრო მაღლა იდგა. „ჩემი დედა და ჩემი ძმები არიან ისინი, ვინც ღვთის სიტყვას ისმენენ და ასრულებენ“.

ამ თავში ნახსენები იესოს ძმები სახარების ზოგ ადგილას სახელებით მოიხსენებიან. კერძოდ: იაკობი, სიმონი და იუდა (მათ. 13:54-56), ამასთან ქალთა შესახებ, რომლებიც მაცხოვრის ჯვარცმის დროს მასთან იმყოფებოდნენ და რომელთაც აღდგომა ანგელოზმა ახარა, ოთხივე სახარების შედარებისას გამოჩნდა, რომ „იესოს ძმების“ დედა უნდა იყოს მარიამ კლეოპასი, რომელსაც წმინდა იოანე „დედამისის დას“ უწოდებს. (იოან. 19:25). როგორც ხჩანს, მარიამ კლეოპასი იყო უფლის დედის ნათესავი დედის ან მამის ხაზით, რადგან თვით ღვთისმშობელი თავისი მშობლების იოაკიმეს და ანას ერთადერთი შვილი იყო. გადმოცემით, ეს მარიამი არის კლეოპას ცოლი და კლეოპა არის იესოს ძმების მამა. სხვა გადმოცემის მიხედვით, „იესოს ძმები“ იყვნენ იოსებ „დამწინდველის“ შვილები პირველი ქორწინებიდან.

ასევე შესაძლებელია და ეს თანხმობაში მოიყვანს ოთხივე სახარების ცნობებს, რომ „იესოს ძმები“ იყვნენ იოსებისა და მისი მკვდარი ძმის, ან კლეოპას ახალი ნათესავის ცოლის – მარიამ კლეოპას შვილები. ყოველ შემთხვევაში, ებრაელებთან „ძმებად“ იწოდებიან არა მხოლოდ მკვიდრი ძმები, არამედ ახლო ნათესავებიც.

17. უფალი იესო ქრისტეს სწავლება ცათა სასუფეველის შესახებ იგავებში

1) იგავი მთესველებზე (მათ. 13: 1-29. მარკ 4:1-20. ლუკ 8:4-15)

სიტყვა „იგავი“ გახლავთ ორი ბერძნული სიტყვის – „პარაბოლასა“ და „პარიმას“ თარგმანი. „პარიმია“ ქართულად ნიშნავს „მოკლე გამონათქვამს“, ცხოვრების წესის გამომხატველს (ასეთია მაგ. სოლომონის იგავები).

„პარაბოლა“ არის მოთხრობა, რომელსაც აქვს შეფარებული აზრი და ხალხის ყოველდღიური სინამდვილიდან და ბუნების მოვლენებიდან აღებული სახეებისა და მოქმედებების მიღმა, უმაღლესი სულიერ ჭეშმარიტებას გვაუწყებს.

სახარებისეული იგავი არის სწორედ „პარაბოლა“. მათეს სახარების მე-13 თავში, ასევე წმ. მარკოზისა და ლუკას სახარებებში გადმოცემულია უფლის მიერ წარმოთქმული იგავები, როცა მან ხმის უკეთ მოსაწვდენად, გენისარეთის ტბაში შესცურა ნავით და იქედან ასწავლიდა ხალხს იგავებით ჭეშმარიტებას ცათა სასუფეველის შესახებ.

როგორც წმ. ოქროპირი გვიხსნის, უფალი იგავებით იმიტომ საუბრობდა, რომ თავისი სიტყვა უფრო გამომხატველი გაეხადა, უფრო ღრმად ჩაებეჭდა მესსიერებაში და თვით საქმეებიც უფრო ადვილად დასანახი ყოფილიყო.

უფლის იგავები არის შეპარებული სწავლება, დარიგება. მხვნელის შესახებ იგავში, მხვნელი – თვითონ უფალია, თესლი კი – მისგან ნაქადაგები ღვთის სიტყვა, ხოლო ნიადაგი, რომელზეც თესლი ეცემა – მსმენელთა გულები. უფალმა მსმენელთა ცნობიერებაში ცოცხლად აღადგინა მშობლიური ველები, მათ გასწვრივ გამავალი გზები, ადგილ-ადგილ ამოსული ეკლიანი ბუჩქნარები, ადგილები ქვიშიანი, მიწის თხელი ფენით დაფარული. თესვა – ღვთის სიტყვის ქადაგების მშვენიერი სახეა, რომელიც გულში მოხვედრისას, მისი მდგომარეობის მიხედვით, უნაყოფოდ რჩება, ან კიდევ ცოტა თუ ბევრ ნაყოფს გამოიღებს.

მოწაფეების შეკითხვას „რატომ ელაპარაკები მათ იგავებით?“ უფალი პასუხობს: „იმიტომ, რომ თქვენ მოცემული გაქვთ იცოდეთ ცათა სასუფეველის საიდუმლოებანი, მათ კი არა აქვთ მოცემული“.

უფლის მოწაფეებს, როგორც მომავალ მახარებლებს, გონების განსაკუთრებული მადლისმიერი გახსნით მიეცათ ღვთიურ ჭეშმარიტებათა, სულიწმიდის გარდამოსვლამდე, ჯერ კიდევ არასრული ცოდნა. სხვებმა ვერ შეძლეს ამ ჭეშმარიტებათა გაგება, რადგან ზნეობრვად იყვნენ გაუხეშებულნი და ამასთან, ჰქონდათ ცრუ წარმოდგენები მესიის მოსვლასთან დაკავშირებით, თუმცა ამის შესახებ ჯერ კიდევ ესაია (6:9-10) წინასწარმეტყველებდა.

ასეთ სულიერად უხეშ და გახრწნილ ადამიანებს ჭეშმარიტება კიდევ რომ დაანახო მთელი სიდიადით, შეუფარავ-შეუღამაზებლად დამნახველები ვერ დაინახავენ და მსმენელები ვერ მოისმენენ მას. მათი აღქმისათვის ჭეშმარიტება შეიძლება მისაწვდომი გახდეს მხოლოდ კარგად ნაცნობი წარმოდგენებთან შეერთებული იგავური სახეებით: – მიუძაღებლად, უხილავიდან ხილულისაკენ, გარეგნული მხარიდან უმაღლეს სულიერ საზრისამდე ამაღლებული.

„ქონებელს ყველას მიეცემა და დაუხვავდება, ხოლო უქონელს ისიც წაერთმევა, რაც აქვს“ – პირობა, რომელსაც უფალი არაერთხელ იმეორებს სახარების სხვადასხვა ადგილას (მათ. 25:29, ლუკ. 19:26) ამ პირობის აზრი შემდეგია – მდიდარი მონდომებისას უფრო და უფრო მდიდრდება, ხოლო ღარიბი სიზარმაცის გამო უკანასკნელსაც კარგავს. სულიერი საზრისით ეს ნიშნავს: – თქვენ, მოციქულებს, ღვთის სასუფეველის საიდუმლოს შეცნობის თქვენთვის ბოძებული უნარით შეგიძლიათ, შეიტყოთ ყველაფერი უფრო ღრმად და სრულყოფილად. ხალხი

კი საიდუმლოთა იმ მწირ ცოდნასაც დაკარგავს, რაც ჯერ კიდევ შემორჩათ, თუკი გამოცხადებისას მას არ მიახმართ მისთვის საჭირო ქარაგმულ საუბარს.

წმ. ოქროპირი ზემოთქმულს შემდეგნაირად განმარტავს: „ვინც თვითონ ცდილობს და უნდა მადლის მიღება, მას ღმერთი ყველაფერს აძლევს, ხოლო ვისშიც არ არის ეს სურვილი და მონდომება, მას სარგებლობას არ მოუტანს არც ის მცირედი, რომელიც მისი აზრით აქვს მას“.

ვისაც გონება ასე აქვს დაბინდული, ხოლო გული ცოდვით გაუხეშებული, ის ღვთის სიტყვას ვერ გეპულობს; ეს სიტყვა მას გულსა და გონების ზედაპირზე რჩება, ვერ ირთხამს ფესვებს, როგორც გზის პირას დავარდნილი, ყველა გამვლელისთვის ხელმისაწვდომი მარცვალი. მას ეშმაკი ან ღემონი ადვილად წარიტაცებს და მოსმენილს უნაყოფოს გაუხდის.

კლდოვან მიწას წარმოადგენენ ის ადამიანები, რომლებიც სახარების ქადაგებით, როგორც სასიამოვნო სიახლით ისე ერთობიან. ხანდახან გულწრფელად ისმენენ მის სიტყვებს, მაგრამ მათი გული ცივი, უძრავი და ქვასავით მაგარია. სახარებისეული სწავლების მიხედვით თავიანთი ცხოვრების წესის შეცვლა, ჩვევაში გადასული ცოდვებისგან განთავისუფლება, განსაცდელებთან ბრძოლა, ჭეშმარიტების გამო სატანჯველისა და მოკვების მოთმენა მათ არ ძალუძთ. განსაცდელებთან ბრძოლისას ისინი ხიბლში ვარდებიან, სულით ეცემიან და საბოლოოდ დაღატობენ თავიანთ რწმენასაც და სახარებასაც.

ეკლიან ნიადაგში იგულისხმება ვნებებში გახვეული, სიმდიდრის ვნებისკენ მიდრეკილი ადამიანები, რომლებსაც საერთოდაც უყვართ ამოებანი, ამ ქვეყნით ტკობა.

პოხიერ ნიადაგში იგულისხმებიან სუფთა გულის ადამიანები, რომლებმაც ღვთის სიტყვა მოისმინეს და მტკიცედ გადაწყვიტეს „გაიხადონ იგი მთელი მათი ცხოვრების სახელმძღვანელოდ და გამოიღონ სათნოების ნაყოფი: „სათნოებათა ნაყოფები კი მრავალგვარია“ – ნეტარი თეოფილაქტე.

ასევე არსებობენ სულიერ სიბრძნეში წარმატებული ადამიანებიც.

2) იგავი ხორბლისა და ღვარძლისა (მთ. 13:24-30; 36-43)

ცათა სასუფეველი – მიწიერი ეკლესია, დაარსებული ზეციური დამაარსებლისაგან და ზეციურთან ადამიანის მიმყვანი, “ჰგავს ადამიანს, რომელმაც კარგი თესლი დათესა თავის ყანაში”. “როცა ხალხს ეძინა (ანუ ღამით, როცა შესაძლებელია ცუდი საქმეების დაფარვა, რაც მტრის ცბიერებაზე მიგვითითებს), მოვიდა მისი მტერი, ხორბალში ღვარძლი ჩათესა და წავიდა“. ღვარძლი არის სარეველა ბალახი, რომელიც სანამ პატარა ძალიან წააგავს ხორბალს, ხოლო როცა გაიზრდება და ხორბლისაგან განსხვავება შესამჩნევი გახდება, ძნელდება მისი ამოთხრა, რადგან საფრთხე ექმნება ხორბლის ფესვებს.

ქრისტეს მოძღვრება მთელს დედამიწაზე ითესება, მაგრამ ეშმაკიც თესავს ბოროტებას ადამიანთა შორის, ამიტომ დედამიწის ფართო ველზე, ზეციური მამის ღირსეული შვილების გვერდით, ეშმაკის შვილებიც (ღვარძლი) ცხოვრობენ. უფალი აცლის მათ სანამ დაიწყება “შკა“ ანუ საშინელი სამსჯავრო, როცა “მომკვლეები“ – ღვთის ანგელოზები მოაგროვებენ “ღვარძლს“, ანუ ყველა უკანონობის ჩამდენს და ჩააგდებენ მას ცეცხლში, მარადიული ჯოჯოხეთის სატანჯველში. ხორბალს კი, რომელშიაც უბიწოები, ღვთის სიტყვის შემსრულებლები ითვლებიან, შეაგროვებს თავის ბედელში, რომელიც სიმბოლოა ცათა სასუფეველისა, სადაც ისინი მზესავით გაბრწყინდებიან.

3) იგავი უხილავად მზარდი თესლის შესახებ

ცათა სასუფეველი ჰგავს თესლს, რომელიც ერთხელ თუ ჩაიგდო მიწაში აუცილებლად თავისით იზრდება. ამ ზრდის შინაგანი პროცესი შეუმჩნეველია და აუხსნელი. თუ როგორ იზრდება პატარა თესლიდან დიდი მცენარე, არავინ იცის. ასევე შეუმჩნეველია და აუხსნელი ადამიანის სულის სარწმუნოებრივი ფერისცვალება, რომელიც ღვთიური მადლის ძალით სრულდება.

4) იგავი მღოგვის მარცვალზე (მთ. 13:31-32, მარკ. 4 :30-32; ლკ. 13 :18-19)

აღმოსავლეთში მღოგვის ხე უზარმაზარი სიმაღლისაა, თუმცა მისი თესლი ძალიან პატარაა. იმდენად პატარა, რომ ებრაელებს გამოთქმაც კი ჰქონდათ: “ისეთი პატარაა, როგორც მღოგვის მარცვალი“.

იგავის აზრი ასეთია: ცათა სასუფეველის დასაწყისი პატარა და უჩინარია, მაგრამ მასში დაფარული ძალა ყველა დაბრკოლებას გადალახავს და გადააქცევს მას საყოველთაო და დიდ სასუფეველად.

წმ. ოქროპირი ამბობს: “ამ იგავით უფალს სურდა სახარებისეული ქადაგების გავრცელების სახე დაენახებინა“. თუმცა მისი მოსწავლეები ყველაზე უსუსურები და დამცირებულები იყვნენ, მათში დამალული ძალა იმდენად დიდი იყო, რომ მათი ქადაგება მთელ სამყაროში გავრცელდა.

დასაწყისისთვის პატარა, დედამიწისთვის შეუმჩნეველი ქრისტეს ეკლესია, ისე გავრცელდა დედამიწაზე, რომ უამრავი ხალხი, “როგორც ცის ფრინველები, მოფრინდებიან და მის ტოტებს შეაფარებენ თავს“. ასევე ხდება ყველა ადამიანის სულშიც – ღვთიური მადლის ქროლვა, დასაწყისში ძლივს შესამჩნევი, სულ უფრო და უფრო იპყრობს სულს, რომელიც შემდეგ მრავალნაირი სათნოებების სათავსო ხდება.

5) იგავი საფუარზე (მთ. 13:33-35; მარკ. 4:33-34; ლუკ. 13:20-21)

წმ. ოქროპირი ამბობს: “როგორც საფუარი ათვისებინებს დიდი რაოდენობით ფქვილს თავის ძალას, ასევე თქვენც – მოციქულები, შეცვლით “მთელ სამყაროს“.

ზუსტად ასევე, ქრისტეს სასუფეველის ყველა ცალკეული წევრის სულში მადლის ძალა უხილავად, მაგრამ ნამდვილად მოიცავს მთელს სულიერ ძალას და ფერს უცვლის მას, გაანათებს და გააბრწყინებს.

“სამ საწყაოში“ იგულისხმება სულის სამი ძალა: გონება, გრძნობა და ნება.

6) იგავი ძვირფას მარგალიტზე

(მათე 13:45-46)

ამ იგავის აზრი იგივეა, რაც წინამდებარესი, კერძოდ, ცათა სასუფეველის, როგორც უმაღლესი ძვირფასეულობის მოსაპოვებლად, ადამიანმა ყველაფერი უნდა გაიღოს, ყოველგვარი სიკეთე, რასაც კი ფლობს.

7) იგავი ზღვაში გადაგდებულ ბადეზე

(მათე 13:47-50)

ამ იგავის აზრი იდენტურია “ხორბლისა და ღვარძლის” იგავის აზრისა. ზღვა – სამყაროა, ბადე – სჯულის მოძღვრება, მეზადურები – მოციქულები და მათი მემკვიდრეები. ეს ბადე თავს უყრის ყველა რჯულის ხალხს: ბარბაროსებს, ელინებს, იუდეველებს, მეძავეებს, მეზვერეებს, ყაჩაღებს.

ნაპირსა და თევზის გადახარისხებაში იგულისხმება ქვეყნის აღსასრული და “საშინელი სამსჯავრო”, როცა უბიწოები ცოდვილებისგან განირჩევიან, როგორც კარგი თევზი ცუდისაგან. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ მაცხოვარი ხშირად სარგებლობს შემთხვევით და მიუთითებს მომავალ ცხოვრებაში უბიწოთა და ცოდვილთა გამორჩევის შესახებ. ამიტომაც, ვერ დავეთანხმებით აზრს იმის შესახებ, რომ გადარჩება ყველა, ანუ ეშმაკებიც კი.

უფლის იგავების განმარტებისას ყოველთვის უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ადამიანთა წვრთნისათვის უფალს მოჰყავდა არა გამოგონილი მაგალითები, არამედ ის, რაც მისი მსმენელების ცხოვრებაში ნამდვილად ხდებოდა და არ იყო მათთვის უცხო და გაუგებარი.

ამიტომ, როგორც წმ. იოანე ოქროპირი მიგვითითებს, ქრისტეს იგავებში უნდა ვქედობთ მსგავსება მხოლოდ საერთო ასპექტში და არა კერძოდ აღებულ ცალკეულ სიტყვაში. ამასთან ყოველი იგავი სხვა მის მსგავსსა და უფლის იგავებთან საერთო კავშირში უნდა მოიაზრებოდეს.

საგულისხმოა, რომ უფალი თავის ქადაგებებში მკვეთრად მიჯნავს ცათა სასუფეველისა და ღვთის სასუფეველის გაგებას. ცათა სასუფეველს იგი უწოდებს უბიწოთა იმ ნეტარ მდგომარეობას, რომელიც მათ გაეხსნებათ მომავალ ცხოვრებაში, უკანასკნელი სამსჯავროს შემდეგ.

ღვთის სასუფეველს უფალი უწოდებს მის მიერ დედამიწაზე დააარსებულ, მის მორწმუნეთა და ზეციური მამის სურვილთა და ნების აღსრულების მსურველთა სასუფეველს. ეს ღვთის სასუფეველი, რომელიც მაცხოვრის მოსვლით გაეხსნათ ადამიანებს, აუცილებლად დასახლდება შემდეგ აღთქმული ცათა სასუფეველისთვის. ყოველივე ზემოთქმულის ახსნას ეძღვნება ქრისტეს იგავები.

იმაში, რომ უფალი იგავებით ლაპარაკობდა, წმ. მათე ხედავს 77-ე ფსალმუნში ასაფის წინასწარმეტყველების ახდენას: “გავხსნი პირს, ავამეტყველებ გამოცანებს დასაბამისა”. თუმცა ასაფი ამას თავის თავზე ამბობდა, მაგრამ როგორც წინასწარმეტყველი, იგი ერთგვარად მესიის პირველსახეც იყო, რაც იქედან ჩანს, რომ სიტყვები – “ავამეტყველებ გამოცანებს დასაბამისა”, ყოველისმხედველ მესიას უფრო შეეფერება, ვიდრე ჩვეულებრივ მოკვდავ ადამიანს. ღვთის სასუფეველის დაფარული საიდუმლოებანი, რა თქმა უნდა, ღვთის ჰიპოსტასური სიბრძნისთვის არის ცნობილი.

როცა უფლის შეკითხვაზე – გაიგეს თუ არა ყველაფერი რაც მან თქვა, მოსწავლეებმა დასტურით უპასუხეს, მან მათ “მწიგნობრები” უწოდა, მაგრამ არა ჩვეულებრივი, იუდეური გაგებით, არამედ მწიგნობრები, რომლებმაც ცათა სასუფევლის შესახებ ისმინეს და ისწავლეს. მათ ახლა “ძველი” წინასწარმეტყველებებიც იციან და ცათა სასუფევლის შესახებ ქრისტეს ახალი მოძღვრებაც, და ქადაგებისას მეურნე მამასახლისის მსგავსად, შეძლებენ საჭირო დროს გამოიტანონ საუნჯის სკივრი და მასში შენახული “ძველიც” და “ახალიც” დროულად გამოიყენონ.

“ძველსა” და “ახალში” მოაზრება ძვ. და ახ. აღთქმა, რომელშიც ღვთის ჭეშმარიტებებია განცხადებული.

18. უფლის პასუხი მის მიმდევრობაში დაეჭვებულებს

(მთ. 8:18-22; ლკ. 9:57-62)

უფალს გამუდმებით ერტყა გარს დიდძალი ხალხი და ისმენდა მის ქადაგებას. მაცხოვარს აღარ შეეძლო განმარტოვება (ლუკ. 4:42), რათა ესაუბრა და ელოცა მოციქულებთან ერთად. დრო პურის საჭმელადაც არ რჩებოდათ (მარკ. 3:20). და აი, ერთხელ უფალმა თავის მოწაფეებს უბრძანა ტიბერიადის ტბის მეორე ნაპირზე გასულიყვნენ, როცა ისინი უკვე ნავში ჩასასხდომად ემზადებოდნენ, უფალთან მივიდა მწიგნობარი და მათთან თანხლების სურვილი გამოთქვა. უფალმა გააფრთხილა იგი, რომ მათი ცხოვრების წესის გამო, შესაძლოა ეს თანხლება მისთვის მძიმე ტვირთად ქცეულიყო. უფალმა მწიგნობარს იგავურად მიუთითა თავის მოგზაურულ ცხოვრების წესზე: “მელიებს სორობს აქვთ და ცის ფრინველთა ბუდეები, კაცის ძეს კი არ გააჩნია სად მიიდრიკოს თავი”, ანუ ადგილი, სადაც თავს შეაფარებდა დასასვენებლად.

უფალი თავის თავს “კაცის ძედ” მოიხსენიებს და ამით ხაზს უსვამს თავის ადამიანურ ბუნებას, მაგრამ მისთვის, ვინც იცის დანიელის წინასწარმეტყველება (7:13-14), გასაგებია, რომ ამ სახელწოდებით იგი ირიბად მიუთითებს თავი მესიანურ ღირსებაზე. ამ პასუხმა, როგორც ჩანს, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა უფლის იმ მსლებლებზე, რომლებიც უკვე მისი მოწაფეების სიაში ირიცხებოდნენ. უფალმა ერთ-ერთ მათგანს უთხრა “გამომყევი” იმისთვის, რომ გამოეცადა თუ რამდენად მზად იყვნენ მასთან სამყოფად. ამასთან აჩვენა, რომ სურს თავისთან უფრო ახლო ურთიერთობაში იყოლიოს, რათა ადამიანთათვის ღვთის სასუფევლის ხარება დაავალოს, მაგრამ მოწაფემ მისი თანხლებისგან თავი შეიკავა მიზეზით, რომ ჯერ “მამა ჰყავდა დასამარხავი”. უფალი პასუხობს: “მე გამომყევი, მკვდრებმა კი თავიანთი მკვდრები დამარხონ”. აქ ორჯერაა გამოყენებული სიტყვა “მკვდარი”. პირველ შემთხვევაში ის აღნიშნავს სულიერად მკვდარს, მეორე შემთხვევაში – მიცვალებულს.

უფლის სიტყვების აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ღვთის სასუფევლის ხარების დიდი საქმის გამო ყველაფერი უნდა დათმოს ადამიანმა. თითქოს უფალი ამბობს – “მიატოვე მკვდრები, რომლებიც ჩემი სიტყვის, ჩემი საქმისადმი ყრუ არიან. მათ, ამ მიწიერ ცხოვრებას მიჯაჭვულებს, მიანდუ თავიანთი მკვდრების დამარხვა. ხოლო შენ, რომელმაც ჩემი სიტყვა ისმინე, გამომყევი”.

ამ ცოტა არ იყოს გაუგებარი მოთხოვნით, მკვდარი მამის დაუმარხავად მიტოვების შესახებ, როგორც ჩანს, უფალს უნდოდა გამოეცადა ამ მოწაფის ხასიათი და ერთგულება, ან სურდა დაეცვა იმ ახლობელთაგან, რომლებსაც მისი ჩამოშორება უნდოდათ ჭეშმარიტი გზისგან.

სხვა მოწაფემ არ მოუცადა მოწოდებას და თვითონვე უთხრა, რომ სურს გაჰყვეს მას, ოღონდ ჯერ ნება ითხოვა, რომ თავის შინაურებს გამოემშვიდობოს, რაზედაც უფალი პასუხობს: “არავინ გამოდგება ცათა სასუფეველისთვის, ვისაც გუთანი უჭირავს ხელში და თან უკან იხედება”.

ვინც ქრისტეს თანხლება გადაწყვიტა, უკან არ უნდა იხედებოდეს, მიწიერი და ნათესაური კავშირებისა და ვნებებისაკენ, რადგან ყოველგვარი მიწიერი მიჯაჭვულობა ხელს უშლის ქრისტესადმი სრულყოფილ ნდობას.

19. ზღვაზე ამოვარდნილი ქარიშხლის დაწყება

(მთ. 8:23-27; მარკ. 4:35-47; ლკ. 8:22-25)

მთელი დღის ქადაგების შემდეგ მაცხოვარმა და მისმა მოწაფეებმა ზღვაში ნავით გასცურეს. დაღლილ უფალს ჩაეძინა. ამოვარდა საშინელი ქარიშხალი, რომელიც არცთუ იშვიათი იყო მთებით შემოსაზღვრულ გენისარეთის ტბაზე. ასეთი თვისების გამო ამ ტბას ზღვასაც ეძახდნენ.

იესოს მოწაფეთა უმრავლესობა გამოცდილი მეთევზეები იყვნენ და მიხვეულები იყვნენ ამგვარ უამინდობას, მაგრამ მალე მათ ძალა გამოეცალათ და იმედდაკარგულებმა მოძვარი გაადვილეს: “უფალო, გვიხსენი, ვიღუპებით!”

ერთი მხრივ ეს არის საკუთარი სიცოცხლის დაკარგვის შიში, მეორე მხრივ კი უფლის ყოველისშემძლეობის იმედის გამოხატულება.

მახარებელ მათეს მიხედვით, მოწაფეებმა თავს მისცეს უფლება საყვედური გამოეთქვათ უფლისთვის: “მოძვარო, რომ ვიღუპებით ნუთუ არ გენაღვლეება?”

უფალმა თავის მხრივ უსაყვედურა მათ მცირედმორწმუნეობის გამო, რის შემდეგაც სიტყვებით – “დადუმდი! ჩადექ!” შეერისხა სტიქია და მსწრაფლ დააცხრო ქარიშხალი. როგორც ჩანს, მეზობელ ნავებზე მყოფ მოწაფეებსაც და ხალხსაც დიდი შიშით შეეშინდათ ერთმანეთს გადაუღლაპარაკეს: “ვინ არის ეს, ქარებიც და ზღვაც მას ემორჩილებიან?”

20. ეშმაკთა ლეგიონის განდევნა ღერასენელთა მხარეში

(მთ. 8:28-34; მარკ. 5:1-20; ლუკ. 8:26-40)

სტიქიის დაშოშმინების შემდეგ, უფალმა და მისმა მოწაფეებმა გადაცურეს ტბა და მივიდნენ აღ. სანაპიროზე მდებარე ქვეყანაში, რომელსაც წმ. მარკოზი და ლუკა აქ მდებარე ქალაქის – ღერასენის გამო, ღერასენელთა მხარეს უწოდებს, ხოლო წმ. მათე იქვე მდებარე ქ. დადარას გამო, დადარინელთა მხარეს. ორივე ზემოთქმული ქალაქი ათქალაქის შემადგენლობაში შედიოდა.

ნაპირზე მისულ უფალსა და მის მოწაფეებს დახვდათ არაწმიდა სულით შეპყრობილი კაცი. წმ. მარკოზი და ლუკა ერთი ადამიანის შესახებ მოგვითხრობენ, წმ. მათე კი – ორის. ალბათ, იმის გამო, რომ ერთ-ერთი მათგანი ყველასთვის ცნობილი დადარის მცხოვრები იყო, რომელიც უკიდურესად ცუდ დღეში ჩაეგდოთ ეშმაკებს. მეორე, მასთან შედარებით ძლივს შესამჩნევი შეიქმნა.

ემშაკეულობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ემშაკები ადამიანს ართმევენ საკუთარ ცნობიერებას და თავისას უნერგავენ, რის მეშვეობითაც მართავენ მის ფიზიკურ და სულიერ ძალებს და უბედურ ადამიანს თავისივე ქმედებებით წარმოდგენულ ტანჯვას აყენებენ.

ღვთის ძის ყოვლისშემძლეობა და სიდიადე, რომელიც ადამიანის არასრულყოფილი თვალისთვის დაფარული იყო, შესამჩნევი ხდებოდა ადამიანთან შედარებით უფრო სრული ხედვის მქონე ემშაკებისთვის, როს გამოც, უფლის გამოჩენა მათ შიშის ზარს სცემდა.

და აი, ემშაკეული იწყებს ყვირილს, უხმობს იესოს, როგორც ღვთის ძეს და სთხოვს, რომ არ მიაყენოს მას ის აუტანელი ტანჯვა, რომელსაც მისი სიახლოვის გამო განიცდის. უფლის შეკითხვაზე “რა არისო შენი სახელი?”, ემშაკთაგან უმძვინვარესი პასუხობს – “ლეგიონი” მასში დიდი რაოდენობით უწმინდური სულის არსებობის გამო. ემშაკები შეევედრნენ იესოს არ გადაეყარა ისინი უფსკრულში და ღორის კოლტში შესვლის ნება ითხოვეს, რომელიც იქვე მთაზე ძოვდა.

ჩვენთვის არ არის ნაცნობი ბოროტ სულთა ბუნება იმდენად, რომ გავიგოთ, თუ რატომ არის მათთვის აუცილებელი ცოცხალ არსებაში შესვლა-დაბუდება, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ყველა არსებათაგან მათ აირჩიეს იუდეველთათვის განსაკუთრებით საძულველი და ბინძური ცხოველი – ღორი, ოღონდ კი უფალს ისინი ამქვეყნიდან არ გაეგდოთ და არ აღეკვეთა მათთვის წუთისოფელში მოქმედება.

იესომ მათ ნება დართო ღორის კოლტში შესვლისა და როცა შევიდნენ, კოლტი კბოდედან ტბაში დასახრჩობად გადაყარა. ამის დაშვებით, როგორც ჩანს, უფალს სურდა, დადარინელთა გონს მოეყანა, რადგან ისინი არად აგდებდნენ მოსეს კანონის აკრძალვას და ღორებს აშენებდნენ, თანაც დიდი რაოდენობით.

წმ. მარკოზის მიხ. ზემოთქმულ კოლტში ღორების რაოდენობა 2 000 სულს აღწევდა. ამასთან, უფალმა მიიპყრო ამ ქალაქის მცხოვრებთა ყურადღებაც, რადგან ცნობილი ემშაკეული იესოსგან განკურნებული მშვიდად იჯდა მაცხოვრის ფეხებთან. მაგრამ, როგორც ჩანს, მომხდარმა ისინი ჭკუაზე ვერ მოიყვანა. ისინი შეიპყრო უანგარიშო შიშმა, რომ უფალს მისი აქ ყოფნით მათთვის უფრო მეტი მატერიალური ზარალი არ მიეყენებინათ. მატერიალური დოვლათისადმი სინანულმა გადაწონა მათი ემშაკეული თანაქალაქელის ღვთიური განკურნების სასწაულის მაღლი და ისინი იესოს სთხოვეს, რომ იქაურობას გაეცალოს.

რამდენად დიდია ამ ხალხის უაზრობა! მათ არ სურთ გვერდით იყოლიონ ის, ვინც ამ ქვეყანას სწორედ ემშაკთა საქმის დასაშლელად მოეწვლინა.

ემშაკეულის წინა კურნებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში უფალი უბრძანებს ემშაკებისგან განკურნებულს, დაბრუნდეს სახლში და “ყველას მოუყვეს, თუ რა უყო ღმერთმა”.

ვფიქრობთ, ასეთი განსხვავებული გადაწყვეტილების მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ გალილეისა და იუდეისგან განსხვავებით, სადაც მას მესიის შესახებ ცრუ წარმოდგენების გამო მტრულად მოეკიდნენ ამ ქალაქში მას არაფერი ჰქონდა საფრთხილო. ამასთან დადარინელები რელიგიურ-ზნეობრივად გაუხეშებულები იყვნენ და უფალს სურდა თავისი ქადაგებითა თუ კურნებებით მათი გულები გაეთბო, რაც ემშაკეული თანაქალაქელის განკურნებით დაიწყო.

როგორც წმ. მარკოზი გადმოგვცემს, უფალმა ქადაგებით მოიარა ათქალაქის ყოველი მხარე და ამით ეს ქვეყანა მოამზადა შემდგომი სამოციქულო ქადაგებისა და ქრისტიანობისკენ მოსაქცევად.

21. სისხლმდინარე ქალის განკურნება

იაიროსის ქალიშვილის (განკურნება) გაცოცხლება

(მათ. 9:18-26; მარკ. 5:21-43; ლკ. 8:41-56)

უფალი მოწაფეებთან ერთად ნავში ჩაჯდა და გენისარეთის ტბის დას. სანაპირო მხარეს, ქ. კაპერნაუმისკენ გამოსცურა. აქ მას უკვე ელოდა დიდძალი ხალხი, რომელთა შორის იყო სინაგოგის ერთი უფროსთაგანი – იაიროსი, რომლის ერთადერთი 12 წლის ქალიშვილი სიკვდილის პირას იყო. თუმცა იაიროსი იესოსადმი მტრულად განწყობილთა პარტიას ეკუთვნოდა (იოან 7:47), ბევრი გაეგონა მის შესახებ და შესაძლოა თავადაც მოწმე ყოფილიყო ქვრივის დედისერთა ვაჟის გაცოცხლების სასწაულისა. მას იესოს დიდი იმედი ქონდა, მაგრამ თვლიდა, რომ ასისთავის მსგავსი არ გააჩნდა, ამიტომ უფალს სთხოვა მას სახლში წვეოდა და გოგონასათვის ხელები დაესხა განსაკურნებლად.

ამის გამგონე ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ შემოერთყა იაიროსის სახლისკენ მიმავალ უფალს, ისე, რომ “ზედ აწყდებოდნენ”, რადგან ყველას სურდა დიდი სასწაულის ხილვა. ამ მსვლელობის დროს, იესოს მალულად სამოსის კალთაზე შეეხო 12 წლიანი სისხლმდინარეებით გატანჯული ავადმყოფი ქალი, რომელსაც განკურნების იმედი აღარ ჰქონდა. მოსეს კანონით (ლევ. 15:25-28), ასეთი სახის ავადმყოფ ქალებს უფლება არ ჰქონდათ ვინმეს მიჰკარებოდნენ და საერთოდ სახლში უნდა მჯდარიყვნენ. მაგრამ ამ უბედურ ქალს უფლის ისეთი დიდი რწმენა აღმოაჩნდა, რომ იგი ფიქრობდა, იესოს სამოსსზე ერთი შეხებითაც კი განიკურნებოდა, ამიტომაც მიუახლოვდა იგი უფალს და ფარულად შეეხო მას. მისი რწმენა გამართლდა და იმ წამსვე იგრძნო, რომ “დაიშრიტა მისი სისხლის წყარო”. ამ ამბის შესახებ ყველაზე დაწვრლებით მახარებელი მარკოზი გვიამბობს.

უფალმა იგრძნო, რომ მისგან ძალა გავიდა და იკითხა: “ვინ შეეხო ჩემ სამოსელს?” ცხადია, მან იცოდა ვინც შეეხო, მაგრამ იმიტომ იკითხა, რომ ყველას წინაშე გაეცხადებინა ამ ქალის რწმენა. ქალი მიხვდა, რომ უჩინრად ვერ დარჩებოდა, მუხლებზე დაეცა უფლის წინაშე და ყველას განუცხადა “მთელი ჭეშმარიტება”. ებრაელთა გაგებით მან დიდი დანაშაული ჩაიდინა იმით, რომ ბრბოს შეერია და ყველა გააუწმინდურა. ქალი შიშითა და თრთოლვით ელოდა თავისი საქციელისთვის სასჯელს, მაგრამ უფალმა იგი დაამშვიდა: “ასულო, შენმა რწმენამ გიხსნა, წადი მშვიდობით, მორჩენილი ხარ შენი სენისგან”.

ამ დროს გარდაიცვალა იაიროსის ქალიშვილი და მასთან მოსულმა მსახურებმა უთხრეს მოძღვარს, რომ აღარ შეწუხებუდიყო. უბედური მამის დამნაშავემა უფალმა დაამშვიდა იგი: “ნუ გჳმინია, ირწმუნე და განიკურნები”. სახლში მისულებს “მესტვირეები” დახედნენ. აღ. წესის მიხედვით, მათ მკვდრების დასატირებლად იწვევდნენ. ჩვეულებრივი ადამიანის დატირება 8 დღეს, ცნობილი პირებისა კი 1 თვეს გრძელდებოდა. უფალმა მათ უთხრა: “ნუ სტირით, ის არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს”.

ცხადია, ზემოთქმულის პირდაპირი მნიშვნელობით გაგება არ შეიძლება, რადგან ლაზარეზეც, რომელიც 4 დღის მკვდარი იყო და ხრწნა ჰქონდა დაწყებული, უფალმა სთქვა, რომ მან “დაიძინა”. (იოან 11:11-14) და მხოლოდ ამის შემდეგ გამოაცხადა პირდაპირ – “ლაზარე მოკვდა”.

სინამდვილეში გოგონას სიკვდილი იმდენად უეჭველი იყო გარშემომყოფთათვის, რომ მათ დაცინვა დაუწყეს მაცხოვარს. გოგონას მკვდრეთით აღდგომის უდიდესი სასწაულის მხილველები შეიძლება ყოფილიყვნენ მხოლოდ ღირსეული და მოვლენის შემცნობი ადამიანები, ამიტომ უფალმა დაითხოვა ყველა და დატოვა მხოლოდ 3 მოციქული – პეტრე, იაკობი და იოანე; ცხადია, გოგონას მშობლებიც.

მკვდარ ბავშვთან მისულმა უფალმა ხელი მოჰკიდა მას და 2 ძალოვანი სიტყვით: “უფალითა კუმბი”, რაც ნიშნავს “გლონა, აღექვ”. მისვე აღადგინა იგი, ამასთან მისი სხეული იმდენამ მომაგრდა, რომ ავადმყოფობის კვალიც კი აღარ ეტყობოდა. უფალმა მისთვის საჭმელი მოატანინა, რათა მშობლები დარწმუნებულიყვნენ, რომ მათ წინაშე იყო არა სული, არამედ ნამდვილი გოგონა.

ჩვეულებრივ, როგორც უწინ, უფალმა აკრძალა ამ სასწაულის გახმაურება.

22. ორი ბრმისა და მუნჯი ეშმაკეულის განკურნება

(მთ. 9:27-34)

იაიროსის სახლიდან გამოსვლის შემდეგ უფალს ზღვა ხალხი აედევნა, რომელთა შორის იყო ორი ბრმა. ისინი გაჰყვიროდნენ – “შეგვიწყალენ, დავითის ძეო!” უფალი სვლას განაგრძობდა, თითქოს არც კი ესმოდა მათი ყვირილი. როგორც ჩანს, ამით იგი ბრმების რწმენას სცდიდა, რადგან ისინი მას დავითის ძეს, ანუ მესიას ეძახდნენ. როცა უფალი მივიდა სახლში (უცნობია რომელ სახლში), ბრმები მასთან მივიდნენ და განკურნება სთხოვეს. იესომ კი ჰკითხა მათ, თუ სწამთ, რომ მას მათი განკურნება შეუძლია; ბრმებმა დასტური გამოუცხადეს და უფალიც მათ თვალებს ხელებით შეეხო, რათა მათ განკურნების მომენტი ეგრძნოთ. ორივე ბრმას მისვე აეხილათ თვალი.

უფალმა მკაცრად აუკრძალა ბრმებს მომხდარის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ მადლიერებით აღვსილებმა და კურნებით გახარებულებმა მოელს იმ ქვეყანას მოსდეს ეს სასიხარულო ამბავი.

ბრმები ჯერ წასულებიც არ იყვნენ, როცა იესოსთა ეშმაკეული მუნჯი კაცი მიიყვანეს. მას თავისით არ შეეძლო კურნება ეთხოვა, რადგან ეშმაკებს იგი დაემუნჯებინათ, ამიტომ უფალი მას არაფერს ეკითხება რწმენის შესახებ და პირდაპირ უბრძანებს დემონს მისგან გამოსვლას. დემონმა დატოვა კაცი და მასაც მისვე დაუბრუნდა მეტყველების უნარი. გაკვირვებული ხალხი ერთხმად აღნიშნავდა, რომ ებრაელთა ცხოვრებაში არასოდეს მომხდარა მსგავსი რამ. ფარისეველები, ხალხის საპირისპიროდ, კვლავ იმას იჩემებდნენ, რომ უფალი ეშმაკებს ეშმაკისავე ძალით დევნიდა, რადგან ამით სურდათ გაეუფერებინათ სასწაულით გამოწვეული შთაბეჭდილება.

23. ნაზარეთში ჩასვლა ხელმეორედ

(მთ. 13:53-58; მარკ. 6:1-6)

უფალი კვლავ “თავის სამშობლოში”, ნაზარეთში დაბრუნდა, თავისი დედისა და იოსებ დამწინდველის ქვეყანაში, სადაც აღიზარდა. იქ იგი თავის თანამემამულეებს სინაგოგებში ასწავლიდა ისე, რომ უკვირდათ: “საიდან აქვს მას ეს სიბრძნე და სასწაული?” ეს არ იყო ისეთი გაკვირება, როგორც სხვა, იესოს ქადაგების ადგილებში უკვირდათ, არამედ ეს იყო სიძულვილნარევი გაკვირება: “განა ეს ხუროს ძე არ არის?”

ნაზარეველებმა ან არ იცოდნენ, ან არ სჯეროდათ უფლის სასწაულებრივი განხორციელებისა და დაბადებისა და მას ჩვეულებრივი ხალხის – მარიამისა და იოსების ძედ მიიჩნევდნენ. მაგრამ არც ეს ჩაითვლება მათთვის საპატიოდ, რადგან ძველ დროში ბევრი იყო ისეთი შემთხვევა, როცა ჩვეულებრივ ადამიანებს ღვთისგან განდიდებული და ცნობილი შვილები უჩნდებოდათ. მაგ.: დავითი, ამოსი, მოსე და სხვ.

ებრაელებს სწორედ იმიტომ უნდა ეგრძნოთ მოწიწება ქრისტეს წინაშე, რომ უბრალო მშობლების შვილს ამოდენა სიბრძნე გააჩნდა. აშკარა იყო, რომ ეს ადამიანური სწავლების შედეგი არ იქნებოდა, არამედ ღვთიური მადლისა.

ეს, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივი ადამიანური შურიანობისგან მომდინარეობდა, რადგან, მათი აზრით, იესო დაბალი წრიდან მოდიოდა და უეცრად უდიდესი ღვთიური ნიჭით მათზე მადლა აღმოჩნდა. ამიტომაც, მისი ამხანაგები და მისი ასაკის ხალხი, რომლებსაც იესო ხშირად მიუთითებდა იმას, რომ დაკვირვებოდნენ არა მარტო იმას, თუ რას ქადაგებდა, არამედ იმასაც, თუ ვინ ქადაგებს, მიეჩვივნენ რა ღვთიური ადამიანის მათთან ყოფნას, იგი მათ შორის მყოფ ჩვეულებრივ ადამიანად მიიჩნიეს და გაამართლეს უფლის სიტყვები, რომ ისინი წინასწარმეტყველებებს არ ისმენენ და უმატებს “თავის სახლში”, ანუ როგორც წმ. იოანეც ამბობს (7:5), “მის ძმებსაც კი არ სწამდათ მისი“. არსად იმდენ წინააღმდეგობას არ წაწყდომია უფალი სწავლებისა და თავისი თავის გამო ისე, როგორც თავის ქალაქში, სადაც მისი მოკვლაც კი სცადეს. (ლუკ. 4:28-29).

“არ მოუხდენია იქ ბევრი სასწაული მათი ურწმუნოების გამო”, რადგან სასწაულმოქმედება დამოკიდებულია არა მხოლოდ ღვთის სასწაულებრივ ძალაზე, არამედ იმ ადამიანების რწმენაზეც, რომელთა თავსაც სასწაულმოქმედება ხდება.

24. უფალ იესო ქრისტეს სვლა გალილეის ქალაქებში მოწაფეებთან

და ზოგიერთ განკურნებულ ქალთან ერთად.

უფლის წუხილი სამკაალში მუშაკთა სიმცირის გამო

(მთ. 9:35-38; მარკ. 6:6, ლკ. 8:1-3)

ქალაქიდან ქალაქში მავალმა უფალმა ხალხის ბრბო ცხვრის ფარას შეადარა, რომელსაც არა ჰყავს მწყემსი. ეს მხატვრული სახე, პალესტინისათვის, რომელიც მეცხოველეობის მიმდევარი ქვეყანა იყო, ძალიან ახლობელი და გასაგები იყო. ამ ხალხის სულიერი მწყემსები ბრმები არიან და არათუ ანათლებენ ხალხს ჭეშმარიტებით, არამედ მეტად ხრწნიან მას. “სამკალი ბევრია, მუშაკი კი ცოტა” – ამბობს მხატვრულად, მაგრამ ფრიად გასაგებად უფალი. მწიფე სამკალით მოფარული ველი უნდა მომკას, მაგრამ ცოტაა მომკელი. საერთო აზრი ამ მხატვრული სახისა ასეთია: “მესიის სასუფეველში შესვლის მსურველი და მზად მყოფი ხალხის რიცხვი ბევრია, მაგრამ მათი სწავლების დიდი საქმისთვის მომზადებულთა რიცხვი მცირეა.

“ვევდრეთ სამკალის უფალს”, ეი ღმერთს, რათა მან ხელი შეუწყოს ახალ, არაფარისეველური სულისკვეთების მოღვაწეთა გამოგზავნას მესიის სასუფეველის დადგომის საქადაგებლად.

უფლის ქადაგების დროს გალილეაში, მას თან ახლდნენ მოწაფეებიცა და რამდენიმე დედაკაციც, რომლებიც უფალმა თავის დროს განკურნა და რომლებიც მადლიერებით ემსახურებოდნენ უფალს თავიანთი ქონებით. ისინი გაყვნენ უფალს გოლგოთაზეც და შექმნეს მენელსაცხებლუ დედათა დასი, რომელთაც ეკლესია აღიდებს.

25. ქრისტე საქადაგებლად გზავნის 12 მოციქულს

(მათე 10:1-42; მარკ 6:7-13; ლუკ 9:1-6; 12:11-12)

უფალი სწუხს იმ ბრბოს გამო, რომელთაც არ ჰყავთ წინამძღოლი და მოკლებულნი არიან მისი ხელმძღვანელობით მოქმედების საშუალებას, ამიტომ უფალი საქადაგებლად აგზავნის თავის მოწაფეებს, თუმცა ეს მოვალეობა განსხვავდება ქრისტეს აღდგომის შემდგომი მოვალეობისგან. მაშინ უფალი თავის მოციქულებს გაგზავნის მთელს ქვეყანაზე სახარების საქადაგებლად და ნათლობის საიდუმლოებით ხალხის ღვთის სასუფეველში შესაყვანად. ჯერ კი უფალი “ისრაელის სახლის დაკარგულ ცხვრებთან” საქადაგებლად უშვებს თავის მოწაფეებს, ეი მხოლოდ ებრაელებთან. ამასთან, ის მოციქულებს ავალებს, რომ იქადაგონ არა ცათა სასუფეველში შესვლა, არამედ ის, რომ მოახლოვებულია ცათა სასუფეველი. ეს არის წინამოსამზადებელი ქადაგება, რადგან მოციქულები ჯერ არ შემოსულან “ხელმწიფებით მალდიდან”, რომელიც შემდეგ, ნუგემისმცემლის – სულიწმიდის მიღებით შეიმოსეს.

უფალი მოციქულებს ორ-ორად გზავნის, რათა მათ ერთმანეთს უპატრონონ და ებრაელებმაც უფრო ირწმუნონ მათი ნათქვამი, რადგან მოსეს რჯულის მიხედვით (იონ 8:17, მეორე 19:15), “ორის მოძღვრება ჭეშმარიტია”.

იცოდა რა უფალმა, რომ მოციქულებს მათი სიტყვების დასამტკიცებლად ნიშნებს მოსთხოვდნენ, მისცა მათ ხელმწიფება ბოროტ სულთა განდევნისა და მკვდართა აღდგენისა, ასევე სნეულთა განკურნებისა და სხვა სასწაულთმოხდენისა.

ქადაგების წარმატებულობისთვის, უფალი აფრთხილებს თავის მოწაფეებს, რომ ერიდონ ვერცხლისმოყვარეობასა და საარსებო საშუალებებზე (ჭამა, ჩაცმა, თავშესაფარი) ზრუნვას, რადგან მშრომელი თავისი საზრდოს ღირსია და კვალად უფალი არ დაუშვებს, რომ მის მსახურები, რომლებმაც საკუთარ თავზე ზრუნვა უარყვეს მსახურების გამო, მოკლებულნი იყვნენ სასიცოცხლოდ აუცილებელ საგნებს.

ყოველ ქალაქსა თუ სოფელში მოციქულები ისეთ სახლში უნდა გაჩერდნენ, სადაც მათ თანხმობით მიიღებენ, რათა როგორც ნეტარი იერონიმი ამბობს: “მოციქულების უპატიო სიტყვების მიმღებთ არ შეერაცხევთ ქადაგების ღირსება” და ზედაპირული ხალხის მსგავსად სახლიდან სახლში არ გადასულიყვნენ.

“სახლში შესვლისას მიესალმე მას და უთხარით: მშვიდობა სახლს”. ეს იყო ებრაელთათვის ჩვეული მისაღმება, მაგრამ უსურვო მშვიდობა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, მისცე მას ეს მშვიდობა, ამიტომაც უფალი განუმარტავს მოსწავლეებს, რომ მათ მიერ გამოთქმული მშვიდობა მართლაც დარჩება იმ სახლსა თუ ქალაქში, სადაც მათ სიხარულითა და სუფთა გულით მიიღებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში: “თქვენი მშვიდობა თქვენვე დაგიბრუნდებათ” – ამბობს უფალი.

ხოლო თუ ვინმე უარს ეტყვის მოციქულებს მასპინძლობაზე, მოწაფეებმა ქალაქიდან ან სახლიდან გასვლისას მტკერი უნდა ჩამოიფერთხონ ფეხთაგან, რადგან ასეთი ქმედებით ებრაელები წარმართებად შეფასდებიან; რადგან თავად ებრაელები ფიქრობდნენ, რომ მიწა რომელზეც წარმართები დადიან, უწმინდურია და აუცილებლად უნდა ჩამოიფერთხოს. სოდომისა და გომორის მიწას, გარყენილებისთვის დასჯილ ამ ქალაქებს, “უფრო გაუადვილებათ განკითხვის დღეს, ვიდრე იმ ქალაქებს” მოციქულები რომ არ მიიღეს. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქრისტეს ქადაგების, როგორც ღვთის კანონების უარყოფელები უფრო დამნაშავენი არიან, ვიდრე ისინი, ვისაც არ ემცნო ღვთის კანონები და უარყო მხოლოდ სინდისის კანონი, რომელიც არ არის ესოდენ კატეგორიული.

უფალი მოციქულებს თავდაპირველად ებრაელებთან იმიტომ აგზავნის, რომ ისინი ღვთის რჩეული ხალხია, რომელსაც ჯერ კიდევ ძვ. აღთქმის წინასწარმეტყველებმა აღუთქვეს მესია და თვითონაც მათ შორის დაიბადა.

შემდეგ უფალი არიგებს მოციქულებს და საუბრობს სამოციქულო მსახურების შესახებ. იგი აფრთხილებს მათ იმ მოსალოდნელ საშიშროებაზე და ამბობს, რომ თავს ისევე დაუცველად იგრძნობენ, როგორც სისხლისმსმელი მგლებით გარსშემორტყმული ცხვრები.

“იყავით გონიერნი, როგორც გველი”, ე.ი. ფრთხილად იყავით, რომ უმიზეზოდ არ ჩაიგდოთ თავი საფრთხეში. გაარჩიეთ სად “თესოთ ღვთის სიტყვა” და სად სჯობს თავის შეკავება “თესვისაგან”, რადგან ნათქვამია “ნუ მისცემთ წმიდას ძალლებს”, თავად კი “იყავით უმანკონი, როგორც მტრედნი”, ე.ი. ისეთები, რომ ვერავინ შეძლოს თქვენი ტყუილ უბრალოდ დადანაშაულება.

უფალი წინასწარმეტყველებს, რომ მოციქულებს მოუწევთ მასზე დამოწმება მეფეებისა და განმგებლების წინაშე. მას მხედველობაში აქვს მათი მომავალი, საყოველთაო სამოციქულო მოღვაწეობა და რომ ხშირი დევნა ექნებათ ურწმუნოთაგან. ფიქრი იმაზე, თუ რა ილაპარაკონ სასამართლოებზე, საჭირო არ არის, რადგან სულიწმიდა თვითონ ჩააგონებს მათ საჭირო სიტყვებს სახარების ქადაგების, მქადაგებლებისა და მისი აღმსარებლების შესახებ. “ამა ქვეყნის მდგმურად” წოდებული ხალხის სიძულვილი იმდენად დიდი იქნება, რომ დაიშლება ადამიანთათვის ყველაზე წმინდა და ძლიერი ნათესაური კავშირები.

ყოველივე ზემოთქმული სიტყვასიტყვით აღსრულდა ქრისტიანობის დევნის ეპოქაში, როცა ძმა ძმას მოსაკლავად იმეტებდა და როცა ქრისტეს ჭეშმარიტმა მიმდევრებმა თავის თავზე იწვნის ქრისტიანობის მტრების ყველაზე ვერაგი და არა ადამიანური სიძულვილი. ყოველი, ვინც ამ “დევნას” ბოლომდე, სიკვდილამდე აიტანს, “გადარჩება”, ე.ი. მიადწევს ცათა სასუფეველში საუკუნო ნეტარებას.

მოციქულებმა თავისით, წინდაუხედავად არ უნდა გაიღონ მსხვერპლად სიცოცხლე, რომელიც მრავალთა სახსნელად არის საჭირო, ამიტომ, თუ მათ ერთ ქალაქში დევნიან, არ ეკრძალებათ სხვა ქალაქში გადასვლა. “ჯერ მოასწრებთ ისრაელის ქალაქების შემოვლას, რომ კაცის ძეც მოვა”; სხვა ადგილას სახარებაში დამატებულია “თავისი მეუფებით”. აქ საუბარია არა ქრისტეს ქვეყნის აღსასრულის წინ სამსჯავროზე დიდებით მეორედ მოსვლის შესახებ, არამედ ქრისტეს სასუფეველის გახსნის დრო, მის მკვდრეთით აღდგომისა და სულიწმიდის წარმოგზავნის გზით, რის საქადაგებლადაც მოციქულები მთელს დედამიწაზე დადიოდნენ.

აგზავნის რა ამ მოსამზადებელ ქადაგებებზე თავის მოციქულებს, უფალი მიუთითებს მათ, რომ განკარგულებაში ცოცხალი დრო რჩებათ, რადგან მოახლოებულია მისი ჯვარცმისა და ქვეყნიდან გასვლის საათი.

თავიათი მსახურებისა და შრომისთვის მოციქულები პატივსა და ჯილდოს კი არ უნდა ელოდნენ კაცთაგან, არამედ დამცირებასა და შეურაცხყოფას, რადგან თუ კი უფალი დაამცირეს, მითუმეტეს დაამცირებენ მათ – მის მოწაფეებს. “მოწაფე მოძღვარზე მეტი არაა, არც მონაა თავის ბატონზე მეტი”. “ამიტომ, ნუ გეშინიათ მათი, როცა ისინი ცილს დაგწამებენ, ვინაიდან არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება და საიდუმლო, რომელიც არ შეიტკობა”.

მოციქულთა რწმენა და უმანკოება თანდათან ცხადად გამოჩნდება. “რასაც თქვენ სიბნელეში გეუბნებით, სინათლეზე ილაპარაკეთ და რასაც ყურით მოისმენთ, ერდობებზე იქადაგეთ”. ე.ი. ის, რაზეც თქვენ განმარტობით გესაუბრებოდით პალესტინის ქალაქებსა და სოფლებში სიარულისას, თქვენ მთელს ქვეყნიერებას უნდა უქადაგოთ სახალხოდ სახლების

ერდოებიდან. მოციქულებს არ უნდა ეშინოდეთ მათი “ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვდენა კი არ ძალუძთ”, რადგან ღვთის ნების გარეშე არაფერი ხდება. მისი ნება ვრცელდება “ჩიტებზეცა” და “თმებზეც ადამიანის თავზე”. “განა ორი ბელურა ერთ ასარად არ იყიდება?” – მითითებულია ამ ჩიტის იაფობა და უმნიშვნელობა, რადგან ერთი ასარი დინარის 1/10 შეადგენდა. ვინც ცილისწამებისა და ღვევის მიუხედავად, მტკიცედ აღიარებს იესო ქრისტეს კაცთა წინაშე, მას ზეციური მამის წინაშე აღიარებს ქრისტე ერთგულ მონად, ხოლო ვინც არ აღიარებს ქრისტეს, მას ქრისტეც არ აღიარებს ზეციური მამის წინაშე.

“მშვიდობის კი არა, მახვილის მოსატანად მოვედი” – რაც ისე უნდა გავიგოთ, რომ უთანხმოებები და მტრობა უფლის დედამიწაზე მოვლინების აუცილებელი შედეგია, რადგან ადამიანთა ბოროტება ღვთის სასუფეველისა და მისი მქადაგებლების წინააღმდეგ გააფთრებულ მტრობას აღძრავს.

“ვისაც დედა ან მამა ჩემზე მეტად უყვარს, იგი არ არის ჩემი ღირსი” – რომაული წესის მიხედვით მას, ვისაც ჯვარცმა ჰქონდა მისჯილი, თვითონ უნდა ეტვირთა ჯვარი და ჯვარცმის ადგილამდე უნდა მიეტანა. ზემოთქმული ნიშნავს, რომ ვისაც ქრისტეს მოწაფეობა სურს, მისი სახელის გამო ყოველგვარ ტანჯვასა და გამოცდას უნდა გაუძლოს, მათგან ყველაზე მძიმესა და დამამცირებელსაც კი, თუკი ასეთის გამოგზავნას ღმერთი ინებებს.

“ვინც თავის სულს პოულობს, დაკარგავს მას, ხოლო ვინც თავის სულს ჩემთვის კარგავს, პოულობს მას” – ე.ი. ვინც მიწიერ სიკეთეს ცათა სასუფეველის სიკეთეს ამჯობინებს, ვინც თავისი მიწიერი ცხოვრების შესანარჩუნებლად ქრისტეს უარყოფს, ის დაღუპავს თავის სულს საუკუნო ცხოვრებისათვის. ხოლო ვინც ქრისტეს გამო თავის სიცოცხლესაც სწირავს, იგი გადაარჩენს თავის სულს საუკუნო ცხოვრებისთვის.

მოციქულების დასარიგებლად და დასამშვიდებლად უფალი იმ ჯილდოზეც საუბრობს, რომელიც მისი სახელის მიძღვრებით ელოდებათ: “ვინც თქვენ გღებულობთ, მე მღებულობს, ხოლო ვინც მე მღებულობს, ჩემს მომავლინებულსაც ღებულობს”. ეს სიტყვები აღნიშნავენ, რომ ვინც მოციქულებს მიიღებს, როგორც წმინდანებს, ან წინასწარმეტყველებს, იმ ჯილდოს მიიღებს, რომელსაც წმინდანები და წინასწარმეტყველები მიიღებენ. ვინც მოწყურებულ მოციქულს ერთ ჭიქა წყალს მაინც დააღვინებს, არც ის დარჩება ჯილდოს გარეშე.

როცა 12 მოციქულის დარიგება დასრულდა, უფალი გაემართა გალილეის ქალაქებში საქადაგებლად, ხოლო ორ-ორად დაწყვილებული მოციქულები სოფლებში დაიფანტნენ. ისინი დადიოდნენ და ქადაგებდნენ მონანიებას, სდევნიდნენ ეშმაკებს, ზეთს სცხებდნენ სნეულებს და კურნავდნენ. მათ მიერ საიდუმლო სერობის დროს (ლუკ 22:35) დასმულ შეკითხვაზე უფლის მიერ გაცემული პასუხიდან ჩანს, რომ ისინი ამ ქადაგების დროს არაფერში არ განიცდიდნენ ნაკლოვანებას.

როგორც ჩანს, მოციქულები კვლავ ერთად შეიკრიბნენ უფალთან, როცა ამ უკანასკნელმა იოანე ნათლისმცემლის სიკვდილი გაიგო.

26. იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვება

(მთ. 14:1-12; მარკ. 6:14-29; ლუკ. 9:7-9)

მეოთხედმთავარმა ჰეროდე ანტიპამ რატომღაც მიიჩნია, რომ იესო ქრისტე მკვდრეთით აღმდგარი იოანე ნათლისმცემელი იყო. როგორც წმ. ლუკა განმარტავს, ეს აზრი თავიდან თვითონ ჰეროდეს კი არ მოსვლია, არამედ მის გარშემომყოფებს და მანაც დაიჯერა. (ლუკ.9:7-9)

ებრაელებთან არ იყო მიღებული დაბადების დღის აღნიშვნა, მაგრამ აღ. მეფეების მიბაძვით ჰეროდემ თავის დაბადების დღესთან დაკავშირებული დიდი სუფრა გააკეთა და სტუმრად მიიწვია ათასისთავები და გალილეელი აზნაურები. აღ. ჩვეულების მიხედვით, ქალები ნადიმს არ ესწრებოდნენ. მსგავსი სუფრების გამართვისას, მხოლოდ მონა ქალებს ჰქონდათ ცეკვის უფლება, მაგრამ სალომეა, თავისი გარყვნილი დედის ღირსეული შვილი, კანონების წინააღმდეგ შევიდა სტუმრებთან მოცეკვავის მსუბუქ ტანსაცმელში გამოწყობილი და თავისი ვნებიანი ცეკვით ისე გაახელა უკვე მთვრალი ჰეროდე, რომ იგი სალომეას ამ ცეკვის სანაცვლოდ დაჰპირდა ყველაფრის შესრულებას, რასაც კი მოისურვებდა. სალომეა გავიდა და ჰკითხა დედამისს, რომელიც ნადიმს არ ესწრებოდა, რა მოვითხოვო. ჰეროდემ წუთიც არ დააყოვნა, ისე უპასუხა შვილს: ყველაზე ძვირფასი საჩუქარი მისი დანაშაულებრივი კავშირის მამხილებლის იოანე ნათლისმცემლის სიკვდილი იქნებოდა. უფრო ზუსტად მან თქვა – “იოანე ნათლისმცემლის თავი”, მაგრამ რადგან ეშინოდა, რომ იოანეს სიკვდილით დასჯას არავინ შეუხრულვებდა, რადგან ჰეროდე კეთილგანწყობილი იყო ნათლისმცემლის მიმართ და მას “მართალ და წმიდა კაცად” თვლიდა და “როცა მას უსმენდა დიდ საგონებელში იყო და სიამოვნებით უგდებდა ყურს” (მარკ. 6:20), ჰეროდემ შთააგონა თავის შვილს, რომ დაუყოვნებლივ მოეთხოვა წინასწარმეტყველის სიკვდილი და ლანგარიც კი გაატანა, რაზედაც მისთვის მოკლულის თავი უნდა მოეტანათ. სალომემ სიზუსტით შეასრულა დედის სურვილი. “სასწრაფოდ” შევიდა მეინახებთან და მეფეს უთხრა: “მსურს, ახლავე ლანგრით მომართვა იოანე ნათლისმცემლის თავი”.

ორივე მახარებელი მოწმობს, რომ “შეწუხდა მეფე” ამ მოთხოვნის გამო, არ სურდა ნათლისმცემლის სიკვდილი, მაგრამ თანამეინახეთა წინაშე არც ფუჭი სირცხვილი და ფიცის გატეხვა შეეძლო და გაეზავნა ჯალათი, რომელმაც თავი მოჰკვეთა იოანეს და ლანგრით შემოიტანა.

სავარაუდოა, რომ ეს ნადიმი გაიმართა არა ტიბერიდაში, არამედ იორდანეს გაღმა იულის რეზიდენციაში, სადაც ახლო მდებარეობდა მაზერას ციხე-სიმაგრე, რომელშიაც იოანე იყო გამოკეტილი. დასაშვებია, რომ ნადიმი თვით ამ ციხე-სიმაგრეში იმართებოდა.

გადმოცემის მიხედვით, ჰეროდია დიდხანს შეურაცხყოფდა იოანეს თავს, ნემსით ჩხვლეტდა მის ენას, რომელიც მას მრუშობაში ამხელდა, შემდეგ კი ბრძანა მისი სხეული ციხე-სიმაგრეიდან ხრამში გადაეგდო.

იოანეს მოწაფეებმა იპოვეს მოძღვრის უთავი ცხედარი და როგორც წმ. მარკოზი მოწმობს, კუბოში მოათავსეს. გადმოცემის თანახმად, ეს იყო გამოქვაბული, სადაც დამარხულნი იყვნენ წინასწარმეტყველები ავდიუსი და ელისე. სამარხი მდებარეობდა უწინდელი სამარიის ადგილზე გაშენებულ ქ. სევასტას მახლობლად.

იოანე ნათლისმცემლის თავისმოკვეთის სამწუხარო მოვლენას წმ. ეკლესია ყოველწლიურად 29 აგვისტოს (11 სექტემბერს ჩვ.სტ.) აღნიშნავს. ამ დღეს დადგენილია მძიმე მარხვა.

ჰეროდემ კუთვნილი შურისგება მიიღო. დამარცხდა ომში და რომში გამგზავრებულს ჩამოართვეს ყველა ტიტული, “უპირატესობა და მამულები”, იგი დააპატიმრეს და გამოამწყვდიეს გალილეაში, სადაც დაიღუპა კიდევ, ბიწიერ ჰეროდეასთან ერთად.

რაც შეეხება სალომეას, ერთხელ ზამთარში იგი მდინარეზე გადადიოდა, უცებ ყინული ჩატყდა, იგი წყალში სანახევროდ ჩავარდა ისე, რომ დაქანებულმა ყინულმა მას თავი გადაუხერხა.

როცა მოძღვარი დამარხეს, იოანეს მოწაფეებმა უფალ იესო ქრისტეს გააგებინეს მომხდარის შესახებ. ერთის მხრივ, ისინი ელოდნენ ნუგეშისცემას თავსდატეხილი მწუხარების გამო, მეორე მხრივ კი უნდოდათ უფალი გაეფრთხილებინათ ჰეროდესთან შესაძლებელი უსიამოვნების გამო, რადგან უფალი იმ პერიოდში მის ოლქში ქადაგებდა. წმ. მარკოზი გადმოგვცემს, რომ სწორედ ამ დროს დაბრუნდნენ მოციქულები თავიანთი ქადაგების მსახურებიდან და უყვებოდნენ მოძღვარს თუ რა აკეთეს და ვის რა ასწავლეს.

როგორც სამი მახარებელი მოწმობს შეთანხმებულად, იოანეს ძალადობრივი სიკვდილის შემდეგ უფალი იესო ქრისტე მოწაფეებთან ერთად სადღაც გენისარეთის ტბასთან ახლოს, ერთ უდაბურ ადგილას შეეკედლა, რადგან ისინი ნავით გაეცადნენ იმ ადგილს. წმ. ლუკას მოწმობით, ეს ადგილი ქ. ბეთსაიდას ახლოს უნდა მდებარეობდეს.

ჰეროდე თავგამოდებით ეძებდა იესოს და “უნდოდა მისი ნახვა”, რადგან მასზე ამბობდნენ: “იოანე აღსდგა მკვდრეთით”.

27. ხუთი ათასი კაცის სასწაულებრივი დაპურება ხუთი პურით

(მათ. 14:14-21; მარკ. 6:32-44; ლუკ. 9:10-17; იოან. 6:1-15)

ამ სასწაულებრივ ამბავს მოგვითხრობს ოთხივე მახარებელი. მათ შორის წმ. იოანე მიუთითებს, რომ ეს სასწაული უფალმა იმისთვის მოახდინა, რომ იუდეველებისთვის აეხსნა თავისი მოძღვრება ზეციური პურის შესახებ, ასევე სისხლისა და სხეულის ზიარების საიდუმლოება. ამასთან, ეს მონაკვეთი იძლევა მნიშვნელოვან ქრონოლოგიურ მითითებებს. კერძოდ, ეს სასწაული მოხდა მაშინ, როცა იუდეველთა დღესასწაული ახლოვდებოდა. ეს გახლდათ პასექის დღესასწაული. (ე.ი. ქრისტეს მსახურების მესამე წელი)

იოანე ნათლისმცემლის მოკვდინების შემდეგ, უფალი გალილეას გაეცალა. ქადაგებიდან ახლადმობრუნებულ მოწაფეებთან ერთად იგი ნავით ტიბერიადის ტბის აღ. სანაპიროსკენ, ქ. ბეთსაიდას ახლოს გაემგზავრა. რამდენადაც მხოლოდ ბეთსაიდა მდებარეობს კაპერნაუმის მახლობლად დას. სანაპიროზე, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ იგულისხმება მეორე, იორდანესა და გენისარეთის ტბის შესართავის აღმოსავლეთით მდებარე ბეთსაიდა-იულია.

წმ. მარკოზის მონათხრობით, ხალხმა დაინახა ისინი და ფეხით გაედევნა მათ. ისინი უფალზე ადრეც კი მივიდნენ უდაბურ ადგილას და საბოლოოდ ყველამ ერთად მოიყარა თავი. უფალმა უამრავი ხალხი რომ დაინახა, შეებრაღა ისინი, “ვინაიდან უმწყემსო ცხვრებივით იყვნენ” და დაუწყო მათ მრავალი რამის სწავლება (მარკ 6:34).

რამდენიმე ხნის შემდეგ უფალი ავიდა მთაზე და იყო იქ თავის მოწაფეებთან ერთად. მან დაინახა მისკენ მომავალი უამრავი ადამიანი, როგორც ამას წმ. იოანე მოწმობს; დღე კი საღამოსკენ იხრებოდა. მაშინ მოციქულები მივიდნენ და უთხრეს უფალს: “უდაბურია ეს ადგილი, დრო კი უკვე გვიანია. გაუშვი ისინი, რომ წავიდნენ ახლო-მახლო და იყიდონ თავისთვის საზრდო”.

უფალმა არ მოინდომა ხალხის გაშვება და მოციქულებს უთხრა: “თქვენ მიეცით მათ საჭმელი”. ცდიდა რა მოციქულ ფილიპეს რწმენას, ჰკითხა მას უფალმა: “სად ვიყიდოთ პურები ამათ რომ ვაჭამოთ?” რაზედაც ფილიპემ უპასუხა: “ორასი დინარის პური არ ეყოფათ რომ თითოეულ მათგანს ცოტაოდენი მაინც ერგოს”. იგივეს ამბობდნენ სხვა მოწაფეებიც. მაშინ ანდრიამ უთხრა მათ: “აქ არის ერთი ბიჭი, რომელსაც ხუთი ქერის პური და ორი თევზი აქვს. მაგრამ ამდენ ხალხს ეს არ ეყოფა?”, რადგან უფალმა მათ დაავალა გაეგოთ, თუ რამდენი პური მოგროვდებოდა ხალხში.

მაშინ იესომ ბრძანა: “აქ მომიტანეთ”, “უთხარით ხალხს დასხდნენ და დაარიგა, რომ ხალხი 50 კაციან ჯგუფებად დამსხდარიყო. ხალხი დაჯდა ერთ მხარეს 50-50, ხოლო მეორე მხარეს 100-100 კაციან ჯგუფებად, რათა უკეთ დაეთვალიათ. ქალებისა და ბავშვების გარდა 5000 კაცი დათვალეს. უფალმა აიღო 5 პური და 2 თევზი, ახედა ზეცას, შესწირა მადლი (იონ 6:14), აკურთხა (ლუკ 9:16), დაამტკვრია და მისცა მოწაფეებს, რომ ჩამოერიგებინათ ხალხისთვის. ორი თევზიც ასევე დაანაწილეს (მარკოზი), ვისაც რამდენი უნდოდა (იოანე) “ყველამ ჭამა და გაძღა”, როცა ყველა დანაყრდა, უფალმა მოწაფეებს უბრძანა მონარჩენი ნატეხების შეგროვება, რომ არაფერი დაკარგულიყო. კიდევ 12 გოლგორი აავსეს პურითა და თევზით.

მაშინ იესოს მოხდენილი სასწაულის მხილველმა ხალხმა თქვა: “ესაა ჭეშმარიტად ის წინასწარმეტყველი, რომელიც წუთისოფელში უნდა მოსულიყო”. (იოან 6:14-15).

როგორც ჩანს, ხალხს სურდა ესარგებლა მომავალი პასექის დღესასწაულით, ჩაეყვანათ იესო იერუსალიმში, რათა მას იქ თავი მეფედ ელიარებინა. მაგრამ უფალს, ცხადია, არ სურდა მესიის, როგორც მიწიერი მეფის შესახებ ასეთი ცრურწმენისა და წარმოდგენისთვის ხელის შეწყობა და კვლავ განმარტოვდა მთაზე, მოწაფეები კი ზღვის გადაღმა გაეზავნა.

28. უფლის წყალზე სვლა; მრავალი ავადმყოფის განკურნება

(მათე 14:22-36; მარკ 6:45-56; იოან 6:16-21)

უფლის ბრძანებით მოწაფეები ჩასხდნენ ნავში და გასცურეს ტბის გაღმა. (საუბარია გენისარეთის ტბის შესახებ). ჩამობნელდა, “ძლიერი ქარი ამოვარდა”, ნავი შუაგულ ტბაში იდგა და “დიდი გასაჭირი ედგა ტალღებისაგან” (მათ 14:24). ამ დროს უფალი მათთან არ იყო. იგი განმარტოვდა ხმელეთზე, მაგრამ შენიშნა, რომ მის მოწაფეებს ნაოსნობა უჭირდათ (მარკ 6:48). ნავი ხმელეთიდან 25-30 სტადიონის მოშორებით ირწეოდა ტალღებზე (იოან 6:19). ღამის მეოთხე გუშაგობის დრო იყო, ანუ ცისკარი, როცა მოწაფეებმა მათკენ წყალზე მავალი მოძღვარი შენიშნეს. იგი თითქოს მათი გვერდის ავლას ცდილობდა (მარკ).

როცა მოწაფეებმა წყალზე მავალი უფალი დაინახეს, მოჩვენება ეგონათ და ყვირილი დაიწყეს, მაგრამ იესომ ისინი დაამშვიდა: “გამხნევდით, მე ვარ, ნუ გეშინიათ”. მეზნებარე ბუნების მქონე პეტრე მოციქული აენტო სურვილით, რომ წყალზე გავლით უფალთან მისულიყო, და ამის ნებას ითხოვს მოძღვრისგან. უფალმა უთხრა – “მოდი”. პეტრე ნავიდან გადმოვიდა და თავისივე რწმენის სასწაული იგრძნო – იგი წყალზე დადიოდა. ქარი ძლიერდებოდა. პეტრეს ყურადღება სტიქიისკენ გაექცა, იგი ვეღარ ფიქრობდა ქრისტეზე და აი, შეშინებულმა ჩაძირვა დაიწყო. მან სასოწარკვეთილებით შეჰყვირა: “უფალო, მისხენი მე!” უფალმა იმავე წამს გაუწოდა ხელი, პეტრე წყლიდან ამოიყვანა და უთხრა: “რატომ დაეჭვდი მცირედმორწმუნევ?”

მოციქული პეტრეს წყალზე გავლის შესახებ მხოლოდ მახარებელი მათე მოგვითხრობს. (6:28-31)

როგორც კი უფალი და პეტრე ნავში ავიდნენ, ქარი მაშინვე ჩადგა და ნავი მალე მიადგა ნაპირს. ნაპირზე მისულები მიუახლოვდნენ უფალს, თაყვანი სცეს მას და უთხრეს: “ჭეშმარიტად ღვთის ძე ხარ შენ”. ნაპირზე გადმოსულ იესოს უამრავი ადამიანი შემოერთყა გარს, აგზავნიდნენ მაცნეებს ავადმყოფების მოსაყვანად და უფლის მოსასმენად. ქრისტესგან გამომავალი სასწაულებრივი ძალის რწმენა იმდენად დიდი იყო, რომ იმ მხარის მცხოვრებლები ითხოვდნენ მხოლოდ მისი სამოსის კიდევ შეხების უფლებას და მართლაც, “ვინც შეეხო, განიკურნა”.

29. საუბარი ზეციური პურის – ზიარების საიდუმლოს შესახებ

(იოან 6:22-71)

გენისარეთის ტბის სასწაულებრივმა გადაცურვამ, ხალხის დიდი გააკვირვება გამოიწვია. ამ მოვლენას აღწერს მხოლოდ მასარებელი იოანე, ამასთან მოგვითხრობს უფლის შესანიშნავ საუბრის მასზე, როგორც ზეციდან ჩამოსულ პურზე და ამ საუბარში გადმოგვცემს ცხოვნებისათვის აუცილებელი, მისი სისხლისა და ხორცის ზიარების საიდუმლოების სწავლებას.

ხალხი დიდხანს ეძებდა უფალს უდაბნოში, რადგან იცოდნენ, რომ იესო მოწაფეებს არ გაჰყოლია. ხოლო, როცა იგი ტბის მეორე მხარეს, კაპერნაუმის სინაგოგაში მოქადაგე, დაიანახეს, გააკვირვებულები ეკითხებოდნენ, თუ როდის მოასწრო იქ მისვლა.

ხალხის ეს შეკითხვა უფალმა უპასუხოდ დატოვა და ამით იგი მასზე, როგორც სიცოცხლის პურზე, ვრცელი საუბრის საბაზად აქცია. მან ამ საკითხზე მსჯელობა იმით დაიწყო, რომ ზემოთხსენებულ კითხვაზე პასუხად ებრაელებს უსაყვედურა, რომ ისინი, უფლის მიმდევრობაშია ც კი, თავიანთი გრძნობების მონებად რჩებიან. ისინი ქრისტეს ეძებენ არა იმიტომ, რომ მის სასწაულმოქმედებებში ღვთის ჭეშმარიტი სიკეთე და უხრწნელი საუნჯე დაინახეს, არამედ იმიტომ, რომ ისინი დაპურდნენ, დანაყრდნენ, ზუსტად ისე, როგორც სხვა სასწაულებით ბოლო ეღებოდა მათ ფიზიკურ ტანჯვას. არცერთი მათგანი არ ზრუნავს სულიერი საზრდოსთვის, ანუ იმაზე დასაფიქრებლად, რისთვისაც ქრისტე მოევლინა ქვეყანას. “მეძებთ მე... იმის გამო, რომ პური ჭამეთ და გაძეხით”- საყვედურობს უფალი იმათ, ვისთვისაც ქრისტიანობა სხვა არაფერია თუ არ სარგებლობა მიწიერი ცხოვრებისთვის.

“ნუ იხარჯებით ხრწნადი საზრდოსთვის”, რომელიც სხეულთან ერთად იღუპება, “არამედ იმ საზრდოსთვის გაისარჯეთ, რომელიც რჩება საუკუნო სიცოცხლისთვის”, ე.ი. საზრდო, რომელიც საუკუნოდ იარსებებს და საუკუნო ცხოვრებაში მოგემსახურებათ. ამ საზრდოს “კაცის ძე მოგცემთ თქვენ” ამბობს უფალი. მამა ღმერთმა “ბეჭედი დაასვა” კაცის ძეს, რათა ხალხი დაარწმუნოს იმაში, რომ ის არის მათთვის საზრდოს მიმცემი და გაცემის შემძლე. “ბეჭედი” უნდა ვიგულისხმოთ ის ნიშნები და სასწაულები, რომელსაც ქრისტე მამის ნებით ახდენდა.

საყვედურით აფორიაქებელმა იუდეველებმა უთხრეს უფალს: “როგორ მოვიქცეთ, რომ ღვთის საქმენი ვაკეთოთ?” იუდეველები მიხვდნენ, რომ მათგან ზნეობრივი ქმედებები მოითხოვებოდა, მაგრამ კერძოდ რა სახით, ეს ვერ გაერკვიათ.

პასუხად უფალი ნაცვლად მრავალრიცხოვანი ჩამონათვალისა, რასაც იუდეველები ღვთის საამებელ საქმეში აუცილებლობად მიიხნეოდნენ, მათგან ერთადერთ რამეს ითხოვს “ესაა საქმე ღვთისა: რომ ირწმუნოთ იგი, ვინც მე მომავლინა”. ეს საქმე ჰგავს თესლს, რომელშიც ყველა ღვთის სათნო საქმეა თავმოყრილი და რაც არის სწორედ ღვთის საამო საქმე.

მიხვდნენ რა იუდეველები, რომ იესო “ღვთის მოვლინებულს” თავის თავს უწოდებს, ეუბნებიან მას, რომ ისეთი დიდი რწმენისთვის, როგორც მათ ღვთისა და წინასწარმეტყველ მოსეს მიმართ ჰქონდათ, ცოტაა ის სასწაულებები, რომელსაც ის ახდენს.

აი, ეს მაგალითი გამოგვადგება იმის დასამტკიცებლად თუ რამდენად არამყარია მხოლოდ სასწაულებზე დაფუძნებული რწმენა. მხილველები უფრო და უფრო მეტს ითხოვენ უფლისგან, რადგან არ ჰყოფნიან 5 000 კაცის 5 პურითა და 2 თევზით დაპურების სასწაული. იუდეველები იესოს სთხოვენ მოსეს მსგავსი სასწაულების მოხდენას, როცა იგი ციური პურით, მანანით, აპურებდა უდაბნოში მოხეტიალე ერს.

უფალი იუდეველებს პასუხობს, რომ მოსეს მეშვეობით მოხდენილი ზეციური პური დაპურების სასწაული ახლა უფრო ნაკლებადმნიშვნელოვანია, რადგან მათ წინაშეა უდიდესი სასწაული ქრისტე-მესიის სახით, რომელიც მათ ღმერთმა მისცა, როგორც “ჭეშმარიტი პური ზეციდან”. ეს პური “სიცოცხლეს აძლევს წუთისოფელს”.

იუდეველები, თუმცა ხედებიან, რომ განსაკუთრებულ პურზეა საუბარი, მაინც გრძნობიერად განიხილავენ მას, რაშიც მათი ბუნების მიწიერებასთან სრული მიჯაჭვულობა ვლინდება.

მაშინ უფალი პირდაპირ საუბრობს იმაზე, რომ ზეციდან გარდმოშვებული სიცოცხლის მიმცემი პური არის თვითონ, რომ მასთან მოსულს არ მოშივდება და მის მორწმუნეს არასოდეს მოწყურდება. უფალი მწუხარებით არ ნიშნავს, რომ იუდეველებს არ სწამთ მისი, თუმცა ეს ხელს ვერ შეუშლის ზეციური მამის ნების აღსრულებას: ყველა, ვინც იესო ქრისტესგან ელის გადარჩენას, “მასთან მიმსვლელი” მისი დაარსებული სასუფევლის მემკვიდრე გახდება და ყოველი აღდგება მის მიერ უკანასკნელ დღეს, რათა საუკუნო სიცოცხლეს ეზიაროს.

იუდეველები დრტვინავდნენ იმი გამო, რომ უფალი თავის თავს “ციდან მოვლენილს” უწოდებს, რადგან მათ მისი მიწიერი წარმოშობა უბრმავებდათ თვალს. უფალი მათ დრტვინვას იმით ხსნის, რომ ისინი არ ირიცხებიან იმ რჩეულთა რიცხვში, რომელთაც ღმერთი მადლის ძალით თავისკენ მოდრეკს. ამ მადლისმიერი მოწოდების გარეშე ვერ ირწმუნებენ ღვთის მიერ კაცთა სახსნელად წარმოგზავნილი ღვთის ძეს-მესიას. ამ აზრით არ ნადგურდება ადამიანური ნების თავისუფლების იდეა: “მამა მოუწოდებს მათ, რომელთაც უნარი აქვთ მოწოდებულიყვნენ, ხოლო მათ, ვინც თავი უუნაროდ აქცია, რწმენისაკენ არ მოუწოდებს. როგორც მაგნიტი მიიზიდავს თავისკენ არა ყველაფერს, რაც უახლოვდება, არამედ მხოლოდ რკინას, ასევე ღმერთიც უახლოვდება ყველას, მაგრამ მიიზიდავს მხოლოდ მათ, ვინც რწმენისუნარიანია და თავის თავში ღმერთთან რაიმე მსგავსებას ხედავს” – ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი.

თითქოს უფალი ამბობს: “აყვედრეთ საკუთარ თავს და არა მე, იმის გამო, რომ არ გაგაჩნიათ უნარი მირწმუნოთ, როგორც მესია, რადგან ძე ალექსის ყველა წიგნი მოწმობს ქრისტეს მოსვლის შესახებ და ვინც გონებით დაუკვირდება მათ, წარმოუდგენელია ღმერთმა არ განსწავლოს იგი ქრისტე-მესიას შესაცნობად”.

“ღვთისგან განსწავლა” არ ნიშნავს ღვთის ხედვას, რადგან მამა ღმერთი იხილა მხოლოდ მან, ვინაც თვითონ არის ღვთისგან, ე.ი. ქრისტემ. ღვთისგან უშუალოდ სწავლობს ის, ვინც ყურადღებით, რწმენით სწავლობს წერილებს, რადგან საღვთო წერილთა მთავარი საგანი ქრისტეა.

“მე ვარ პური სიცოცხლისა” ბრძანებს უფალი თავის თავზე. ესაა პური ცოცხალი და არა პური უსულო, როგორც მანანი. მანანი კვებავდა მხოლოდ სხეულს და მისი შემჭმელი მოკვდა. სიცოცხლის პურის მჭამელი კი “არ მოკვდება”, არამედ “ეჭნება საუკუნო სიცოცხლე”. ეს ზეციური პური უფალი იესო ქრისტეა. უფრო ნათელი და გასაგები რომ იყოს მსმენელისთვის, უფალი განმარტავს, რომ ეს ზეციური პური მისი ხორცია, რომელსაც ის წუთისოფლის სიცოცხლისთვის გასცემს. მხედველობაში აქვს მომავალი ჯვარცმა, რომელიც გოლგოთაზე, ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად უნდა აღესრულოს.

მოახლოვებულ პასექის დღესასწაულთან დაკავშირებით, უფალი ასწავლის ხალხს მისი, როგორც ჭეშმარიტი საპასექო კრავის შესახებ, რომელმაც წუთისოფლის ცოდვები იტვირთა. საპასექო კრავი იყო ქრისტე, კრავის პირველსახე. უფალი განუმარტავს მსმენელებს, რომ პირველსახეთა დრო მიდის, რადგან მისი სახით ჭეშმარიტებაა მოვლენილი. საპასექო კრავის მიღება, ქრისტეს ხორცის მიღებით შეიცვალა, ხორცისა, რომელიც შეიწირა მსხვერპლად ადამიანთა ცოდვების გამო.

ამჯერად იუდეველებმა სწორად გაიგეს ქრისტეს სიტყვების აზრი და ერთმანეთს ეკითხებოდნენ, თუ “როგორ შეიძლება უფალმა თავისი ხორცი მოგვცეს საჭმელად?” როგორც ვხედავთ, ნათქვამის აზრი პირდაპირ იქნა გაგებული და არა იგავურად, ისევე, როგორც თანამედროვე სექტანტები უარყოფენ ქრისტესთან ზიარებას, რომელიც უფალთან მადლისმიერი ერთიანობის მომცემი საშუალებაა. და აი, ქრისტე კამათის აღსაკვეთად გადამწვევტად და გარკვევით იმეორებს: “ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, თუ არ ჭამთ ხორცს და არ სვამთ კაცის ძის სისხლს, არ გექნებათ სიცოცხლე თქვენში. ჩემი ხორცის მჭამელსა და ჩემი სისხლის მსმელს საუკუნო სიცოცხლე აქვს; მე მას აღვადგენ უკანასკნელ დღეს”.

ზემოთქმულ სიტყვებში უფალი მთელი სისავსით ხსნის საუკუნო სიცოცხლისთვის აუცილებელ მისი სისხლისა და ხორცის ზიარების შესახებ სწავლებას.

ებრაელების ეგვიპტიდან გამოსვლისას, დაკლული კრავის სისხლით ნიშნავდნენ ებრაელთა სახლებს, რათა სიკვდილის ანგელოზს გვერდი აეველო მათი სახლებისთვის, რომ პირმშობი გადარჩენილიყვნენ (გამოს. 12:7-13). საპასეჟო კრავის ტაძარში დაკვლისას მისი სისხლის ესხურებოდა საკურთხეველის ბუკებს, რომლებიც ებრაელთა საცხოვრისის კარის ზღურბლებსა და წითხლებს წააგავდნენ. საპასეჟო სერობაზე კრავი იყო ქრისტეს პირველსახე ისევე, როგორც ებრაელთა ეგვიპტიდან იყო წუთისოფლის გამოსხნის პირველსახე. უფლის სიტყვებში – “ჩემი ხორცის მჭამელი და ჩემი სისხლის მსმელი”, ჩვენ უნდა დავინახოთ ძვ. აღთქმის საპასეჟო კრავის ქრისტეს ხორციითა და საპასეჟო სერობის ღვინის ქრისტეს სისხლით შეცვლა. ეს არის ახალი პასეჟი, რომელზედაც უფალი ამ საუბარში წინასწარმეტყველებს. მაშასადამე, ქრისტეს სიტყვების აზრი შემდეგია: ვისაც სურს ქრისტეს სიკვდილით თავისი ცოდვების გამოსყიდვის გათავისება, მან უნდა იგემოს მისი ხორცი და დალიოს მისი სისხლი და ამითი გახდეს თავისი გამოსყიდვის მონაწილე. ეჟქარისტეიას უზიარებელი საუკუნო სიცოცხლის გარეშე რჩება, ე.ი. შორდება ღმერთს, რაც საუკუნო სიკვდილია. მხოლოდ ქრისტეს სისხლი და ხორცია ის ჭეშმარიტი საჭმელი, რომელიც ადამიანს აძლევს საუკუნო სიცოცხლესა და საიდუმლო ერთიანობა ქრისტეში. (გვ.56). ამ საიდუმლოსთან ზიარების გზით დაცემულ ადამიანს ეძლევა ახალი ცხოვრების შესაძლებლობა.

როგორც მეზადე ხის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად ამცნობს მასზე ახალ, მსხმოიარე ხის ტოტებს, ასევე ქრისტე, რომელსაც სურს, რომ საუკუნო ცხოვრების თანაზიარი გაგვხადოს, თვითონ შემოდის ცოდვით წაბილწულ ჩვენს სხეულში და დასაბამს უდებს ჩვენს შინაგან ფერისცვალებასა და გაბრწყინებას.

გადარჩენისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ ქრისტე გწამდეს. მას უნდა შეუერთდე. მასში უნდა იყო, რათა ისიც შემოვიდეს და დარჩეს ჩვენში. სწორედ ეს მიიღწევა ზიარების საიდუმლოების გზით.

ეს სიტყვები იმდენად მიიმე აღმოჩნდა მოსასმენად, რომ ამჯერად, არა თუ უფლის მტრები, რამოდენიმე მის მოწაფეთაგანაც კი დაბრკოლდა და ამბობდნენ: “მიიმე სიტყვაა, ვის შეუძლია მისი მოსმენა?”

უფალმა წაიკითხა მათი აზრები და თქვა: “ეს გაცდუნებთ თქვენ? თუ კი კაცის ძეს იხილავთ იქ აღმავალს სადაც წინათ იყო?” აქ უფალი გულისხმობს იმას, თუ როგორ ცდუნდებიან ისინი, თუ კი მას ჯვარზე გაკრულს დაინახავენ.

შემდეგ უფალი განმარტავს, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული მისი სიტყვები: “სული ცხოველმყოფელია, ხოლო ხორცი უსარგებლო. სიტყვები, რომლებიც გითხარით, სულია და სიცოცხლე”, რაც ნიშნავს, რომ ქრისტეს სიტყვები გაგებული უნდა იქნას სულიერი თვალსაზრისით და არა გრძნობიერად. თითქოს უფალი ამბობს: “ჩემი სწავლება ხორციელი ცხოვრების მკვებავი სანოვაგისა და ხორცის შესახებ კი არ არის, არამედ ღვთიურის, მადლის

მიერ საუკუნო ცხოვრების შესახებ”. “ხორცი უსარგებლოა”- უფალმა თქვა არა თავის ხორცზე, არამედ იმათზე, ვინც მისი სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გრძნობიერად გაიგო. უფლის წარმოთქმულ სიტყვებში ხილული საგნები კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ სულიერი თვალთა უნდა ჩაგვივლით ყველა მის საიდუმლოებას. აი, ეს ნიშნავს სულიერ გაგებას. (წმ. ოქროპირი).

არ უნდა წარმოვიდგინოთ ქრისტეს სხეული მისი სულისგან განცალკევებულად. ეს, ცხადია, შეცდომა იქნებოდა. თავის სხეულზე საუბრისას უფალი არა ცალკე არსებულ უსულო სხეულზე საუბრობს, არამედ მის ღვთიურ სულთან ერთიანობაში მყოფ სხეულზე. “მაგრამ თქვენს შორის ისეთებიც არიან, რომლებსაც არ სწამთ”- ამბობს უფალი და ცხადია ღვთიური მადლის დახმარების გარეშე ძნელია თვით დამცირებული ღვთაების რწმენა. როგორც შემდეგ გამოჩნდება, ღვთის ზემოთქმულ სიტყვებში ქვეყნის პირველი მითითება იუდა გამცემლის შესახებ.

ქრისტეს ზიარების სწავლება ყოველთვის იყო და იქნება უფლისადმი რწმენის სასინჯი ქვა. ბევრია ადამიანი, რომელიც აღფრთოვანებულია ქრისტეს ზნეობრივი კანონებით, მაგრამ ვერ ხედავს დიდი საიდუმლოების გზით მასთან შერწყმის აუცილებლობას. ამასთან, ქრისტესთან საიდუმლო შეერთების გარეშე შეუძლებელია ცხოვრებაში მისი ზნეობრივი კანონების დაცვა, რადგან ეს ადამიანურ ბუნებრივ ძალებს აღემატება.

აი, ამიტომაც როგორც სახარება გადმოგვცემს, ამ საუბრის შემდეგ მრავალი ადამიანი გაბრუნდა უკან. მით უმეტეს, რომ ქრისტეს ზემოთმოტანილი სწავლება სრულიად ეწინააღმდეგებოდა იუდეველების გრძნობიერ წარმოდგენებს მესიის შესახებ. მაშინ უფალმა თავის რჩეულ 12 მოწაფეს გამოსაცდელად ჰკითხა, მათაც ხომ არ სურდათ მისგან წასვლა, მაგრამ პასუხად, სიმონ-პეტრემ, ყველა მოციქულის სახელით გამოთქვა მისდამი, როგორც “ცოცხალი ღვთის ძისადმი” უდიდესი რწმენა. ამ სიტყვებს ჩვენ ახლა წარმოვთქვამთ ხოლმე ყოველი ზიარების წინ საკითხავ ლოცვაში: “ჩვენ ვიწამეთ და შევიცანით, რომ შენ ხარ ქრისტე, ღვთის წმიდა”.

ამ აღსარების პასუხად უფალმა თქვა, რომ თორმეტთაგან ყველა არ იზიარებდა ამ რწმენას, რომ ერთი მათგანი არის “ეშმაკი”, ანუ ქრისტესა და მისი საქმეების მტერი. ამით უფალმა იუდა გააფრთხილა, რადგან ცხადია იცოდა, რომ იუდას მისი გაცემა ჰქონდა ჩაფიქრებული.

ამჯერად, პასექის დღესასწაულზე უფალი იერუსალიმში არ წასულა, რადგან იუდეველები მოსაკლავად დაეძებნენ მას (იოან 7:1), ის კი გაეცალა მათ, რადგან მისი ჯვარზე ვნების დრო ჯერ არ დამდგარიყო.

საზეპირო: (იოანე:35,40,51,53,54,56)